

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის საქვეუწყებო  
დანესებულება-საარქივო სამმართველო

**რელიგიური თემები და ორგანიზაციები  
ბათუმში 1940-1950-იან წლებში**

(დოკუმენტების კრებული)

II



გამომცემლობა „ენციკლოპედია“  
თბილისი 2013

დოკუმენტების კრებულში პირველად ქვეყნდება რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცული მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტები. აღნიშნული მასალები ბოლო დრომდე შედიოდა საიდუმლო დოკუმენტების ნუსხაში. 2010 წელს მოხდა მათი გამოსაიდუმლოება, რამაც მოგვცა შესაძლებლობა გამოგვექვეყნებინა წინამდებარე დოკუმენტების კრებული. შესაბამისად, ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს მიეცემა დასახელებულ ფონდში დაცულ მასალებზე მუშაობის შესაძლებლობა.

### **სარედაქციო საბჭო:**

გურამ სალაძე (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე)  
თამაზ ფუტყარაძე (რედაქტორი)  
ფრიდონ ქარდავა  
ციური ქათამაძე

### **რუსულენოვანი დოკუმენტების თარგმნაზე მუშაობდნენ:**

თამაზ ფუტყარაძე, ნატო ქიქავა, ქეთევან იაკობაძე, ციცი ცინცაძე, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე, ფრიდონ ქარდავა

**შემდგენელი:** თამაზ ფუტყარაძე

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის  
საქვეყნებო დანესებულება-საარქივო სამმართველო, 2013

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-934-1

**რელიგიური თემები და ორგანიზაციები  
ბათუმში 1940-1950-იან წლებში**

(რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში  
დაცული დოკუმენტების მოკლე მიმოხილვა)

საბჭოთა იმპერიის კრახის შემდეგ საქართველოში განვითარებულმა სოციალ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა თუ სულიერ-სარწმუნოებრივმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა კომუნისტური მმართველობის პერიოდში მიმდინარე მოვლენების ობიექტური გაშუქება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რელიგიური პროცესების შესწავლა და ანალიზი. საბჭოური სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხების კვლევას ტაბუ ჰქონდა დადებული. წლების განმავლობაში რელიგიური პრობლემატიკა, ეთნო-კონფესიური პროცესები ერთმანეთისაგან გამიჯნულად, ცალმხრივად, საბჭოური იდეოლოგიის გათვალისწინებით შუქდებოდა. შედეგად, საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ (მიღწევების მიუხედავად) ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაგვიტოვა ჩრდილოვანი მხარეები.

ისტორიული ბედუკუდმართობის გამო საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში – აჭარაში ოსმალო დამპყრობლებმა გაავრცელეს ისლამი. აღნიშნულმა გარემოებამ რეგიონში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს განსაკუთრებული მნიშვნელობა და სპეციფიკურობა შესძინა. რეგიონის მთავარი ქალაქი – ბათუმი XIX ს. მეორე ნახევრიდან სხვადასხვა შინაარსის, კულტურისა და რელიგიის თავშეყრის ადგილად იქცა. ერთის მხრივ, აქ მძლავრად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები,

ამავე დროს გზას იკვალავდა ისლამური, იუდაისტური და სხვა რელიგიური მიმდინარეობები. ყოველივე ეს, განპირობებული იყო ბათუმის გეოპოლიტიკური მდებარეობით. ქალაქის შემდგომმა განვითარებამ, მისმა საპორტო ქალაქად ქცევამ მოიზიდა განსხვავებული ეთნოსისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების და თემების ჩამოყალიბება, რომელთა კულტურა ფართო მასშტაბით მოაზრებული ქართული კულტურის ნაწილად იქცა.

დღეისათვის, ბათუმში მართმადიდებლურ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობენ მუსლიმანები, ბაპტისტები, ეილოვას მონმეები, ორმოცდაათიანელები, იუდაისტები და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ რელიგიური მიმდინარეობების კონტროლისა და ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით სახკომსაბჭოსთან შექმნა რელიგიური კულტების საბჭო, რომელსაც ჰყავდა თავისი რწმუნებულები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ნიშანდობლივია, რომ ანტირელიგიური საქმიანობისათვის დაწესებული ყოფილა სპეციალური ჯილდო — სამკერდე ნიშანი (ფონდი ი-977, აღწერა 1, საქმე 18, ფურც.26). რწმუნებულები ყოველკვარტალურად წარუდგენდნენ საკავშირო ორგანოს რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობის დეტალურ ანგარიშს. აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება — საარქივო სამმართველოს რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტები, რომლებიც ბოლო დრომდე შედიოდა საიდუმლო დოკუმენტების ნუსხაში. 2010 წელს მოხდა მათი გამოსაიდუმლოება, რამაც მოგვცა შესაძლებლობა გამოგვექვეყნებინა წინამდებარე დოკუმენტების კრებული.

რწმუნებულის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ბათუმში 1940-ნი წლების მეორე ნახევარში არსებობდა შემდეგი „რეგისტრირებული“ რელიგიური თემები:

1. მუსლიმანთა საზოგადოება მეჯლისი, რომელსაც ჰქონდა თავისი სამლოცველო სახლი ჩკალოვის ქუჩაზე (კულტმსახურები: დანდალოელი რასიყ ბერიძე – ყადი, ხელვაჩაურელი მემედ აბულაძე – იმამი, ბათუმელი ისმაილ მიქელაძე – მოეზინი, იმამის თანაშემწე, ურეხელი მემედალი დიასამიძე – მოლარე. საზოგადოებას ჰყავდა 5 კაციანი გამგეობა;
2. ქართველ ებრაელთა რელიგიური საზოგადოება, ჰქონდა თავისი სამლოცველო სახლი ელექტრონის ქუჩაზე;
3. „ევანგელისტ-ხრისტიან-ბაპტისტები“, დაქირავებული ჰქონდათ სამლოცველო სახლი გორკის ქუჩაზე;
4. ბათუმისა და სოუქ-სუს მოქმედი ეკლესიები (აჭარის არცსა, ფ. ი-977, ანან. I, საქმე 21, ფურც. 1

ნიშნადობლივია, რომ ანგარიშებში ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი მუსლიმანური თემის საქმიანობა. ეს გასაგებიცაა, რადგან ისტორიული ბედუკულმართობის გამო აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი ისლამური აღმსარებლობის მატარებელი იყო. ამავე დროს რეგიონალურ რწმუნებულს არ ევალეობდა მართმადიდებლური თემის საქმიანობის კონტროლი, რადგან იგი ექვემდებარებოდა საქართველოს მართმადიდებელთა რწმუნებულს, თუმცა გარკვეულ ინფორმაციებს მაინც აგროვებდა (აცსა. ფ. 977, საქ. 20-ა, ფურც. 5). მართმადიდებლური თემის საქმიანობა რწმუნებულთა ანგარიშებში სხვა რელიგიური მიმდინარეობების ფონზე ყველაზე მოკრძალებულადაა წარმოდგენილი. ხელისუფლებას, რელიგიური თემების საქმიანობის ამსახველ ინფორმაციისთან ერთად ყურადღების მიღმა არ რჩება მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული საკითხები, რადგან იგი განაპირობებდა მორწმუნეთა რაოდე-

ნობრივ ცვლილებებს. მათ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია არა მარტო რეგიონის, არამედ თითოეული დასახლებული პუნქტის მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურის შესახებ. ტუნაძის ინფორმაციით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უამრავი ადამიანი ჩამოვიდა საქართველოში „ვინიცის, ვორონეჟის, კალინინის, კიროვავგრადის და რუსეთის სხვა რეგიონებიდან“. ჩასახლების ადგილებს შორის დასახლებულია მახინჯაური და სალიბაური. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვითამ სოფლებში ჩამოსახლებულა მართმადიდებლური აღმსარებლობის 19 კაცი (აცსა, ფ.977, ან.1, საქ.16, ფურც.19). საისტორიო საბუთებიდან ირკვევა, რომ რელიგიური საქმიანობის განხორციელების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ბათუმისა და სოუქსუს მართმადიდებლურ ეკლესიებს. 1946 წლის ერთ-ერთი დოკუმენტით ბათუმის საფინანსო განყოფილებას დაუბეგრავს რელიგიური კულტის მსახური გრიგორი ივანეს ძე პუხნო. გადასახადის ოდენობა გამოანგარიშებულია სხვადასხვა შემოსავლებიდან, კერძოდ: „1. პანაშვიდის გადახდა თვეში 12, თითო პანაშვიდზე მომსახურების საფასური 50 მანეთი, სულ 600 მანეთი — წელიწადში 7200 მანეთი. 2. ბავშვის მონათლვა თვეში 20, თითოეულისგან მომსახურების საფასური 80 მანეთი, სულ თვეში 1600 მანეთი, წელიწადში – 19200 მანეთი. 3. სანთლის გაყიდვა 200 ცალი, თითო 5 მანეთად, სულ თვეში 500 მანეთი, წელიწადში 6 ათასი მანეთი, სულ დასაბეგრი შემოსავალი წელიწადში შეადგენს 32 400 მანეთს, საიდანაც გამოანგარიშებულია სახ. გადასახადები“ (ფ.977, ან.1, საქ.18, ფურც.29). რწმუნებული ტუნაძე შეშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ეკლესიებში „ნახავთ მასწავლებლებს, ექიმებს, აგრონომებს, სტუდენტებს, სამხედრო პირებს, რომ ისინი ინათლებიან ძველებური წესით, ჯვარს ინერენ და ერთი სიტყვით ასრულებენ ყველა იმ ცერემონიალთა **ჯუმლს**, რაც კი უწერიათ მართმადიდებელთა მოძღვრებაში“ (აცსა. ფ.977, საქ.16, ფურც.4). იმავე წყაროს ინფორმაციით ქრისტიანულ სამლოცველოებთან „ხალხთა მოზღვავება არის,

რაც პირდაპირ განსაცვიფრებელი რამ არის” (ფ. 977, საქ.20(ა), ფურც.2). ამავე ინფორმაციას იმეორებენ მომდევნო წლების ანგარიშებიც.

რწმუნებული ტუნაძე 1949 წლის ანგარიშში საეკლესიო პირებს თავხედობაშიც ადანაშაულებს. მისი თქმით, ეკლესიის მსახურნი „გათამამდნენ” და დამთვალეირებლებსაც კი ავალდეზულებენ რელიგიური წესების შესრულებას, კერძოდ: პირჯვარის გადანერას, ქედის მოხრას, სანთლის დანთებას, ხატებზე ამბორს და ა.შ. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკის მიუხედავად ბათუმისა და სოუქსუს ეკლესიებში ხშირად ინათლებოდნენ ბავშვები, ეწყობოდა სამკურნალო დანიშნულების ან რელიგიური საგნებით ვაჭრობა და ა.შ. (აცსა, ფ.977, საქ.20(ა), ფურც.5). დოკუმენტის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ეკლესიის შემოსავლებზეც: „ეკლესიას გაეზარდა ფინანსური შემოსავლები, რითაც მათ შეძლეს ეკლესიის შენობის გარე გალავანის შემოვლება”, კულტმსახურთათვის ცალკე ოთახის აშენება და ა. შ. თუმცა „ფულს ბანკში არ ინახავენ” და „იგი მიმოქცევაში არ იმყოფება” (აჭარის ცსა, ფ.977, საქ.20(ა), ფურც.6)

დოკუმენტებში წარმოდგენილია მწირი, მაგრამ საინტერესო ინფორმაცია სომეხ მორწმუნეთა საქმიანობის შესახებაც. დოკუმენტების მიხედვით, სომეხ მორწმუნეებს მიუმართავთ ქალაქის ხელმძღვანელობისთვის სომხური ეკლესიის გახსნის მოთხოვნით, თუმცა მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა. რწმუნებულ ტუნაძის 1948 წ. მეორე კვარტლის ანგარიშის მიხედვით „ბათუმის სომეხ გრიგორიანელთა უმოქმედო სამლოცველო სახლი თავისთავად დაიხურა დაახლოებით 20 წლის წინათ. ოფიციალური დადგენილება აღნიშნული სალოცავი სახლის დახურვის შესახებ არ არსებობს”. ტუნაძის თქმით ბათუმში გრიგორიანთა ეკლესია არაა მორწმუნეთა „სიმცირის გამო”, ხოლო მათი „უმოქმედო სამლოცველო” აგებულია ქვისგან, გადახურულია თუნუქის სახურავით, ძველია

და გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებს. იგი საბჭოთა ხელი-სუფლებას საწყობად გადაუქცევია, მოგვიანებით კი გადაუნყვეტა ბავშვთა სპორტული სკოლისათვის გადაცემა. მისი შეკეთებაც შესაბამისად დაუვალეზიან განათლების სამინისტროსათვის (აცსა, ფ.977, საქ.19, ფურც.12). თუმცა, 1948 წ. 4 სექტემბერის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რელიგიური კულტების საკავშირო უწყება ინფორმირებული იყო ბათუმში სომეხთა რაოდენობრივი მონაცემების შესახებ. აღნიშნული უწყების ხელმძღვანელი ასახელებს ბათუმში მცხოვრებ 16,5 ათას სომეხს, რომელთაგან 2000 არის მორწმუნე. როგორც ცნობილია მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე, 1944 წ. 19 ნოემბრის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1603 დადგენილებით „სამლოცველო შენობების გახსნის ნებსების შესახებ“ — შესაძლებელი გახდა სამლოცველოების გახსნა შესაბამისი დასაბუთების (მორწმუნეთა რაოდენობა, მოთხოვნები და ა.შ.) წარდგენის შემდეგ. ამიტომაც ავალეზს **პოლიანსკი** (რელიგიური კულტების საბჭოს საკავშირო უწყების თავმჯდომარე) საქართველოს შესაბამის უწყებას აღნიშნული საკითხის შესწავლას (აცსა, ფ.977, საქ.19, ან.1, ფურც.17-18). საკითხის დეტალური შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ა) „განცხადებას სომხური სამლოცველოს გახსნის შესახებ მორწმუნეთა ჯგუფიდან ხელი მოაწერა ყველა სომეხმა - 5 კაცის გამოკლებით, მათ შორის ინტელიგენციის წარმომადგენლებმაც“, ბ) „ხელმოწერები არაა ფალსიფიცირებული“, გ) „განცხადება-თხოვნა არაა დაწერილი ვინმეს პროვოცირების შედეგად“. დ) „სომხური ეკლესია, რომელიც შემდეგ გადააკეთეს საწყობად, დაიხურა 1938 წელს და მცირეოდენი შეკეთების შემდეგ შესაძლებელია მისი ამოქმედება“. ე) „მორწმუნეთა რაოდენობა საკმაოდ ბევრია, თუმცა ვერ ხერხდება ზუსტი რაოდენობის დადგენა“ (აცსა, ფ.977, საქ.19, ან.1, ფურც. 18).



საისტორიო საბუთებში ყველაზე უფრო ვრცელადაა დახასიათებული აჭარაში რეგისტრირებული ერთად-ერთი მუსულმანური სამლოცველოს - **ბათუმის მეჩეთის საქმიანობა.**

დოკუმენტებში წარმოდგენილია ბათუმის რელიგიური დაწესებულებების ხელმძღვანელთა სია და დემოგრაფიული მონაცემები: მეჩეთის **ყადი რასიყ ბერიძე**, დაბადებული 1873 წელს, ცოლ-შვილიანი; მეჩეთის **მოეზინი ისმაილ მიქელაძე**, დაბადებული 1882 წელს, ცოლ-შვილიანი, **იმამი მემედ აბულაძე**, დაბადებული 1878 წელს, ცოლ-შვილიანი, **პრესვიტერი (ევანგელისტურ-ქრისტიანულ-ბაპტისტური სამლოცველოს) ალექსანდრე შაკინი**, დაბადებული 1890 წელს, ცოლ-შვილიანი, **ხახამი შაპათა ელიგულაშვილი**, დაბადებული 1886 წელს, ცოლ-შვილიანი. დოკუმენტში დასახელებული არიან აგრეთვე **შაპათა მამისთვალოვი და ხანუკ იაკუფოლლი** (აჭარის არ ცსა, ფ. ი-977, ანან. I, საქმე 19, ფურც. 20).

დოკუმენტების მიხედვით ჩკალოვის ქუჩაზე მდებარე მეჩეთს ეკავა 200 კვ.მ. ფართობი და შეფასებული იყო 50 ათას მანეთად. იგი ამოქმედებულა 1946 წლიდან, მაგრამ გადასახადი: მიწის რენტა - 1 კვ.მ-ზე 15 კაპიკი (წლიური 30 მანეთი) და შენობის გადასახადი - 500 მანეთი წელიწადში 1948 წლისათვის არ ჰქონდათ გადახდილი, რადგან იგი დაუბეგრავი იყო, როგორც „გამოტოვებული დასაბეგრი ობიექტი. ამიტომ მისთვის დაუკისრებიათ 2 წლის გადასახადის (1060 მანეთის) გადახდა (აჭარის არ ცსა, ფ. ი-977, აღნ. I, საქმე 20, ფურც. 9).

რწმუნებულ ი. ტუნაძის ინფორმაციით „რელიგიური მოძრაობა აჭარის ასსრ-ის ტერიტორიაზე თანდათანობით ეცემა, მორწმუნეთა რაოდენობა მცირდება“, თუმცა იქვე იძულებულია აღიაროს, რომ „რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მორწმუნე მოსახლეობის ფენებში. იგი ცალ-ცალკე ახასიათებს წამყვან რელიგიურ მიმდინარეობებს. 1950 წლის მეორე კვარტალის ანგარიშში იგი მიუთითებს, რომ „მთლიანი ახალგაზრდობა საბჭოთა სკოლებშია ჩაბმული“, მხოლოდ „მო-

ხუცებულთა მცირე ნაწილი მისდევს რელიგიურ რწმენას” (აჭარის არ ცსა, ფ. ი-977, აღწ.1, საქმე 21, ფურც.5), აჭარის ქალეზის უმეტესობა (იგულისხმება „მხნე ქალები“) „რამაზანს თმენს“. „მთიან რაიონებში რამაზანს „თმენენ“ ის ახალგაზრდები, „რომლებიც სკოლაში არ დადიან (საქმე 16, ფურც.10). ნიშანდობლივია, რომ რელიგიური ლოცვები დაშვებული იყო მხოლოდ ბათუმის მეჩეთში, როგორც რეგისტრირებულ სამლოცველოში. აჭარაში სხვა რეგისტრირებული მეჩეთი არ ყოფილა. ამავე დოკუმენტით ირკვევა, რომ აჭარაში რეგისტრირებული იყო ერთი სინაგოგა, ერთი ევანგელისტ-ქრისტიანებისა და ბაპტისტების სამლოცველო, მაშინ როცა ოქტომბრის გადატრიალებამდე აჭარაში ყოფილა 138 მეჩეთი, რომელთაგან 1946 წლისათვის 36 იყო „დაცარიელებული“, 84-საწყობად ან სამრეწველო ობიექტად გადაკეთებული, 11 კი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება (ცნობისათვის: **დღეისათვის აჭარაში არის: 184 მუსულმანური საკულტო და სასწავლო ნაგებობა, მათგან 119 მეჩეთი 51 მედრესეთი და 9 მედრესე-პანსიონატი. მარტო ქალაქ ბათუმში ამჟამად ფუნქციონირებს ვაჟთა 3 და ქალთა ორი ისლამური პანსიონატი და ერთი ბავშვთა ბაღი. იხ. მოქმედი მუსლიმური საკულტო და სასწავლო ნაგებობანი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), რუკა, ბათუმი, 2010, შეადგინა რ. ბარამიძემ). დოკუმენტში დაფიქსირებულია „სტაროობრიადჩესკი“, კერძოდ „ბელოკრინიცკოე სოგლასიე“-ს ერთი სამლოცველო, რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებდა (საქმე 16, ფურც.13).

რწმუნებულს მხედველობიდან არ გამოორჩენია ის გარემოება, რომ „მოხუცებულ მორწმუნეთა ნაწილი ინდივიდუალურად ლოცულობენ თავიანთ სახლებში ბემვახითნამაზს” (წვერ ლოცვა). „ზოგიერთ სოფელში წარმოებს მიცვალებულთა ლოცვები: ჯენეზე, ყირხი, დევრი. რელიგიური დღესასწაულები კი მხოლოდ რეგისტრირებულ მეჩეთში წარმოებს“. დოკუ-

მენტის მიხედვით მეჩეთში ყოველდღიურად 15 კაცი დადის, პარასკეობით კი მათი რაოდენობა იზრდება (საქმე 21, ფურც.5). ანგარიშებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რელიგიური დღესასწაულების დროს შრომის დისციპლინის დარღვევებთან დაკავშირებულ საკითხებზე (თუმცა დარღვევები რწმუნებულებს ვერ დაუფიქსირებიათ).

რწმუნებული ვალდებული იყო ზემდგომი ინსტანციისათვის ეცნობებინა ისეთი ფაქტებიც კი, როგორცაა ბაქოდან „შეის ისლამის მოადგილის ეფენდი ზადე იზრაბოლის ბათუმში ჩამოსვლა (1950 წ. მაისი) და უკან გამგზავრება (26 მაისი).

როგორც ჩანს, ზოგიერთი ინფორმაცია - ანგარიში ზედაპირული იყო, ამიტომ მიუღია რწმუნებულს ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც ანგარიშში უნდა ასახულიყო „როგორც პირადი დაკვირვებიდან, ისე ადგილებზე, საბჭოებზე შეკითხვებით“ მიღებული პასუხები. რწმუნებული საქართველოში დ. ქორიძე მოითხოვს, რომ „ანგარიში იყოს პოლიტიკური“, რომელშიც უნდა წარმოჩნდეს: ა) „იზრდება რელიგია და მისი გავლენა თუ კნინდება. მცირდება თუ იზრდება საზოგადოების რომელი ნაწილის ხარჯზე; ბ) რამდენად დიდია რელიგიის ავტორიტეტების (ხახამი, იმამი, პრესვიტერი) გავლენა; გ) მოსახლეობის საერთო რაოდენობის რამდენი ნაწილი მისდევს ღვთისმსახურებას“, როგორ და რა ფორმებში ტარდება იგი (საქმე 19, ფურც.13,14,15). რწმუნებული მკაცრად მოითხოვს ინფორმაციაში აისახოს პასუხები კითხვებზე: აქვს თუ არა ადგილი: ა) „მუშა-მოსამსახურების მიერ უნებართოდ სამუშაოს მიტოვებას: ბ) ხელმძღვანელთა მიერ მორწმუნეთა გათავისუფლებას რელიგიური დღესასწაულების დროს; გ) როგორია ქალთა და მოზარდთა დასწრება რელიგიურ დღესასწაულებზე; დ) რამდენი პირუტყვი დაიკლა ყურბან-ბაირამის დროს (საქმე 20-ა, ფურც.24); როგორ მიმდინარეობდა რეგისტრირებული რელიგიური საზოგადოების სასულიერო წოდებისა და „მოხეტიალე მოღვაწის“ მოქმედებანი ყურბან-ბაირამის დროს; ვ) რო-

გორი მითითებები ჰქონდათ მიცემული მუხტასიბებს და იმამებს სასულიერო სამმართველოს ცენტრის (ბაქოდან) მიერ” და ა.შ. (საქმე 21-ა, ფურც.2,3). ქორიძე მოითხოვს ასევე ინფორმაციას უკრაინიდან მახინჯაურში გადმოსახლებული სტაროვერების (400-მდე ოჯახი) შესახებაც, რომლებსაც „ვერ გაურკვევიათ გამოიცვალონ სარწმუნოება თუ არა და ვის მიეკედლონ: ებრაელობას, ბაპტისტებს თუ სხვებს” (საქმე 19, ფურც.15). იგი ინტერესდება გადმოსახლებულთა სამეურნეო კულტურის საკითხებითაც. წერილიდან ჩანს, რომ ბენზეში მცხოვრებ „პიატიდესიატნიკებს” (ორმოცდაათიანელებს) და სტაროვერებს მიუმართავთ ბაპტისტებისაგან, რათა ისინი მიეღოთ მათ რიგებში.

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლება ეჭვის თვალთ უყურებს რელიგიური კულტის მსახურების ინფორმაციას (მიუხედავად იმისა, რომ კულტმსახურნი თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან) და რწმუნებულისაგან მოითხოვს მათ გადამოწმებას: იმ კითხვებზე, რომლებზეც არ მოგვეპოვება პასუხი, „გამოვავლინოთ ყადის საშუალებით, მაგრამ ვინაიდან ყადის მასალებს ჩვენ ვერ დავეყრდნობით, ეს მასალები უნდა შემოწმდეს-“ მოსახლეობასთან პირდაპირი, უშუალო საუბრების გზით, ნათქვამია საინსტრუქციო წერილში.

ზოგიერთ ანგარიშში აღწერილია ცალკეული პიროვნებების „უკანონო რელიგიური საქმიანობის” ამსახველი ფაქტები. 1951 წ. 18 დეკემბრის წერილიდან ირკვევა, რომ იმამი აბულაძე და მოეზინი მიქელაძე გაფრთხილების მიუხედავად კვლავაც განაგრძობდნენ რელიგიური წესების შესრულებას სხვადასხვა სოფლებში, მათ კი ამის უფლება აქვთ მხოლოდ რეგისტრირებულ მეჩეთში.

რელიგიური რწმუნებულის კვარტალურ ანგარიშებში წარმოდგენილია დეტალური მონაცემები მუსლიმანური დღესასწაულების: „მევლუდის”, „ახტინიჰაქის”- (ახალშერთულთა ჯვრისწერა), „რამაზანის” მიმდინარეობის შესახებ. ცალკე-

ულ შემთხვევებში დახასიათებულია მათში მონაწილეთა სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა.

1951 წ. 2 ივლისის ერთი დოკუმენტის მიხედვით პარასკეობით დამსწრე მორწმუნეთა რაოდენობა მეჩეთში 150 კაციდან (წინა ბაირამზე დამსწრეთა რაოდენობა) გაიზარდა 400 კაცამდე, მათ შორის 30 წლამდე 50 კაცი, 50 წლამდე 200 კაცი, დანარჩენები კი უფროსი ასაკის ადამიანები არიან (აჭარის ცსა, ფ.977, ა.1, საქმე 23, ფურც 20). ანგარიშის მიხედვით მეჩეთში მისულა 3 ქალიც, რაც წინა წლებში არ დაფიქსირებულა. ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში მეჩეთის შემოსავლების შესახებაცაა გარკვეული ინფორმაცია, კერძოდ, დამსწრე მორწმუნეთა ზრდის პარალელურად მეჩეთის შემოსავლები პარასკეობით გაიზარდა 100-150 მანეთიდან 500-600 მანეთამდე (ფურც. 20). ერთი დოკუმენტის მიხედვით 1951 წ. 11 სექტემბერს ჩატარებულ ლოცვას კოკისპირული წვიმის მიუხედავად 1200-მდე კაცი დაესწრო. მეჩეთის ეზოდან ლოცვას ქალებიც უსმენდნენ (6 ქალი), რომელთაგან ორმა ფანჯრიდან გადააწოდა შესაწირი თანხა. ამ დღეს შეგროვდა 2700 მანეთამდე (ფ.ი-977, საქმე, 23, ან,1, ფურც.32). დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თურქეთის წარმომადგენლების სურვილის მიუხედავად ბათუმის ჯამეში საკონსულოდან სალოცავად არავინ მისულა.

შედარებით უფრო სრულყოფილია აჭარაში რელიგიური კულტების რწმუნებულის ი.კალანდაძის ანგარიში. მისი ინფორმაციიდან ჩანს, რომ რწმუნებული ყოველდღიურად აკვირდება როგორც რიგით მორწმუნეებს, ისე მეჩეთის თანამდებობის პირებსაც. ანგარიშში იგი მიუთითებს, რომ ბათუმის მეჩეთში 1951 წ. მარტიდან თითქმის 2 თვეა აღარ გამოცხადებულა ყადი რასიყ ბერიძე, რაც ახსნა ავადმყოფობის მიზეზით. ჩანს, რომ მეჩეთის მმართველთა შორის ყოფილა დაპირისპირება და წინააღმდეგობები, რის გამოც ყად რასიყ ბერიძეს გადაუწყვეტია „გადადგომა“: „მე არაფრად მთვლიან,” „ჩემი მუშაობა ყადად არაფრად ღირს და ბაქოში შეიხულ ისლამთან

განცხადება უნდა გავგზავნო გადაგდომის შესახებო”, უთქვამს ყადს (აჭარის არ ცსა, ფ. ი. 977. აღწ. I, საქმე, 23, ფურც.13,15), თუმცა წერილის გავგზავნა ბაქოში ვერ გაუბედავს—მოეზინი მიქელაძე და მოლარე დიასამიძე გამიგებენ დამტერს დამინიშნავენო” (ფურც.19). სამაგიეროდ, ბაქოში წერილის გავგზავნა დაუსწრიათ ყადის მონინალმდეგებს-მოეზინ მიქელაძეს და მოლარე დიასამიძეს, რის საპასუხოდაც ბაქოდან გამოგზავნილ წერილში ყად რასიყ ბერიძეს თხოვენ შესაბამის ახსნა-განმარტებას. რასიყ ბერიძის ახსნა-განმარტებაში ახსნილია დაპირისპირების მიზეზები, მითითებულია, რომ ადგილი აქვს ფაქტის დამახინჯებას, რომ „რემეზანის მთვარეში მორწმუნეებს აქვთ უფლება ჭამონ ანუ სეფერი ქნან და სამაგიეროდ სხვა დროს იმარხონ. მუშამ რომ იმარხოს, სამუშაოზე დააკლდება” და ა. შ. (საქმე 23,ფურც.27). ერთერთი ანგარიშის მიხედვით ბერიძეს გადაუწყვეტია „ლექტორობა”. „ქალების 90% ჩადრს ატარებს, რასაც მუსლიმანური საზოგადოება არ ითვალისწინებს”, ამიტომ საჭიროა ლექციების ჩატარება ჩადრის ტარების და სხვა წესების წინააღმდეგ, რომელიც „ძველი ხოჯების მიერ არის მოგონილიო” (საქმე-23, ფურც.13). ჩანს, რომ ხოჯების ნაწილი ანგარიშს უწევდა დროის მოთხოვნებს და ცდილობდა ადაპტირებას შესაბამის რეალობასთან. ამიტომაც არაა შემთხვევითი მათი დაყოფა „ძველ” და „ახალ” ხოჯებად. სწორედ, პროგრესულად მოაზროვნე ხოჯებს შორის გამოირჩეოდა ყადი რასიყ ბერიძე, რომელიც ცდილობდა „მორწმუნეებში შეგნების შეტანას”. იგი მორწმუნეებს განუმარტავდა, რომ „ბავშვის დასუნნეთვა სავალდებულო არ არის, მუსლიმანური სახელის გამოცვლა ცოდვა არ არის”, რომ „უნდა მარხულობდნენ მხოლოდ 60 წლის ზევით მოხუცები, დანარჩენები კოლმეურნეობაში უნდა მუშაობდნენ და მარხვამ ხელი არ უნდა შეუშალოს მუშაობას. მოხუცებს სეფერი (შელავათი) აქვთ მარხვისას ისე, როგორც ავადმყოფებსო” და ა. შ. იგი გამოდიოდა ჩადრის ტარების წინააღმდეგაც. სწორედ რა-

სიყ ბერიძის ამ პოზიციით იყო განპირობებული ის დაპირისპირება-კინკლაობა, რომელიც არსებობდა მას, მოეზინ მიქელაძესა და იმამ აბულაძეს შორის, რაც კიდევ უფრო გაამწვავა ყადისათვის ხელფასის შემცირებამ. ისინი ბრალს სდებენ რასიყ ბერიძეს „მუსლიმანობის გაადვილებაში“, რაც მათი აზრით შეამცირებს მრევლის რაოდენობას და შესაბამისად შემოსავალსაც. ამიტომ ცდილობენ რასიყ ბერიძის, როგორც „ყიზილბაში, ურნმუნო ხოჯის“ თავიდან მოშორებას. თავის მხრივ, ყადიც ცდილობს არასასურველი პირების, მათ შორის მოლარე დიასამიდის გათავისუფლებას და დახმარებას თხოვს რელიგიური კულტების საბჭოს რნმუნებულს (საქმე 19, ფურც. 22). იმამს, ყადს, მუეზინსა და მოანგარიშეს შორის დაპირისპირებას ანგარიშიში სპეციალური ადგილი ეთმობა. საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ მოანგარიშე დიასამიდის გათავისუფლებით დაინტერესებული არიან როგორც აჭარის, ისე საქართველოს რნმუნებულები. დ. ქორიძე (რნმუნებული საქართველოში) ი. ტუნაძისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ მას განუბრაზავს მემედალი დიასამიდის მოშორება ბათუმის მეჩეთისათვის. ამ მიზნით მისთვის შეუთავაზებიათ თბილისში გადასვლა აღმოსავლეთ საქართველოს ყადის თანამდებობაზე. წერილში დიასამიძე მოხსენებულია, როგორც გაიძვერა პიროვნება. ქურიძე მხარს უჭერს მიქელაძისა და აბულაძის მოშორებასაც, ოღონდ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ხელისუფლების „ხელი არ ჩანდესო“ (საქმე-19, ფურც.23). 1948 წელს დიასამიძე მართლაც გადაუყვანიათ სხვაგან ყადის თანამდებობაზე (საქმე 17, ფურც.4). ანგარიშებიდან ჩანს, რომ მეჩეთის ხელმძღვანელები ხელისუფლების მოთხოვნების შესაბამისად ანვდიდნენ რელიგიური კულტების საბჭოს რნმუნებულებს მათთვის საჭირო ინფორმაციას.

რელიგიური რიტუალების, ლოცვების შესასრულებლად საჭირო ყოფილა შესაბამისი მონმობები. ზოგჯერ ასეთ „მონმობებს“ თვითნებურად გასცემდა ყადი. ერთი დოკუმენტის მი-

ხედვით 1947 წ. რასიყ ბერიძეს თვითნებურად გაუცია მოწმობები ხულოს, ქედის, ქობულეთისა და ბათუმის რაონებში „ყირხისა და თარავის ლოცვების“ შესასრულებლად. რწმუნებულის მოთხოვნით ყადს ეს მოწმობები ჩამოურთმეგია (საქმე 23, ფურც.14). მიცვალეზულის ლოცვების ჩამტარებელთა შორის დასახელებულია მეჩეთის მუეზინი მიქელაძე. ყადი მას „ძველი ხოჯისა და მგლის“ ეპითეტიტ მოიხსენიებს. დოკუმენტის მიხედვით მეჩეთში იკლო ფულადმა შემოსავლებმა, რამაც განაპირობა ხელფასების შემცირება, თუმცა ყადისათვის ხელფასი სხვებზე უფრო მეტად – 350 მანეთიდან 100 მანეთამდე შეუმცირებიათ. აქვე საუბარია „სუნეჩების მოქმედების გახშირებაზე“, რასაც ხელისუფლება სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.

ზემოთდასახელებული მონაცემები ხაზს უსვამს ხელილსუფლების დაინტერესებას - რელიგიური ორგანიზაციები ჰყავდეს მკაცრი კონტროლის ქვეშ. ხელილსუფლებას ყურადღების მიღმა არ რჩება უმნიშვნელო დეტალიც კი. იგი ინტერესდებოდა სამლოცველო მოგზაურობაში წამსვლელთა ვინაობითაც. 1947 წლისათვის მექაში სამლოცველოდ გასაგზავნ პირთა შორის კავკასიის მუსლიმანთა სამმართველომ წარადგინა რასიყ ბერიძეც. ხელილსუფლება ითხოვს გადამოწმდეს – აქვს თუ არა თავად ბერიძეს ამის სურვილი. ყადს რა თქმა უნდა აღმოაჩნდა წასვლის სურვილი, თუმცა არ ჰქონია ფინანსური შესაძლებლობა და ბათუმის მეჩეთიდან ელოდებოდა 10 ათასი მანეთის გამოყოფას. ხელილსუფლება აკონტროლებდა არა მარტო ადგილობრივ რელიგიურ ორგანიზაციებს, არამედ უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ ადამიანებსაც. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებისათვის, 10 წლის მანძილზე პატიმრობაში მყოფი თურქი სარბი თურუთოღლისათვის ბათუმის მეჩეთს, კერძოდ მოლა ფერათ კონცელიძეს 300 მანეთი შეუგროვებია (საქმე 10, ფურც.10), თვითონ კი წასულა ზოტში „ხოჯის მოვალეობის შესასრულებლად“. მოგვიანებით იგი გადაუყენებიათ თანამდებობიდან.



პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რომ მორწმუნე მუსულმანი ავადმყოფების ნაწილი სამკურნალოდ ზოგჯერ მართლმადიდებელ მღვდლებთანაც კი დადიოდნენ. 1947 წ. I კვარტლის ანგარიშში (რწმუნებული ვანლიში) პირდაპირაა მითითებული, რომ სოფ. ახალშენში მცხოვრებ ერთ-ერთ ბერძენ მღვდელს სახლში მოწყობილი ჰქონდა პატარა სამლოცველო, სადაც დადიოდნენ სხვა სოფლის მუსულმანი ავადმყოფები, ძირითადად რევმატიზმით დაავადებულნი და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები. დოკუმენტებში ზოგიერთი მათგანის გვარიც არის დასახელებული. მაგ. გონიოელ ბაირამოლლის დასახელებულ მღვდელთან „მოსარჩენად“ მიუყვანია რევმატიზმით დაავადებული ცოლი. გასამრჯელოდ მიუცია 4 ათასი მანეთი. ქალი ორი დღე ყოფილა მღვდელთან, იწერდა პირჯვარს, „ჰკოცნიდა ხატებსა და ჯვარს“ (საქმე 14, ფურც.3).

საარქივო ფონდებში წარმოდგენილია სხვადასხვა სოფლის მცხოვრებ მორწმუნეთა განცხადებებიც. ერთ-ერთი ასეთი განცხადება ლორჯომში მეჩეთის გახსნის მოთხოვნას ეხება. მორწმუნეები ითხოვენ „ლორჯომის დიდი ჯამის“ გახსნას, რათა „იყოლიონ ხოჯა და შეასრულონ ლოცვები“ (საქმე 14, ფურც.3). ამ განცხადებასთან დაკავშირებით რწმუნებული ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დავითაძისაგან მოითხოვს დეტალურ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ. აღმასკომის თავმჯდომარის პასუხიდან ირკვევა, რომ „განცხადების დანერაში ადგილი ჰქონდა პირად ინიციატივას და არ არის დანერილი მორწმუნეთა მოთხოვნით“, განცხადება დანერილია „ვინმე პიროვნების სპეციალური მუშაობის შედეგად“, ხელწერების ნაწილი გაყალბებულია. „რამაზ დავლაძე, ადემ ანთაძე აცხადებენ, რომ განცხადებაზე ხელი არ მოუწერიათ“. საქმეში შესაბამისად წარმოდგენილია დასახელებულ პირთა ხელწერილებიც. დოკუმენტში საუბარია სხვა სახის გაყალბებაზეც, კერძოდ: გაზრდილია რამიზ დავლაძის ასაკი (15-ის ნაცვლად განცხადებაში მითითებულია 25 წელი). დავითაძის

ინფორმაციით ლორჯომის მეჩეთი, რომელმაც ფუნქციონირება შეწყვიტა 1937 წელს, წარმოადგენს „ხის შენობას, რომელიც ექსპლოატაციისათვის გამოუსადეგარია“, რადგან შესაკეთებელია სახურავი, „შენობაში ჩადის წვიმა“. ამიტომ მეჩეთის გახსნა მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ (საქმე 14, ფურც.6,7). ცხადია, აღნიშნული დასკვნა განპირობებული იყო იმჟამინდელი რეალობითა და კონიუქტურული მოსაზრებებით.

საისტორიო საბუთებში საკმაოდ დეტალურადაა დახასიათებული **ებრაელების რელიგიური თემის** საქმიანობაც.

რწმუნებული ვანილიშის ინფორმაციით აქტიურად მუშაობს ებრაელთა რელიგიური თემი ახალგაზრდების რელიგიური სწავლების თვალსაზრისით. გახშირდა „მიცვალებულები-სადმი მიძღვნილი საღამოები, მოჰყავენ კარზინკებში მოკალათებული ქათმები, რომლებსაც ჰკლავს ერთი მოხუცი“ (აცსა. ფონდი — 977, ანაწერი — 1, საქმე — 13, ფურცელი — 5,6). ებრაული თემის გააქტიურებაზე მეტყველებს რელიგიური დღესასწაულების სისტემატიური აღნიშვნა და ფართო სააგიტაციო საქმიანობა. რწმუნებულის თქმით სამლოცველოსთან არსებული ფურნის აღდგენაც ამ მიზანს ემსახურება. 1948 წ. მეორე კვარტლის ანგარიშში დახასიათებულია ებრაელთა რელიგიური თემი, მორწმუნეთა ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობა. რწმუნებულს მორწმუნეთა შორის შეუნიშნავი არ დარჩენია 7 – 13 წლის ასაკის 11 ბავშვი, მოუთხოვია ბავშვებისგან ქუდის მოხდა და აუკრძალავს მათთვის სამლოცველო დაწესებულებაში სიარული, რასაც მოყოლია მორწმუნეთა მხრიდან პროტესტი: „ქუდს ვერ მოვიხდით, ცოდვად გვინერია,.. ქუთაისში, სოხუმში და სხვაგან დადიან ბავშვები სამლოცველო სახლებში“ და ჩვენ რატომ გვიკრძალავო. აკრძალვის მიუხედავად ბავშვები კვლავ მისულან სინაგოგაში, ხოლო ებრაელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს მამისთვალოვს და მორწმუნე იაკობაშვილს უარი განუცხადებიათ რწმუ-

ნებულის მოთხოვნების შესრულებაზე, რის გამოც რწმუნებულს შეუდგენია სათანადო აქტი. ებრაელებს მხოლოდ ამის შემდეგ მიუციათ რწმუნებულისათვის თანხმობა სამლოცველო სახლში ბავშვების სიარულის აკრძალვის შესახებ (აცსა. ფონდი — 977, ანაწერი — 1, საქმე — 16, ფურცელი — 5,6). ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ რელიგიური კულტების საბჭოს რესპუბლიკურ უწყებას საყვედური გამოუთქვამს ტუნაძისადმი (რწმუნებული აჭარაში) ძალადობრივი ელემენტების გამოყენების გამო და ურჩევია, რომ ძირითადი აქცენტი გადაეტანა ახსნა-განმარტებით საქმიანობაზე.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხორცის სავაჭროს გახსნასთან დაკავშირებით ებრაელთა მოთხოვნა. აღნიშნული მოთხოვნის აუცილებლობას ებრაელი მორწმუნეები იმ მოტივით ხსნიან, რომ ისინი „სხვის დაკლულს ან ბაზარში ნაყიდ ხორცს ანდა ცხოველის სხეულის ყველა ნაწილს” არ ჭამენ, რაზეც უარი მიუღიათ (აცსა. ფონდი — 977, ანაწერი — 1, საქმე — 16, ფურცელი — 9,18). განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია „მაცისათვის” (ებრაელთა რელიგიური დანესებულება) მზადების საკითხებზე. რწმუნებულის ანგარიშში ნათლად ჩანს მწვავე დაპირისპირება რუს და ქართველ ებრაელებს შორის. მართალია რუსი ებრაელები გაერთიანებული არიან „ამ საზოგადოებაში”, მაგრამ სამლოცველოში მათთვის „გამოყოფილია ცალკე დერეფანი”. რწმუნებული ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ ებრაელთა საზოგადოებას გააჩნია „160.000 მანეთამდე თანხა, მაგრამ შემნახველ საღაროში შეტანილი აქვთ 1400 მანეთი. ებრაელი მორწმუნეები გაურბიან სახელმწიფო დანესებულებებში სამსახურს და ცდილობენ სპეკულიაციით და კომბინაციებით ცხოვრებას” (აცსა. ფონდი — 977, ანაწერი — 1, საქმე — 13, ფურცელი — 5,6).

1948 წ. ებრაელთა თემის რაზინად აურჩევიათ **ელიგულაშვილი**. აღნიშნულთან დაკავშირებით რწმუნებულს მოუთხოვია შესაბამისი ოქმი. რელიგიური კულტების საბჭოს რწმუ-

ნებული საქართველოში დ. ქურიძე ავალებს რწმუნებულს აჭარაში – კალანდაძეს, რომ დაანესოს მასზე მკაცრი კონტროლი და თუ კი ელიგულაშვილი მიუღებელი აღმოჩნდება შესაბამისი ორგანოებისათვის, მაშინ ჩაერევა მილიცია და მას არ გაატარებენ რეგისტრაციაში (აცსა. ფონდი — 977, ანაწერი — 1, საქმე — 17). ელიგულაშვილი შაბათ იაკობის ძე, დადადებული 1886 წელს, იმჟამად ცხოვრობდა ქუთაისში. ბათუმელ ებრაელებს იგი სპეციალურად მოუწვევიათ ბათუმში, რადგან ბათუმის სინაგოგის ყოფილი რაბინი **მიხეილ მოძღვრიშვილი** არ იყო სათანადოდ მომზადებული რელიგიური ლოცვებისა და რიტუალების ჩასატარებლად. მოძღვრიშვილი ლოცვების ჩატარებას ახერხებდა **ლევინის** დახმარებით, რომელიც ბათუმიდან უკვე წავიდა (აცსა. ფონდი — 977, საქმე — 17, ფურცელი — 4,5). ელიგულაშვილის რაბინად არჩევის შემდეგ საკმაოდ გაძლიერდა რელიგიური თემის საქმიანობა, რაც გამოიხატა რელიგიურ დღესასწაულებზე მორწმუნეთა რაოდენობრივი ზრდის ტენდენციაში. იმისათვის, რომ ელიგულაშვილი არ წასულიყო ბათუმიდან, მისთვის თემს 300 მანეთი დაუნიშნია თვეში, თუმცა წინასწარ მიუციათ 2000 მანეთი და გაურემონტებიათ ბინა (აცსა. ფონდი — 977, საქმე — 17, ფურცელი — 6,7). მოგვიანებით 1949 წლისათვის მისი ხელფასი გაუზრდიათ 900 მანეთამდე. იგივე წყარო ადასტურებს, რომ მორწმუნეთა რაოდენობრივი ზრდა 1949 წლისათვის შეჩერდა. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია უმცროსი ასაკის ბავშვების წინდაცვეთის ჩვეულებაზე, რომელსაც მისდევდნენ ქართველი ებრაელები. მომდევნო წლების ანგარიშში იკვეთება მორწმუნეთა, მათ შორის ქალებისა და ბავშვების რაოდენობრივი შემცირების ტენდენცია. 1949 წ. ანგარიშის მიხედვით მორწმუნე ებრაელთა რაოდენობა იყო 70 კაცი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რელიგიური დღესასწაულების პერიოდში, მშრომელთა შრომის დისციპლინის საკითხების მიმართ.

შედარებით უფრო ვრცელი ინფორმაციაა „მაცის“ დღესასწაულთან დაკავშირებით. 1950 წ. ანგარიშის მიხედვით დღესასწაულის პერიოდში მოქალაქეებისათვის „მაცის დარიგებას უფასოდ ადგილი არ ჰქონია... რამდენიმე ებრაელმა შეაგროვა გარკვეული თანხა (7500 მანეთი)” და ეფრემ ჯანაშვილს ქუთაისიდან ჩამოატანინეს 300 კგ. გამომცხვარი მაცა. რელიგიური კულტების საბჭო კატეგორიულად უკრძალავდა სააღდგომო დღესასწაულის დროს სინაგოგაში ტრაპეზის მოწყობას, ღარიბებისათვის მაცის დაირგებას (ე.წ. მოეს ხიტიმ), სინაგოგაში დასაჯდომი „ადგილების ყიდვა-გაყიდვას” და ა.შ. ებრაელთა რელიგიური თემი განსაკუთრებით აქტიურობდა „რომ-გაშონის” (ახალი წელი), „იომ-კიპურ“-ის (განსჯის დღე) და „სუკოტის” (სუქა) დღესასწაულების დროს. ამიტომაც ექცეოდა იგი ხელისუფლების განსაკუთრებული ინტერესების სფეროში. ხელისუფლება სერიოზულ დარღვევად აფასებს „სინაგოგაში უნებართვოდ რადიორეპროდუქტორების დადგმას ღმერთმსახურების ქუჩაში გადასაცემად; რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ ებრაელთა ოჯახების ჩამოვლას და მათთვის გამოცხადება სინაგოგაში სავალდებულო დასწრების მიზნით; სინაგოგაში სპეციალური განცხადებების გამოკვრას დასაჯდომ ადგილების გაყიდვის მიზნით; სინაგოგაში ადგილების დამაგრებას იმ მორწმუნეებზე, რომლებიც სინაგოგას მეტი ფული „შენირეს”; ხელისუფლების ორგანოების უნებართვოდ სინაგოგის შენობათა გაფართოებას დროებით ფარდულის (ნავესის) მიშენების მიზნით” და ა.შ. (აცსა. ფონდი — 977, საქმე — 21, ფურცელი — 14).

საისტორიო საბუთებში წარმოდგენილია უხვი მასალა **ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტების** შესახებაც. ბათუმის „ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტების” თემი იყო ევანგელისტ-ბაპტისტთა საკავშირო რელიგიური თემის შემადგენელი ნაწილი. მათ ბათუმში დაქირავებული ჰქონიათ სამლოცვე-

ლო სახლი მაშინდელი გორკის ქუჩაზე 55, რომელსაც სათავეში ედგა პრესვიტერი **ალექსანდრე შაკინი** (ცოლ-შვილიანი, დაბადებული – 1899წ.) (აჭარის ცსა,ფ.ი.977, ა.1, საქმე 19, ფურც.20). 1947 წლის I კვარტლის ანგარიშის მიხედვით “ევანგელური ქრისტიანების-ბაპტისტების” საზოგადოების წევრები და თანამშრომლები ყოველთვიურად მატულობდა, რელიგიური პროპაგანდა კი უფრო ფართო ხასიათს იღებდა. პრესვიტერი შაკინი „სამლოცველოს“ გარეთაც აწარმოებდა რელიგიურ პროპაგანდას. მორწმუნეებს სწამდათ, რომ „ქრისტეს დაბადების 2000 წლისათავე დედამინაზე მოხდება დიდი ცვლილება, ყველანი იწამებს ევანგელურ ქრისტიან-ბაპტისტობას და მერე მოისპობა სიცოცხლეო” რომ „1941 წელს დაწყებული მსოფლიო ომი ჯერ არ დამთავრებულა და იგი უნდა დამთავრდეს ეგვიპტეშიო” (ფ. ი-977, ა.1. საქმე-13, ფურც.5).

რწმუნებულს თავის ანგარიშში ყურადღება მიუქცევია ევანგელისტთა რაოდენობრივი ზრდის მიზეზებზე. ანგარიშის მიხედვით ევანგელისტები ბათუმში რაოდენობრივად გაიზარდნენ რუსეთიდან ჩამოსულ მორწმუნეთა ხარჯზე. გარდა ამისა, ბათუმელ ევანგელისტებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ზესტაფონელ და მახარაძელ (ოზურგეთი) მორწმუნეებთან, რომ პრესვიტერი **შაკინი** (სხვათა შორის შაკინს ბრალს სდებდნენ უხეშობაში, სიმკაცრეში, ასევე ორცოლიანობასა და II მსოფლიო ომში მონაწილეობისაგან თავის არიდებაში) და ბაპტისტი **კალოტა** (სასულიერო პირი) დადიან ამ ქალაქებში „მიცვალებულის მომსახურების მიზნით” (ფ. ი. 977, ა.1. სამე 10, ფურც.6).

მომდევნო 1948 წ. ანგარიშების მიხედვით ევანგელისტთა რაოდენობა შემცირებულია. შესაბამისად შემცირებულია შემოსავლებიც. 1949 წლისათვის კი მათი რაოდენობა 120 მორწმუნეს აღწევდა. მოგვიანებით მათი რაოდენობა შემცირებულია 81 კაცზე, რადგან ზოგს შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი, ზოგიერთი კი გაურიცხიათ მათი რიგებიდან.

მორწუნეთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით პრესვიტერი უკავშირდებოდა დასავლეთ საქართველოს რაიონებს (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი), ასევე „აჭარის რაიონებში მცხოვრებ ბაპტისტებს“ და ცდილობდა მათ გაერთიანებას: 1948 წლის მაისში ორგანიზაციაში 14 წევრი გაუერთიანებიათ ჩოხატაურის რაიონის სოფ. ქვენობანიდან, შესაბამისად მოუთხოვიათ ნებართვა ახალი სამლოცველოს დაარსების შესახებ, რომელზეც მიუღიათ უარყოფითი პასუხი). ამავე დოკუმენტის მიხედვით 1948 წ. სექტემბერში ბათუმში ჩამოსულა ქრისტიან ბაპტისტების ცენტრის უფროსი ბაქოდან **ოვანესოვი**, რომელთანაც ამ საკითხზე უსაუბრია რწმუნებულს - პრესვიტერის სამოქმედო არეალის ბათუმის ფარგლებში შეზღუდვის მიზნით. 1949 წ. 25 ოქტომბერს შაკინი დაუპატიმრებიათ და პრისვიტერის მოვალოების შესრულება დაუკისრებიათ ვინმე **ხარონჟინისათვის**, თუმცა ტუნაძეს მისთვის არ მიუცია ლოცვების ჩატარების უფლება, რადგან იგი რწმუნებულის მიერ „რეგისტრირებული არ იყო“. აღნიშნული საკითხის მოსაგავრებლად თბილისიდან ჩამოვიდა მათი ლიდერი **დაუშენკო**, რომელმაც ჩაატარა ახალი პრესვიტერის არჩევნები. ეს პოსტი დაიკავა **ტუმენკომ** (რომელიც დასახლდა ანგისაში **შაბან აჯიბასთან**, მანამდე იგი პრესვიტერის ფუნქციებს ასრულებდა კრასნოდარში). ხარონჟინი არჩეულ იქნა მოადგილედ, ხოლო **ფეისკინი** — სარევიზიო კომისიის მდივნად (პრესვიტერის ხელფასი შეადგენდა 250 მანეთს).

ტუმენკო ბათუმში 1933 წლიდან ცხოვრობდა. 1949 წ. აირჩიეს პრესვიტერად. საზოგადოების მდივნის და პრესვიტერის მოადგილის მოვალეობას ასრულებს **კონსტანტინე ნევეჟინი** (იგი ამავე დროს სასტუმრო „ინტურისტის“ დარაჯიცაა), მოლარე არის **პავლე ხვესკინი**, სარევიზიო კომისიაში არიან **პეტრე დროზლიკი**, **მიხეილ კოვალევი** (პურის ქარხანაში ღუმელების შემკეთებელიცაა), **რომან მეჟენიანი** – დიაკონი, **იაკობ ხორუნჯი**. რელიგიური თემის 65 წევრიდან 31 ქალია, 12

მორწმუნე 18-დან 25 წლამდე ასაკისაა, უმრავლესობა არიან რუსები. მორწმუნეებიდან ორი ქალი სომეხია, 2 ქალი კი ებრაელი. ბაპტისტებად ნათლობას აწარმოებენ ზაფხულის ან შემოდგომის თბილ დღეებში. 1950 წ. შემოდგომაზე მონათლეს 4 კაცი (საქმე 23, ფურც. 12-13). ანგარიშში დახასიათებულია ევანგელისტთა ერთ-ერთი დღესასწაული „ვეჩერნაია“. რწმუნებულის დახასიათებით ეს დღესასწაული არის „ყოფა-ცხოვრებაში გაზრდილობის წარმოშობი საფუძველი მომავალი თაობისათვის“, რადგან ლოცვის დამთავრების შემდეგ „სალამოს 9ან 10 საათზე შენობაში მთლიანად აქრობდნენ სინათლეს და ერთი-მეორეს ჰკოცნიდნენ განურჩევლად სქესისა და ასაკისა“. ლოცვა მიმდინარეობს ყოველ კვირას დილიდან სალამომდე. დოკუმენტის მიხედვით რწმუნებულ ი. ტუნაძეს აუკრძალავს აღნიშნული რიტუალის ჩატარება, განსაკუთრებული კონტროლი იყო რელიგიურ ლოცვებსა და რიტუალებში ბავშვების მონაწილეობაზე.

ამრიგად, რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცული დოკუმენტები წარმოადგენს პირველხარისხიან წყაროს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლისა და ობიექტური გააზრებისათვის. დოკუმენტები ადასტურებენ, რომ მორწმუნეთა რელიგიური თემების ზედამხედველობის მიზნით სახკომსაბჭოსთან შექმნილი სტრუქტურები (მუშეექცია, მოგვიანებით რელიგიური კულტების საბჭო და ა. შ.) იყო მძლავრი ბერკეტი ანტირელიგიური პროპაგანდისა და რელიგიური თემების საქმიანობაზე საბჭოთა ხელისუფლების სრული კონტროლის დამყარების მიზნით. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მკითხველი წინამდებარე კრებულში გაეცნობა უალრესად სანტერესო დოკუმენტურ მასალებს.

დოკუმენტების ნაწილი შედგენილი იყო რუსულ ენაზე, რომლის თარგმანი შესრულდა **ფრ. ქარდავას, ც. ცინცაძის, ნ. ქიქავას, მ. სურმანიძის, ქ. იაკობაძის, თ. ფუტყარაძის, და ნ.**



**გოგითის მიერ.** სარედაქციო საბჭო მაღლობას უხდის მათ კრებულის მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის.

**გამოყენებული წყაროები:**

1. აჭარის არ ცსა, ფონდი ი-977, ანან. I  
საქმე 10, ფურც. 10  
საქმე 14, ფურც.3,6,7  
საქმე 16, ფურც.10,13  
საქმე 17, ფურც.4  
საქმე 18, ფურც.26  
საქმე 19, ფურც. 12,13,14,15,20,22  
  
საქმე 20, ფურც.9).  
საქმე 20-ა, ფურც.24  
საქმე 21, ფურც.1,5  
საქმე 21-ა, ფურც. 1,2,3  
საქმე 23, ფურც 13,14,15,19,20,27,32
2. მოქმედი მუსლიმური საკულტო და სასწავლო ნაგებობა-  
ნი (აჭარის ავტონომიური რესოუბლიკა), რუკა, ბათუმი,  
2010, შეადგინა რ. ბარამიძემ

**სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური  
კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდი  
საარქივო დოკუმენტები**

**(ფონდი №977)**

მასალები მოიძიეს და პუბლიკაციისათვის მოამზადეს  
თამაზ ფუტყარაძემ და მზია სურმანიძემ)

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო  
დადგენილება №572**

**19 მაისი 1944 წელი**

**მოსკოვი, კრემლი**

**რელიგიური კულტების საბჭოს ორგანიზების შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრკ სახალხო კომისარიატთან ორგანიზებულ იქნა რელიგიური კულტებთან ურთიერთობების საბჭო, რომელსაც დაევალოს საბჭოთა ხელისუფლებასა და რელიგიური გაერთიანებების ხელმძღვანელთა შორის ურთიერთობების დამყარება: სომხურ-გრიგორიანული, ძველ წეს-ჩვეულებათა, კათოლიკური, ბერძნულ-კათოლიკური, ლუთერანული ეკლესია და მუსლიმანური, იუდეური, ბუდისტური, სექტანტური აღმსარებლობის საკითხებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა, საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნის მიხედვით.

2. რელიგიური კულტების საბჭოს წარმომადგენლად სსრ სახალხო კომისარიატთან ერთად დაინიშნოს ბატონი კონსტატინე არტიომის ძე ზაიცევი.

3. 10 დღის განმავლობაში კ.ა.ზაიცევი წარდგენილი იქ-  
ნას

სსრ კავშირის სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

ფონდი №977; საქმე №1; ფურც. 6.

*სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო*

*დადგენილება №673*

*6 ივნისი 1944 წელი მოსკოვი, კრემლი*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს 19 მაისი 1944 წლის დადგენილება 572 –  
ში პუნქტი 2, კ. ა. ზაიცევის რელიგიური კულტების წარმო-  
მადგენლად დანიშვნის თაობაზე.

2. დაინიშნოს რელიგიური კულტების საბჭოს წარმო-  
მადგენლად სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთან ბატონი  
ბ. ი. პოლიანსკი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

ფონდი №977; საქმე №1; ფურც. 7.

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო**  
**დადგენილება №1543-486**  
**1944 წლის 1 დეკემბერი** **მოსკოვი კრემლი**

**მართმადიდებლური ეკლესიებისა და სამლოცველო**  
**სახლების შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს დახურვა დადგენილი წესით რეგისტრირებული მართმადიდებელი ეკლესიებისა, რომლებიც ყოფილ საეკლესიო შენობებში მოქმედებენ და იმ სამლოცველო სახლებისა, რომლებიც მორწმუნეთს მიერ იჯარით აღებულ სადგომებში არიან მოთავსებული, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსული მართმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებადაურთველად.

2. ნება დაერთოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკომსაბჭოებს, საოლქო და სამხარეო აღმასკომებს, საჭიროების შემთხვევაში, გაანთავისუფლონ სახლმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებათა შენობები /სკოლები, კლუბები, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებანი და სხვ./, რომლებიც გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში გამოყენებული იყო ეკლესიებად და სამლოცველო სახლებად. ამასთან მისცენ საეკლესიო საზოგადოებებს დრო, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოსძებნონ სხვა შენობები იჯარის უფლებებით.

ისეთ შემთხვევებში, როცა აღნიშნული სახლმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოთავსებული იყვნენ ყოფილ საეკლესიო შენობებში, ხოლო ოკუპაციის პერიოდში ეს შენობები რელიგიურმა საზოგადოებებმა დაიკავეს, ამ შენობების განთავისუფლების საკითხი უნდა გადაიჭრას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსული მართმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოსთან შეთანხმებით.

3. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსული მართმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს, როცა მორწმუნეთა მნიშვნელოვანი ჯგუფისაგან მიღებული იქნება შუამდგომლობა მართმადიდებელი ეკლესიის ან სამლოცველო სახლის გახსნის შესახებ, თუ რაიონში ან ქალაქში არ მოიპოვება მოქმედი ეკლესიები ანდა მოქმედი ეკლესია განმცხადებელთა საცხოვრებელი ადგილიდან მნიშვნელოვან მანძილზე მდებარეობს, - დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 28 ნოემბრის 1325 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

პირველ რიგში დააკმაყოფილებულ უნდა იქნეს მორწმუნეთა შუამდგომლობანი იმ ეკლესიების გახსნის შესახებ, რომელთა მიმართაც არ ყოფილა გამოტანილი დადგენილებანი მათი დახურვის შესახებ და საეკლესიო შენობები თავისუფალია და მათი გადაკეთება არ მომხდარა.

4. აეკრძალოს საეკლესიო შენობების გადაკეთება სხვა მიზნებისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს არსებულ რუსული მართმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებადაურთველად.

5. დაწესდეს, რომ საეკლესიო შენობების დანგრევა ან აღება დაიშვება საოლქო /სამხარეო/ აღმასკომის ან რესპუბლიკის სახკომსაბჭოს განკარგულებით განსაკუთრებულ შემთხვევებში /თუ შექმნილია მისი ჩამონგრევის საფრთხე და სხვა./, უკეთუ ამის შესახებ შედგენილია ტექნიკური აქტი და არსებობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებ. რუსული მართმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის დასკვნა.

6. დაწესდეს, რომ ახალი სამლოცველო შენობების მშენებლობა დაიშვება ცალკეულ შემთხვევებში მორწმუნეთა ძალებითა და სახსრებით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსული მართმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებაართვით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი  
სსრ კავშირის სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

ფონდი №977; საქმე №1; ფურცელი 9-10.

ფონდი №977; საქმე №2; ფურც.  
საინსტრუქციო წერილი 5

**სამლოცველო დაწესებულებების გახსნასთან დაკავშირებული საქმეების გაფორმების წესების შესახებ**

მიუხედავად დღის წესრიგისა, საბჭოს უფლებამოსილი პირისათვის დადგენილი ინსტრუქციით, რელიგიური კულტების საქმის თაობაზე და საბჭოს შემდგომი (მომდევნო) სპეციალური განკარგულებისა, სამლოცველო შენობების გახსნასთან დაკავშირებით, საბჭოს უმეტესი უფლებამოსილი პირი ამასთან მიმართებაში უშვებს ძალზე დიდ დაუდევრობასა და მოუწესრიგებლობას. ბევრ შემთხვევაში საბჭოში შემოდის არა გაფორმებული საქმეები სამლოცველოების გახსნის თაობაზე, არამედ მიმოფანტული, რომელთაც ხშირად აკლია საჭირო დოკუმენტები. ჩვეულებრივ არ არის: სამლოცველო შენობების ტექნიკური, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო აქტები; არ არის ასევე შემონმებული დოკუმენტები; არ არის მითითებული მორწმუნეების საორიენტაციო რიცხვი; არ შედის საბჭოს უფლებამოსილი პირის დასკვნები, მინისტრთა საბჭოს თუ აღმასკომის, რელიგიური კულტების ცენტრის თავმჯდომარის აზრები; დოკუმენტებზე არ არის მითითებული თარიღები და გასვლის ნომერი და ა.შ.

ამ უარყოფითი მოვლენების ნიადაგზე იქმნება მიმოწერა და ხდება განაცხადის განხილვის შეჩერება. ასეთ არანორმალურ ვითარებას წერტილი უნდა დაესვას.

სამლოცველო შენობების საქმის გაფორმების გათვალისწინებით, საბჭო მოითხოვს უფლებამოსილი პირებისაგან დადგენილი წესით მკაცრ მეთვალყურეობას.

მორწმუნეთა განაცხადის მიღების შემდეგ, სამლოცველოების გახსნის თაობაზე, ამ შუამდგომლობის წინასწარი გადახედვით და შესაბამისი შემოწმებით, საბჭოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღძრას სპეციალური საქმე, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მორწმუნეების შუამდგომლობა სამლოცველოების გახსნის თაობაზე, ხელმოწერილი ყველა განმცხადებლის მიერ (არანაკლები 20 სრულწლოვანი მოქალაქისა) იმ ბრძანებით – თუ რა რაოდენობას წარმოადგენს მოცემული კულტის და მოცემულ ადგილას მცხოვრები მორწმუნენი (სავარაუდოდ). ხელმოწერები უნდა იყოს ტექსტის ქვევით და არა თანდართული ცალკე ფურცელზე, როგორც ეს ხდება განსაკუთრებით შუა აზიის რესპუბლიკებში.
- ბ) ხელმოწერილი პირთა ნომინალური სიის ფორმა: ნომერი რიგზე, გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, მოქალაქეობა, სამუშაო ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, სასამართლოს წესით ჩამორთმეული აქვს თუ არა საარჩევნო უფლებები, პირადი ხელმოწერა, და მასზე შეტანილი მონაცემების დამადასტურებელი.
- გ) მთელი კორესპონდენცია, რომელიც ეხება ამ ხალხის გადამოწმებას და ასახავს შემოწმების რეზულტატს, იმ შემთხვევაში თუ საჭიროებს ასეთი შემოწმება;
- დ) სამლოცველოების ტექნიკური, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის აქტები (იმ შემთხვევაში, როცა ინარმოება სამლოცველო შენობების

გამოკვლევა), სამლოცველოების დახასიათება ანუ შენობის კუბამეტრობის (მოცულობის) შესახებ, მისი ადგილომდებარეობა, იზოლირებულობა, შესასვლელებზე, სათადარიგო გასასვლელებზე, ფანჯრებზე და ა.შ.

- ე) სახლის მეპატრონის თანხმობა (იმ შემთხვევაში, როდესაც პირად საკუთრებაში მყოფი სახლი ხდება სამლოცველო) 3-5 წლით იჯარით ფართის გაცემაზე სამლოცველო მიზნებისათვის;
- ვ) რელიგიური ცენტრის წარმომადგენლის აზრი, სამლოცველო შენობის გახსნის თაობაზე;
- ზ) საბჭოს უფლებამოსილი პირის დასკვნა, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული: ყველა ის პირი, რომელიც ხელს აწერს შუამდგომლობას სამლოცველოს გახსნაზე, არის სრულწლოვანი და არ აქვთ ჩამორთმეული საარჩევნო უფლება; მორწმუნეთა რა რაოდენობას წარმოადგენს (სავარაუდოდ) მოცემული „ოცეული“; რა მდგომარეობაშია ეხლა სამლოცველო შენობა, რომლის გახსნას უშუამდგომლობენ მორწმუნეები; როგორ გამოიყენება ეხლა ის (თუ იყო დახურული – როდის და რომელი საბჭოთა ორგანოს მიერ); იმ რელიგიური კულტის მოქმედი და უმოქმედო სამლოცველო შენობების რაოდენობა, რომელშიც მიეკუთვნებიან განმცხადებლები იმ ადგილომდებარეობის, სადაც იგეგმება სამლოცველოს გახსნა; განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილიდან მანძილი ახლომდებარე მოქმედ სამლოცველომდე.
- თ) რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ან საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელი კომიტეტის დეპუტატის დასკვნა.

ყველა ეს დოკუმენტი უნდა იყოს სისტემატიზებული, საქალაქდემოი ჩაკრული, დანომრილი, საქმის პირველ გვერ-



დზე უნდა იყოს დოკუმენტის აღწერა (სია), და გარეკანზე – მიეთითოს უნდა მისი წარმოქმნის (შედგენის) დრო (თარიღი ისმება მორწმუნეთა შუამდგომლობის შემოტანის დღიდან).

მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში მყოფი საქმე იქნება საბჭოში გაგზავნილი გადასახედად.

საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ მორწმუნეთა შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ და სსრკ მთავრობის თანხმობა მოცემულ გადაწყვეტილებაზე, ეს საქმე უბრუნდება რწმუნებულს, რომელიც ავსებს მას შემდეგი დოკუმენტებით:

- ა) ხელშეკრულება სამლოცველო შენობის უფასოდ გამოყენების ან იჯარით აღებული შენობისა;
- ბ) კულტის ქონებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების საინვენტარიზაციო აღწერა;
- გ) აღმასრულებელი ორგანოს და სარევიზიო კომისიის წევრთა სია (პირადი მონაცემები);
- დ) კულტის მსახურთა პირადი მონაცემები;
- ე) თემის რეგისტრაციის ცნობის ქსეროასლი, ასევე მისი აღმასრულებელი ორგანოს, სარევიზიო კომისიის და კულტის მსახურის;
- ვ) დარეგისტრირებულ თემში მოსალოდნელი ცვლილებების სხვა დოკუმენტები.

საბჭო აფრთხილებს უფლებამოსილ პირებს, რომ ამიერიდან, სამლოცველოების შენობის გახსნის საქმის დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში, საბჭოს მიერ აღარ იქნება განხილული და საქმის გაფორმებისას საბჭოს უფლებამოსილი პირების დარღვევებისა და დაუდევრობის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ ჯარიმები.

საინსტრუქციო წერილის მეოთხე პუნქტში წერია, რომ ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია ავლენს იმის ტენდენციას, რომ შექმნან უმნიშვნელო (პატარა) თემები ისეთ ადგილებში, სადაც არსებობს მოცემული კულტის ძველი, მოქმე-

დი და დარეგისტრირებული თემები. საბჭო განსაკუთრებულად ხაზს უსვამდა, რომ ჯგუფის 20 მორწმუნის შუამდგომლობა, სამლოცველოების გახსნასთან დაკავშირებით, არ მეტყველებს იმაზე, რომ მათი მოთხოვნა ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. საბჭოს უფლებამოსილი პირები მსგავსი შუამდგომლობის განხილვისას, გარდა ინსტრუქციის პირველი ნაწილისა, რომელიც განკუთვნილია საბჭოს უფლებამოსილ პირთათვის, უნდა მიიღონ მხედველობაში ისეთი გარემოებები, როგორც არის არსებობა ამ ადგილმდებარეობაში ან ახლოს მოცემული კულტის დარეგისტრირებულ თემებს, სადაც მორწმუნე მოქალაქეების უმნიშვნელო რიცხვია, ახალი თემის ჩამოყალიბების მსურველებს შეიძლება დაუკმაყოფილოს თავისი პირადი რელიგიური მოთხოვნები.

საბჭო ზოგიერთ შემთხვევაში აიძულებდა თავის რწმუნებულებს, რომ მორწმუნეების ზიანის მიუყენებლად, უეარყოთ შუამდგომლობა სამლოცველოების გახსნის თაობაზე და ასეთ შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს მიერ საოლქო/სამხარეო/ალმასკომიტეტს გამოეტანა მოტივირებული გადაწყვეტილება. ეს ბრძანება გათვლილი იყო იმაზე, რომ გარკვეულწილად შეეზღუდათ რელიგიური განათლების (ცოდნის) ზრდა.

პრაქტიკამ დაამტკიცა საბჭოს ასეთი სიზუსტე და საბჭოს უფლებამოსილ პირთა უმრავლესობამ შეძლო ამ სისწორის გატარება მეტად ტაქტიკურად. საბოლოოდ საბჭომ განაცხადა, რომ პატარა ჯგუფებზე ახალი თემების წარმოქმნა ბოლო დროს შესაძენევად შემცირდა.

თუმცა, ზოგიერთმა უფლებამოსილმა პირმა არასწორად გაიგო მოცემული მითითება და მინისტრთა საბჭოდან, საოლქო/სამხარეო/ალმ.კომიტეტიდან თავიანთი წინადადებებით აფორმებდნენ ასეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც არ

გამოინვევდენ აუცილებლობას, ან იყო იმდენად არასწორად მოტივირებული, რომ ინვევდნენ არასასურველ შედეგებს.

ადგილობრივი აღმას. კომიტეტიდან საბჭოს უფლებამოსილი პირის წინადადებით გამოდიოდა ისეთი გადაწყვეტილებები, როგორცაა მაგალითად: „რელიგიური მიზნებისათვის შეუფერებელი ნაგებობის გამო და მორწმუნეების უმცირესობის გამო, შუამდგომლობა სამლოცველოების გახსნის თაობაზე უარყოფილი უნდა იყოს“.

ეს მოტივაცია არასწორია, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ თუ ნაგებობა შეუფერებელია საკულტო მიზნებისათვის, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი “მცირერიცხოვან ჯგუფებზე” ან კიდე, მეორე; რომელიც ეყრდნობა პირველს, და რომლის არსი მდგომარეობს ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომელიც აუწყებს მორწმუნეთა წარმომადგენლებს ამ მცირერიცხოვან ჯგუფებზე, თვით გადაწყვეტილება ააქტიურებს ამ ჯგუფების ინიციატორების მოქმედებებს, რათა ხელოვნურად გაზარდონ მათი რიცხოვნობა.

მას გარდა, ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა საბჭოში მსგავსი საქმეების შემოსვლა, მაგალითად: სამლოცველოებისათვის ფართის ნაკლებობა, მორწმუნეების უმცირესობა და ა.შ.

საბჭო საჭიროდ თვლის, რომ დაადგინოს შემდეგი დღის წესრიგი მორწმუნეების შუამდგომლობაზე უარის თქმაზე:

- ა) განსახილველად ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცა და მისივე გადაწყვეტილებით შუამდგომლობაზე უარი ეთქვათ მორწმუნეებს, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის შესაძლებელი მორწმუნეთათვის გათავისუფლება და საკუთრებაში გადაცემა სამლოცველო შენობებისა, რომლებიც დაკავებულია კულტურული და თავდაცვითი მიზნებისათვის, გადაკეთებულია საცხოვრებელ ან

სამრეწველო სანარმოდ. ასეთ შეთხვევებში, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება და უფლებამოსილი პირის დასკვნა, რომლის საფუძველზე გამოტანილ იქნა ზემო ხსენებული გადაწყვეტილება, იგზავნება საბჭოში (საქმის გარეშე).

- ბ) იმ შემთხვევაში თუ გამოკვლეულ იქნა შენობის გამოუსადეგრობა საკულტო მიზნებისათვის (შენობის ჰაერგამტარიანობა; ტექნიკური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო პირობების არ არსებობა და ა.შ.), საბჭოს მიერ უფლებამოსილი პირი ამ უარყოფას ლეზულობს დამოუკიდებლად, რომლის შესახებაც საბჭოს აუწყებს სპეციალური წერილით, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი გადაწყვეტილების საფუძველი.
- გ) მორწმუნეთა მცირერიცხოვანი ჯგუფის შემთხვევაში (20 ადამიანი ან ცოტათი მეტი) საბჭოს მიერ უფლებამოსილმა პირმა, ხელმძღვანელობს რა საინსტრუქციო წერილის მეოთხე პუნქტით - ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე უნდა დააყენოს ამ საკითხის განხილვა. ზემოთხსენებული საკითხის გადასაწყვეტად არ მიიღება ის გარემოება, რომ მცირერიცხოვანი ჯგუფია და აუცილებელია სხვა გარემოების დასაბუთება (მაგალითად: ახლო მანძილი იგივე კულტის დარეგისტრირებული თემისა, არასაკმარისი კუბატურა (მოცულობა), შენობის არაიზოლირებულობა და ა.შ.). ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილება საქმის გარეშე საბჭოს იგზავნება მოხსენების სახით, რომელსაც თან ერთვის უფლებამოსილი პირის წერილობითი ახსნა-განმარტება.

დ) შუამდგომლობა, რომელიც ხელმოწერილია 20-ზე ნაკლები სრულწლოვანი პირის მიერ ან თუ შუამდგომლობაზე ხელის მომწერნი არ მიუთითებენ კონკრეტულ პენობაზე, რომელსაც ისინი მოითხოვენ, განხილვას არ ექვემდებარება და უკან ეგზავნებათ განმცხადებლებს საბჭოს უფლებამოსილი პირის წერილობითი ან სიტყვიერი მოტივაციით.

ე) მონაცემებში რომლებიც თან ერთვის შუამდგომლობას გაყალბების აღმოჩენისას (სხვადასხვა მორწმუნეებს, რომლებიც თანდართულ სიაში არიან მათი ცოდნის გარეშე, ხელწერების მიღება ზენოლის შედეგად, ტყუილის, ან სხვა პირების მიერ ხელწერების გაყალბებით), უფლებამოსილი პირი ასეთ შუამდგომლობებს არ განიხილავს და უარეს შემთხვევაში აგზავნის მათ საოლქო პროკურორთან, რათა პირებმა რომლებმაც ჩაიდინენ ზემოთ ხსენებული გაყალბებები, მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.

**საყოფაცხოვრებო საქონლით მომარაგების წესდება  
რელიგიური კულტის მსახურთა და მათთან  
მომუშავე პერსონალისათვის, რელიგიური  
საზოგადოების წევრთათვის**

სსრკ მინისტრთა საბჭომ თავისი განკარგულებით 1946 წ. 3 დეკემბერს, 13440 განაცხადა, შენარჩუნდეს სსრკ ვაჭრობის სამინისტროს მოქმედი წესდება საყოფაცხოვრებო საქონლით კულტის მსახურთა და მომსახურე პერსონალის, აგრეთვე რელიგიური საზოგადოების (ქალაქებში) მომარაგება დაწესებული ნორმის მიხედვით მომსახურეთა რაოდე-

ნობის გათვალისწინებით შეთანხმებული წესით საბჭოს უფლებამოსილ პირებთან რესპუბლიკებში, ოლქებში და მხარეებში.

საბჭო თვლის აუცილებლად, რომ განისაზღვროს იმ პირთა კატეგორია, ვისაც ეძლევა უფლება მოამარაგოს ნორმირებული საყოფაცხოვრებო საქონლით და დაამყაროს წესრიგი საყოფაცხოვრებო საქონლის მისაღები წიგნაკების გაცემის დროს.

კულტის მსახურებს მიეკუთვნებიან: ხელმძღვანელები, რესპუბლიკის (ოლქის) რელიგიური ცენტრების წარმომადგენლები, ეპისკოპოსები, რეგისტრირებული მოძღვრები, მღვდლები, სულიერი მამები, დიაკვნები, ე.წ. „სტაროვერები“, რაბინები, მოლები, ლამები.

მომსახურე პერსონალში შედიან: რელიგიური ცენტრების აუცილებელი თანამშრომლები, ასევე დარეგისტრირებული რელიგიური საზოგადოების თანამშრომლები (მმართველები, ბულალტრები, მდივან-მემანქანეები, საქმეთა მმართველები, დამლაგებლები, ცეცხლფარეშები, დარაჯები და ა.შ.).

დგინდება შემდეგი წესები საყოფაცხოვრებო საქონლის მისაღები წიგნაკების გასაცემად კულტის მსახურთა და ქალაქის რელიგიური საზოგადოების მომსახურე პერსონალისათვის.

საბჭოს უფლებამოსილი პირები რესპუბლიკებში, ოლქებში და მხარეებში წიგნაკების გაცემამდე ვალდებული არიან საკავშირო ვაჭრობის სამინისტროს ყოველთვიურად წარუდგინონ რესპუბლიკის (ავტონომიური), მხარის, ქალაქის, ოლქის კულტის მსახურთა და მომსახურე პერსონალის, რელიგიური საზოგადოების მსახურთა ზუსტი რაოდენობრივი მონაცემები. ეს სიები უნდა ეყრდნობოდეს არსებულ პერსონალურ სიებს, რომლებიც ყოველთვე მიეწოდება საბჭოს უფლებამოსილ პირს, რელიგიური კულტის ცენტრის ხელ-

მძღვანელთა მიერ. სიები დგინდება მხოლოდ დარეგისტრირებული რელიგიური ცენტრების მსახურთა და მომსახურე პერსონალისთვის, დამონმებული ადგილობრივი წარმომადგენლისა და რელიგიური კომისიების საქალაქო რელიგიური საზოგადოების მიერ.

ამასთანავე, მიღებულ უნდა იყოს მხედველობაში, რომ სიები უნდა იყოს გულდასმით გადამონმებული ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

### **წესდება – შეთანხმების შესახებ წყალში ნათლობის ადგილებზე**

საბჭოს უფლებამოსილი პირების ინსტრუქციაში და ამასთანავე სპეციალური მითითებებით დადგინდა წესდება-შეთანხმება წყალში ნათლობის ადგილების შესახებ, ევანგელისტ-ქრისტიანების და მეშვიდე დღის ადვენტისტების მსახურთათვის. პრაქტიკამ უჩვენა, რომ ზოგიერთი საბჭოს უფლებამოსილმა პირმა წყალში ნათლობის შესახებ მიღებული დადგენილება დაარღვია, ცალკეულ მხარეებში (კუიბიშევის, ნოვოსიბირსკის და სხვა) წყალში ნათლობა ჩატარდა არამარტო საბჭოს უფლებამოსილი პირების შეუთანხმებლად, არამედ ხალხმრავალ ადგილებში, ჩვეულებრივ დასვენების დღეებში. ამით დემონსტრაციულად გამოიკვეთა რელიგიური პროპაგანდა. ა/წ. ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით წყალში ნათლობასთან დაკავშირებით ევანგელისტთა და ადვენტისტებისათვის საბჭო რეკომენდაციას იძლევა შემდეგი წესების დაცვისაკენ აღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად:

- ა) ევანგელისტთა და ადვენტისტთა საზოგადოება ვალდებულია წინასწარ, არაუგვიანეს ორი კვირისა, საბჭოს ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენლობაში

(ქალაქის საბჭოში, რაიონის აღმასკომში, სოფ. საბჭოში) შეიტანოს შუამდგომლობა ჩასატარებელი ღონისძიების ჩატარების ნებართვის თაობაზე მითითებულ ადგილებში, განსაზღვრულ დღესა და საათზე.

- ბ) ამავე დროს ევანგელისტთა და ადვენტიტთა საზოგადოება მოახსენებს მთავარ წარმომადგენელს (რესპუბლიკის, სამხარეო რაიონის) მიმართვის მოსამზადებლად. მთავარი წარმომადგენელი თავის მხრივ აწოდებს ინფრომაციას საბჭოს წევრს.

ასეთი წესდების მიხედვით პირველ რიგში დაცულია საბჭოთა კანონმდებლობა რელიგიური წესების შესრულების შესახებ, მეორე რიგში – საბჭოს უფლებამოსილი პირი ყოველთვის იქნება საქმის კურსში წყალში ნათლობის ყველა პროცესიის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში დაარეგულირებს ევანგელისტთა და ადვენტიტთა საზოგადოებების ამ მხრივ ჩატარებულ ღონისძიებებს.

საბჭოს უფლებამოსილი პირები იმ რესპუბლიკებში, ოლქებში და მხარეებში, სადაც არსებობს ევანგელისტთა და ადვენტიტთა საზოგადოებები, მათი ხელმძღვანელები ვალდებული არიან წინასწარ მოახსენონ მთავარ წარმომადგენლებს შეთანხმებული წესდების მიხედვით წყალში ნათლობის ადგილების თაობაზე და შეთანხმდნენ მათთან არსებული წესების აუცილებლად შესრულებაზე და გააგზავნონ ხელმოწერისათვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ან მოადგილესთან (მხარის, ოლქის, აღმასკომის). აღმასრულებელ კომიტეტებს სპეციალური წერილით შეუთანხმონ წესდება წყალში ნათლობის წესის შესასრულებელი ადგილის შესახებ.



## **წესდება შუამდგომლობის აღძვრის შესახებ მორწმუნეთა სალოცავის მისამართის შეცვლის შესახებ**

ნომერ მესამე საინსტრუქციო წერილის მეორე დამატებითი პუნქტით საბჭო განმარტავს: შუამდგომლობა სალოცავი ადგილის ცვლილების შესახებ, როგორც წესი ხელმოწერილი უნდა იყოს არანაკლებ ოცი სრულწლოვანი, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქის მიერ, დარეგისტრირებულ რელიგიურ საზოგადოებაში, ე.ი. იმ „ოცეულის“ მიერ, რომლებმაც აიღეს ვალდებულება რელიგიური საზოგადოების დარეგისტრირების დროს.

### **რელიგიური საზოგადოებების პატრიოტული მოღვაწეობის შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოს ზოგიერთი წარმომადგენელი შეფასების კრიტერიუმის სახით რელიგიური საზოგადოებისა და კულტის მსახურთა მოღვაწეობის ხარისხს ნებაყოფლობით შემოწირული შეგროვილი თანხის რაოდენობის მიხედვით განსაზღვრავს, რომელიც გროვდება საბჭოთა არმიისათვის, ობლებისათვის, რელიგიური საზოგადოების მიერ ამ შეთანხმების შეგროვების გაძლიერებული მეთოდების შესახებ იძლევა განმარტებას. მიუხედავად იმისა, რომ თანხები ნებაყოფლობით ირიცხება, ეს არ განსაზღვრავს არსებული საზოგადოებების კერძო საშინაო საქმეს და ესა თუ ის დაინტერესება არ შედის საბჭოს წარმომადგენლის მოვალეობაში. მით უმეტეს, ამ უკანასკნელს არ აქვს უფლება მოითხოვოს რელიგიური საზოგადოების აღმასრულებელი პირებისაგან ან მსახურთაგან რაიმე სახის რეგულარული გადმორიცხვები სახელმწიფოსათვის აღნიშნული წესებით.

ამასთანავე საბჭო რეკომენდაციას აძლევს უფლებამოსილ პირებს ყურადღება მიაღწეონ, რომ საბჭოთა ორგანოების რიგითი თანამშრომლები (რაიალმასკომის, ფინგანის, სოცუზრუნველყოფის განყოფილებები) არ ჩაერიონ რელიგიური საზოგადოების საშინაო საქმეებში და არ წაუყენონ რაიმე სახის მოთხოვნა ნებაყოფლობითი შემოწირულობების თაობაზე, თუკი რომელიმე ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, საბჭოს უფლებამოსილმა პირმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს ადგილობრივ ორგანოებს ამ არანორმალური მოვლენის შესახებ, შემდეგ კი – აღნიშნოს ეს ფაქტი მორიგ საინფორმაციო მოხსენებაში და მიანიშნოს რომ აღარ განმეორდეს აღნიშნული ფაქტი. მიანიშნოს აგრეთვე მიღებული ზომების შესახებ.

### **სრულუფლებიანი საბჭოს მუშაობის გეგმის შესახებ**

4 საინსტრუქციო წერილში საბჭომ დაავალდებულა სრულუფლებიანი წარმომადგენლები, საინფორმაციო წერილობით მოხსენებაში (მიმდინარე კვარტალში) წარმოადგინონ მომავალი კვარტლის სამოქმედო გეგმა. წერილში ახსნილია, რომ „სამუშაო გეგმა უნდა შეიცავდეს კონკრეტულ საკითხებს“.

ოცდაცხრამეტმა წარმომადგენელმა რესპუბლიკებში, ოლქებში და მხარეებში საერთოდ არ წარმოადგინეს სამუშაო გეგმა. საბჭო ითვალისწინებს, რომ მთავარი მიზეზი გეგმის წარმოდგენის დაგვიანებისა 1947 წ. პირველ კვარტალში, არის ის, რომ ნომერ მეოთხე სარეკომენდაციო წერილი გაიგზავნა მხოლოდ 1946 წლის დეკემბრის ბოლოს, ე.ი. მაშინ, როცა საინფორმაციო მოხსენებები ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ უკვე წარდგენილი იყო. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული მოხსენებების შინაარსი არ არის დამაკმაყოფილებელი; ისინი არაკონკრეტულია, დაუსაბუთებე-

ლი ან შეუსრულებელი, თარიღის მიხედვით არასწორი, რიგი კვარტალური გეგმებისა შედგენილია ნახევარი ან ერთი წლის გეგმით.

ანიჭებს რა, სერიოზულ მნიშვნელობას მუშაობის გეგმას, საბჭო მოითხოვს შედგეს კონკრეტული გეგმები და გამოაგზავნონ საბჭოში, უსიტყვოდ შესრულდეს დავალება, მორიგ საინფორმაციო მოხსენებაში აისახოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

### **საიდუმლო დოკუმენტების შენახვის შესახებ**

დოკუმენტები, შემოსული საბჭოდან თავისი წარმომადგენლების მიმართ (საინსტრუქციო წერილების სახით, მითითებები მოხსენებითი განცხადებების შესახებ და ა.შ.) და წარმომადგენელთა მიერ საბჭოში მიწერილ წერილებში (საინფორმაციო მოხსენება, გადარიცხვები, წერილები ზოგიერთი პრინციპული საკითხის შესახებ) ჩვეულებრივ შეიცავს საიდუმლო ხასიათს და მოითხოვს შესაბამის შენახვას.

საბჭო ფლობს ფაქტებს, რომლებიც უჩვენებს, რომ ზოგიერთი საბჭოს წარმომადგენელი არა მხოლოდ არღვევს საიდუმლო დოკუმენტების შენახვის წესებს, არამედ დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენს მათ მიმართ.

ასე, მაგალითად საბჭოს წარმომადგენელი კურსკის მხარეში ამხ. ბოდინი „ინახავდა“ საიდუმლო დოკუმენტებს უბრალოდ სანერი მაგიდის უსაკეტო უჯრაში, რომელიც, ნებისმიერი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი იყო წარმომადგენლის არყოფნის შემთხვევაში.

საბჭოს ყოფილმა წარმომადგენელმა ჯამბულის მხარეში ამხ. გრაზიმბეტოვმა ახალდანიშნულ წარმომადგენელს ამხ. მახიტოვს ჯამბულის მხარეში არ ჩააბარა ინსტრუქცია და ორი საინსტრუქციო წერილი რომელიც არ უნდა გახმაურდეს და დამნაშავეები მიეცნენ პაასუხისმგებლობაში.

საბჭო თვლის აუცილებლად მოითხოვოს წარმომადგენლებისაგან დაიცვან საიდუმლო დოკუმენტების შესახვის დადგენილი წესდება.

ყველა საიდუმლო დოკუმენტი, შესაბამისი ინსტრუქციების მიხედვით უნდა ინახებოდეს მინისტრთა საბჭოს საიდუმლო განყოფილებაში.

საბჭო იძლევა გაფრთხილებას, რომ საიდუმლო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევის შეთხვევაში დამნაშავეები დაისჯებიან შესაბამისად.

***სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიურ კულტთა საქმეების საბჭოს თავმჯდომარე (პოლიანსკი)***

***ფონდი 977, ან. 1, საქმე 11, ფურც.1-12***

***საინსტრუქციო წერილი № 6***

I. ფაქტიურად მოქმედი რელიგიური საზოგადოებები, მიუხედავად საბჭოს არაერთი მითითებისა, საბჭოს სანქციის მიღების გარეშე არ აწარმოებს ადგილზე უფლებამოსილების რეგისტრაციას, ზოგიერთი უფლებამოსილნი აგრძელებენ ამ რეგისტრაციის განხორციელებას.

უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ბრიანსკის, ჟიტომირის და სხვა უფლებამოსილი საბჭოების მიერ ბოლო პერიოდისათვის დარეგისტრირებულია 50-ზე მეტი მსგავსი რელიური საზოგადოება.

ამ საბჭოსთან ერთად დაფიქსირებულია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ბრიანსკის ოლქის საბჭოს უფლებამოსილი ამხ. ივანოვი წინასწარ მიცემული მითითებების მიუხედავად, რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციას აწარმოებს მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველი საზოგადოება ფლობს სამლოცველო შენობას, კულტის მსახურს, მორწმუნეთა მუდმივ შემადგენლობას, რომლებიც რეგულარულად ატარებენ სამლოცველო შეკრებებს. დარეგისტრირდა ბრიანსკის ოლქის ქ. ყარაჩაევოში ევანგელისტურ ქრისტიან-ბაბტისტური საზოგადოება 51 კაცის შემადგენლობით და სამლოცველო შენობით, რომლის ფართი შეადგენს 6 კვ. მეტრს. ბრიანსკის ოლქის ქ. კლინცში ასევე დარეგისტრირდა ევანგელისტურ ქრისტიან-ბაბტისტური საზოგადოება 52 კაცის შემადგენლობით, რომელიც არ ფლობს სამლოცველო შენობას.

საბჭო კატეგორიულად მოითხოვს შეწყდეს შემდგომში ნებისმიერი რელიგიური საზოგადოებების რეგისტრაცია, თუნდაც შექმნილი საბჭოს ჩამოყალიბებამდე რელიგიური კულტების საქმესთან დაკავშირებით ფაქტიურად დღემდე არსებული. ამასთან საბჭოს შემოაქვს რელიგიური საზოგადოების გაფორმების შემდეგი წესები

რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური საზოგადოებების სიმრავლის შემთხვევაში, თუ მათ გააჩნდათ სამლოცველო შენობა, მორწმუნეთა მუდმივი შემადგენლობა, კულტის მსახურნი - გაფორმება ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას აღიარებდა მინისტრთა საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტი და საბჭოს უფლებამოსილნი - პოლიტიკური აუცილებლობიდან ან პრაქტიკული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ყოველივე ამას მკაცრად არეგულირებს საბჭოთა სახალხო კომიტეტის დადგენილება 19.11.1941 წ. 1603 „ბრძანებები სამლოცველო სახლების გახსნის შესახებ“.

იმ შემთხვევაში თუ რელიგიურ საზოგადოებას არ გააჩნია სამლოცველო შენობა, ყავს მორწმუნეთა ნაკლები რაოდენობა და ა. შ., მიზანშეწონილია არ ჩაითვალოს მოქმედ რელიგიურ საზოგადოებად, საბჭოს უფლებამოსილნი ვალ-

დებული არიან მიიღონ ზომები საბჭოთა ორგანოების შესაბამისი, შემდგომში ასეთი რელიგიური საზოგადოებების არსებობის შეწყვეტისათვის.

რაც შეეხება რეგისტრაციის მიმდინარეობას ისეთი რელიგიური საზოგადოებებისა, როგორებიც არიან კათოლიკური, ლუთერანული, რეფორმატორული, ძველმორწმუნენი, რელიგიური საზოგადოება ევანგელისტურ ქრისტიან-ბაბტიტური და მეშვიდე დღის ადვენტიტები, ფაქტიურად მოქმედი ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკაში, უკრაინის სსრ დასავლეთ ოლქებში, ბელორუსიის სსრ და მოლდავეთის სსრ-ში, რეგისტრაცია უნდა წარმოებდეს შესაბამის უფლებამოსილთაგან, რომლებსაც აქვთ საბჭოს სპეციალური მითითებები.

II. საბჭო აღნიშნავს, რომ საბჭოს თანამშრომელთა ურთიერთდამოკიდებულების და რელიგიური კულტების წარმომადგენლებს შორის დამოკიდებულების სფეროში აქამდე ყველგან არ არის სახარბიელო მდგომარეობა.

ერთ შემთხვევაში ამ ურთიერთდამოკიდებულებას საბჭოს უფლებამოსილნი აშენებდნენ ისეთ საფუძველზე, რომ რელიგიური საზოგადოების მიერ ყოველივე აღიქმებოდა როგორც რწმუნებულთა თავისებური დამხმარე აპარატი, მეორე შემთხვევაში ურთიერთდამოკიდებულების საფუძველად დევს ადმინისტრაციული და პირდაპირი ჩარევა საზოგადოების შინა ცხოვრებაში, მათ კამათში და კონფლიქტში, კულტის მსახურის დანიშვნაში და გადაყვანაში, რელიგიური საზოგადოების ფინანსურ საქმიანობაში და ა. შ.

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები:

ირკუტსკის ოლქის საბჭოს უფლებამოსილმა ამხ. ჟიტოვმა გამოიჩინა ზედმეტი მზრუნველობა კულტის მსახურის ხარისხიანი შერჩევის საქმესთან დაკავშირებით. ასე ამართლებდა ის თანამდებობიდან ქ. ირკუტსკში ევანგელის-

ტური ქრისტიან-ბაბტისტური საზოგადოების ნეტარი მღვდლის მოქალაქე ტობოლსკის გათავისუფლებას, როგორც კულტურული მოთხოვნების შეუსაბამო ადამიანს, რომელსაც არ გააჩნდა ქადაგების ნიჭი და რომელიც არ ითვალისწინებდა მორწმუნეთა საყოფაცხოვრებო მხარეს. ჟიტომირის ოლქის საბჭოს უფლებამოსილი ამხ. იზვენკო ევანგელისტ ქრისტიან-ბაბტისტ უფროს ნეტარ მღვდელს თვლიდა როგორც თავის თანამშრომელს, მასთან ერთად გამოდიოდა მორწმუნეთა ყრილობებზე რელიგიური საზოგადოებების დარეგისტრირების საქმესთან დაკავშირებით.

სტალინის ოლქის საბჭოს უფლებამოსილი ამხ. ლევენკოვი ერეოდა საზოგადოებების შინა ცხოვრებაში, შეიმუშავებდა და უგზავნიდა ანგარიშების სქემას, რომლის მიხედვითაც უნდა ეხემლმძღვანელათ თავიანთ საქმიანობაში.

კალინინის ოლქის საბჭოს რწმუნებულმა ამხ. შელიგოვმა ევანგელისტ ქრისტიან-ბაბტისტ ნეტარ მღვდლებს შეთავაზა შეენწყვიტათ ახალი მორწმუნეების მიღება საზოგადოებაში.

ყირიმის ოლქის საბჭოს უფლებამოსილი ამხ. მაკედონოვი აწარმოებს ევანგელისტურ ქრისტიან-ბაბტისტურ საზოგადოებაში ახლადმიღებულების დეტალურ გამოკითხვას, იკვლევდა რა მთელ რიგ საკითხებს საზოგადოებაში მიღებასთან დაკავშირებით.

თავისთავად ცხადია რომ, ყოველივე ზემოთმოყვანილი უკიდურესობა იყო მხოლოდ ზიანის მომტანი და იქ, სადაც დღემდე აქვს ადგილი ასეთ დამოკიდებულებას, ისინი ძირფესვიანად და დაუყონებლივ უნდა იქნეს აღმოფხვრილი. საბჭოს ყოველმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს ერთი მარტივი სიმართლე, რომ დამოკიდებულება უფლებამოსილსა და სარწმუნოების წარმომადგენლებს შორის უნდა გამორიცხავდეს უხეშობის ელემენტებს, აგრეთვე გამოკვეთილ გაუფრთხილებლობას, მოუთმენელ დამოკიდებულებას. არ უნდა

დაისახონ მიზნად მორწმუნე ადამიანი აქციონ ურწმუნოდ, მღვდელი უღმერთოდ, საბჭოს რწმუნებული მიიღებს რა მორწმუნეებს და სარწმუნოების წარმომადგენლებს, ვალდებულია მოთმინებითა და ყურადღებით მოუსმინოს მათ განცხადებებს, საჩივრებს, შუამდგომლობას, რომლისთვისაც მათ მიმართეს და მიიღოს ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, შეატყობინოს დაინტერესებულ პირებს. დამოკიდებულება საბჭოს რწმუნებულსა და რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებს შორის უნდა შენდებოდეს ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის საფუძველზე, მაგრამ ეს არის მხოლოდ შინაგანი ფორმა ურთიერთობისა. რწმუნებულისათვის ურთიერთობის არსი უნდა იყოს ზღვრამდე ამალღებული და შინაგანად მობილიზებული. ყველანაირმა აპოლიტიკურობამ, არასაჭირო მიმდობლობამ, საკუთარი პარტიულობის დავინყებამ, პოლიტიკურმა არასანდობამ ან ქარაფშუტობამ შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე.

III. პასუხი კითხვაზე შედის თუ არა საბჭოს უფლებამოსილის მოვალეობაში იმ საკითხების დარეგულირება, რომელიც ეხება ცალკეული მორწმუნის მიერ შესრულებულ რელიგიურ რიტუალს, თუ ეს საკითხი საბჭოს რწმუნებულს საერთოდ არ ეხება, საბჭო განმარტავს, რომ საბჭოს ყოველ თანამშრომელს უნდა აინტერესებდეს რელიგიური მოძრაობები, რომელიც იპყრობს არა ცალკეულ მორწმუნეს, არამედ მათ საკმაოდ დიდ ჯგუფს. ამისათვის საბჭო სთავაზობდა და სთავაზობს უფლებამოსილებს ყოველდღიურად, სისტემატიურად სწავლობდნენ რელიგიურ მოძრაობებს, მაგრამ არა ადმინისტრაციული ბრძოლის მიზნით ცალკეული მორწმუნის წინააღმდეგ, რომლებიც ახორციელებენ რელიგიურ რიტუალს არა სამლოცველო სახლში, არამედ ამ შესწავლის საფუძველია ჰქონდეს მონაცემები მეტყველი იმაზე, რომ აუცილებელია სამლოცველო სახლის გახსნა იმ დასახლებულ



პუნქტებში, სადაც ეს მიზანშეწონილია, ან აკრძალონ მორწმუნე ჯგუფების შეკრებები კერძო ბინებში, ღია ცის ქვეშ და ა. შ. რომელსაც ექნება საზოგადოებრივი ღვთისმსახურების ხასიათი.

უარის შემთხვევაში სამლოცველო სახლის გახსნასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოიქცეს მორწმუნე და შეასრულოს ცალკეული რელიგიური რიტუალები (ნათლობა, ჯვრისწერა, დაკრძალვა და ა. შ.) უფლებამოსილს შეუძლია განაცხადოს, რომ ყოველ მორწმუნეს ყველა ამ რიტუალის შესრულება შეუძლია გამომდინარე კონკრეტული შესაძლებლობიდან.

რაც შეეხება უფლებამოსილის მიერ წარმოდგენილ მასალებს ფინანსურ განყოფილებაში გადასახადების ამოღებასთან დაკავშირებით კულტის მოხეტიალე მორწმუნეთაგან და სხვა პირთაგან, რომელთაც აქვთ შემოსავალი რელიგიური რიტუალების შესრულებიდან, მაგრამ არ მიეკუთვნებიან რელიგიური კულტის მსახურთ, ასეთ შემთხვევაში საბჭო იძლევა რეკომენდაციას წარმოადგინონ ცნობები მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც მუდმივად ატარებენ რელიგიურ რიტუალებს. ამ კატეგორიის პირებს არ მიეკუთვნებიან, მაგალითად მუსლიმანებში ოჯახის უფროსი წევრი, რომელიც ამჟამად კულტის არამსახურია, ცალკეულ შემთხვევებში ნათესაური გრძნობებიდან გამომდინარე ატარებს აუცილებელ რელიგიურ რიტუალს. რელიგიური რიტუალების განსაზრვრისას შემდგომში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არსებობს ცხოვრებისეული წესები, რომლებიც მართალია მჭიდრო კავშირშია რელიგიურ რიტუალებთან, მაგრამ რიტუალს არ წარმოადგენს.

ასეთ საყოფაცხოვრებო ჩვეულებას, რომელსაც აქვს რელიგიური ელფერი წარმოადგენს ძველმორწმუნეებში მიცვალებულის განბანა. განბანას ასრულებს უფროსი ასაკის ადამიანი. ამ პირების შემოსავალი იმდენად მცირეა, რომ

მათი მიკუთვნება საშემოსავლო გადასახადზე არ შიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურადაც და პრაქტიკულადაც მიზანშეწონილად.

თავისთავად ცხადია, რომ არამიზანშეწონილია უფლებამოსილის მხრიდან რაიმე სახის ბრძოლის წარმოება ამ ადამიანების მიმართ.

IV. თავიანთ ინფორმაციულ ანგარიშში საბჭოს უფლებამოსილნი ცდილობენ გამოიტანონ დასკვნა რელიგიური მოძრაობების მდგომარეობის, ცალკე კულტის ან კიდევ რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კულტების შესახებ, მათ ხელთ არსებული ფაქტებით, დამახასიათებელი სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების მოღვაწეობისათვის.

ცალკეული ფაქტების საფუძველზე, დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ რესპუბლიკის, მხარის, ოლქის რელიგიური მოძრაობების მდგომარეობის შესახებ იქნება არასწორი, ვინაიდან ეს ფაქტები ვერ შეძლებს მთლიანობაში დაახასიათოს მოძრაობა. განსაზღვრულ დასკვნებამდე მისვლა რელიგიური მოძრაობის შესახებ (ზრდა, კლება) შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მრავალმხრივად იქნება შესწავლილი თითოეული რელიგიური გაერთიანების ცხოვრება და მოღვაწეობა ფაქტების შეფასებით და გაანალიზებით.

ეს საქმე უნდა წარმოებდეს ფაქტიური მასალების შეგროვებით ამა თუ იმ საზოგადოების შესახებ, შემდგომ კი ხდება მათი განზოგადება მთლიანობაში რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ფარგლებში.

იმ მასალებს, რომლებიც ახასიათებენ რელიგიურ მოძრაობებს, შეიძლება მივაკუთვნოთ:

ა) ფაქტიური მონაცემები რელიგიური რიტუალების შესრულების შესახებ (მარხვა, მსხვერპლშენირვა, ნათლობა, წინადაცვეთა, საქორწილო რიტუალები, დაკრძალვა და ა. შ.) აუცილებელია ეს ციფრობრივი მაჩვენებლები იქნეს შედარებული გასულ პერიოდთან

ბ) სამლოცველო შეკრებებზე დასწრების ფაქტიური მონაცემები (მიახლოებითი რაოდენობა, ასაკობრივი შემადგენლობა, მოსახლეობის რომელი სოციალური ფენები, მონაცემთა შედარებები ჩვეულებრივ და სადღესასწაულო დღეებში - აღდგომა, შობა, ძველმორწმუნეთათვის, კათოლიკეებისათვის, ლუთერანელებისათვის, სომეხთათვის, ებრაელთათვის; ყურბან-ბაირამი, ურაზა-ბაირამი, მევლუდი-მუსლიმანებში; განკითხვის დღე, დღესასწაული ებრაელთათვის და ა.შ.)

გ) ევანგელისტურ ქრისტიან-ბაბტისტურ და მე-7 დღის ადვენტიტების საზოგადოებაში მიღებული და გარიცხული წევრების ციფრობრივი მონაცემები

დ) რელიგიური სამუშაოების ფორმებთან დაკავშირებული ცნობები (სამლოცველო შეკრებების გამართვა განსაკუთრებული რიტუალებით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევით, 50-იანელების უცხო ენაზე ლოცვის სახით, ხმაურიანი ცერემონიები მუსლიმანებში, რომელსაც თან ახლდა თვითგვემა - „შახსეი-ვახსეის“ დღესასწაული; რიტუალებისათვის სახალხო - დემონსტრაციული, პროპაგანდისტული ხასიათის მინიჭებისაკენ სწრაფვა, მსგავსად ევანგელისტურ ქრისტიან - ბაბტისტების სახალხო ნათლობისა; პომპეზური შეხვედრები უმაღლესი სასულიერო პირებისა და ა. შ.)

ე) მაგალითად რელიგიური გაერთიანებების მცდელობები: სინაგოგის გადაკეთება ვინრო ნაციონალურ დაწესებულებად ყველა ებრაელთათვის; კოლმეურნეობებში სპეციალური ბრიგადების ორგანიზება; საინიციატივო დახმარების განევა შაბათობის მონყობის გზით, კვირეულის მონყობა მოსავლის ასღებად, გზების შეკეთება, ქველმოქმედება და ა. შ.

ვ) რელიგიური გაერთიანებების ხელმძღვანელთა მცდელობა საბჭოთა კანონმდებლობის გვერდის ავლით ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის გზით სპეციალური ფორმებით ბავშვთა და მოზარდთა რელიგიური სწავლება.

ზ) რელიგიური პროპაგანდის განსაკუთრებული ფორმები (მისიონერობის ფაქტები, საბიბლიო წრეების ორგანიზაცია და ა.შ.)

თ) ცნობილი ფაქტები დაურეგისტრირებელი რელიგიური საზოგადოებებისა და მორწმუნეთა ჯგუფების (მათი რიცხვი რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში სარწმუნოების მიხედვით, მორწმუნეთა მიახლოებული რაოდენობა კულტების მიხედვით და ა. შ.), კულტების მოხეტიალე მსახურთა მოღვაწეობა, პარასკევის მარხვის დაცვა და სხვა რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა სოფლებში, სადაც არ არის დაურეგისტრირებული მეჩეთები, ევანგელისტურ ქრისტიანულ-ბაბტისტური ჯგუფებისა და საზოგადოებების მოღვაწეობა.

ი) შუამდგომლობა სამლოცველო სახლების გახსნასთან დაკავშირებით და ანალიზი წინა წლებთან შედარებით.

კ) შემთხვევები საზოგადოების დაშლისა და მიზეზები ამის შესახებ.

ლ) ცნობილი ფაქტები ე. წ. რელიგიური იატაკქვეშეთის მოღვაწეობის შესახებ (რეფორმატორ-ადვენტისტები, კრასნოდარკონოვცები, ჩურიკოვცები, ხლისტოვები, სკრიტნიკოვები, მილიონისტები და ა. შ.) და მათი გავლენა მოსახლეობაზე.

მ) საარქივო მონაცემების გამოყენება კულტების ისტორიული წარსულიდან და ამ მონაცემთა შედარება კულტების თანამედროვე მდგომარეობასთან.

ნ) ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში მოხსენიებული ფაქტები ექვემდებარება შესწავლას და არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ამონურული თემა. ეს მაგალითები მოყვანილია იმისათვის, რომ გააადვილოს საბჭოს მოთხოვნების გაგება. ეჭვგარეშეა, რომ ეს ჩამონათვალი შემდგომში გაფართოვდება. ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების შეგროვებისას საბჭო კატეგორიულად კრძალავს მიიღოს ინფორმაცია რელიგიური გაერთიანებების მხრიდან რაღაც ანკეტირების ან კითხვარების შევსების გზით.

V. საბჭოს უფლებამოსილთა მხრიდან ბოლო პერიოდში შემოვიდა მოთხოვნები ხორციტ ვაჭრობის ორგანიზაციასთან დაკავშირებით ებრაელ მორწმუნეთათვის. საპასუხოდ საბჭო აცნობებს შემდეგს: მორწმუნე ებრაელთათვის ე. წ. ხორციტ ვაჭრობას ორგანიზებას უწევს მხოლოდ შესაბამისი სამომხმარებელი კოოპერაციის სავაჭრო ქსელი (ამ მიზნით ყოველგვარი მალაზიებისა და ჯიხურების გამოყოფის გარეშე), ამ ვაჭრობაზე თანხმობას იძლევა საოლქო სამომხმარებლო კავშირი.

საბჭო მიიჩნევს აუცილებლად გააფრთხილოს თავისი უფლებამოსილნი, რომ ისინი არანაირი სახით არ გამოვიდნენ ამ საკითხის გადაწყვეტის ინიციატორებად.

საბჭო განიხილავს ხორციტ ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათთან შემოდის მორწმუნე ებრაელების შესაბამისი შუამდგომლობა ამასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში საბჭოს უფლებამოსილი ადგილობრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით საოლქო სამომხმარებლო საბჭოში, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში მიავლენენ მორწმუნე ებრაელთა წარმომადგენელს სავაჭრო ხელშეკრულების გასაფორმებლად. უსიტყვოდ აკრძალული უნდა იყო ხორციტ ვაჭრობა სინაგოგაში.

VI. ზოგიერთ ადგილებში არასწორადაა განმარტებული, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დარეგისტრირებული რელიგიური საზოგადოების მოვალეობას თითქოს წარმოადგენდეს მხოლოდ „ოცეულის“ შეგროვება, ე. ი. ოცი ადამიანის შეგროვება, რომელსაც ხელი აქვს მონერილი შეთანხმებაზე სამლოცველო შენობისა და მასთან არსებული საკულტო ქონების გამოყენებაზე.

აუცილებლობის შემთხვევაში მონვეული უნდა იქნეს რელიგიური საზოგადოების ყრილობა სამლოცველო სახლისა და საკულტო ქონების შენახვის საკითხის გადასაწყვეტად, აგრეთვე სააღმსრულებლო კომიტეტის არჩევისა და

რელიგიური კომისიის შექმნისათვის. ეს ყრილობა არ შეიძლება შემოფარგლულ იქნას მხოლოდ ოცეულით და არა წინააღმდეგობის განევით საერთო მოწვევის ყრილობისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დარეგისტრირებული რელიგიური საზოგადოებების ყოველი წევრი.

VII. თავის დროზე საბჭოს მიერ დადგენილი იყო უფლებამოსილთა მხრიდან ანგარიშების წარდგენა, რომელიც ქმნიდა საინფორმაციო წარმოდგენას კვარტალურ საქმიანობაზე. წარმოდგენილი ანგარიშებიდან გამომდინარე, არსებული მასალების მიხედვით უნდა გაეკეთებინათ რეაგირება ამა თუ იმ საკითხზე (კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის უხეში დარღვევა მორწმუნეებისა და სასულიერო პირების მხრიდან, ასევე საბჭოთა ორგანოების ცალკეული წარმომადგენლებისაგან, ცალკეულ სასულიერო პირთა მხრიდან ანტისახელმწიფოებრივი გამოვლინებანი), ან ხემლძღვანელობის ინფორმირებულობა და დირექტივები ცალკეული რელიგიური ორგანიზაციის ცხოვრებიდან (აღდგომის აღნიშვნა, უნიელების, კათოლიკების, ძველმონაწმუნეების, ებრაელების და პროტესტანტების მიერ, ყურბან-ბაირამი მუსლიმანებში, ახალი წელი, განკითხვის დღე და მოსავლის აღების დღესასწაული ებრაელებში). უფლებამოსილი დაჩქარებულად წარადგენენ ამ მასალებს საბჭოში.

თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ყველა უფლებამოსილი არ აწვდიდა დროულად მონაცემებს საბჭოში, არამედ ჩვეულებრივ ამ ფაქტებს აშუქებდნენ მიმდინარე კვარტალურ საინფორმაციო ანგარიშში, რისი წყალობითაც წარმოდგენილი ფაქტი კარგავდა აქტუალობას.

საბჭო სთავაზობს უფლებამოსილთ კვარტალური საინფორმაციო ანგარიშის მომზადებამდე წარმოადგინონ არაგეგმიური მონაცემები ამა თუ იმ ფაქტების შესახებ.

**ფონდი 977, ან. 1, საქმე 19, ფურც. 1-10**

**საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
რელიგიური კულტის საქმესთან დაკავშირებულ ყველა  
უფლებამოსილ საბჭოს**

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური კულტის მუშაობის სფერო ყველა ადგილზე უფლებამოსილ პირს ავალდებულებს შეისწავლოს მარქსისტულ-ლენინური სწავლება რელიგიაზე, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირეულ შესწავლასთან ერთად.

მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის და მარქსისტულ-ლენინური სწავლებით რელიგიაზე უფლებამოსილ საბჭოს შეუძლია სწორად გადაწყვიტოს მის წინ დასმული ამოცანა.

უფლებამოსილი საბჭოსათვის დამხმარების მიზნით, იდეოლოგიურ - თეორიულ დონის ამალღებისთვის საბჭო აგზავნის წერილობით ჩამონათვალს, მარქსიზმის კლასიკოსებით რეკომენდირებული ლიტერატურას, რათა მარქსისტულ-ლენინური პოზიციიდან მოხდეს რელიგიისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა.

საბჭო დარწმუნებულია, რომ საბჭოს უფლებამოსილი პირები ამ საქმეს მიუდგებიან თავისი იდეოლოგიურ თეორიული დონის ნათელი-აუცილებელი საჭიროებით განახორციელონ ეს მნიშვნელოვანი ამოცანა.

*საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
რელიგიურ კულტების საქმის საბჭოს თავმჯდომარე  
(პოლიანსკი)*

*ტირაჟი 160*

*№ 38*

**საიდუმლოდ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საჭოსთან  
არსებული რელიგიური კულტის საქმესთან  
დაკავშირებულ ყველა უფლებამოსილ საბჭოს**

**საინსტრუქციო წერილი № 8**

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტის საქმეთა საბჭო აღნიშნავს სერიოზულ დარღვევებს ზოგიერთი უფლებამოსილი საბჭოს მუშაობაში სამღვდლოებასთან და მორწმუნეებთან მათი პირადი და განსაკუთრებით წერილობითი კავშირების განხორციელებისას.

მცდარი შეხედულებიდან და ზოგიერთ შემთხვევაში გაუაზრებელი ქმედებიდან გამომდინარე, ზოგიერთი უფლებამოსილი საბჭო იმდენად აადვილებს თავიანთ ვალდებულებას, რომ დაყავთ ისინი სუფთა მექანიკური სამსახურებრივ ფუნქციამდე.

ზოგიერთი უფლებამოსილი პირი, დასაშვებად მიჩნევენ ღიად დაეყრდნონ სახელმწიფოს ან საბჭოს გადაწყვეტილებებს მორწმუნეების ან ეკლესიის მხრიდან შუამდგომლობასთან დაკავშირებით, სიტყვა-სიტყვით მოყავთ რა დაინტერესებული პირებს ეს გადაწყვეტილებები. საბჭოს წერილების ან წერილის ნაწილის ციტირება როგორც ცნობილია, საიდუმლო ან სუფთა სამუშაო ხასიათის მატარებელია.

ტაჯიკეთის სსრ საბჭოს უფლებამოსილმა პირმა ტ. ხამიდოვმა გადასცა მორწმუნეებს საბჭოს წერილი, სადაც ის წინააღმდეგი გამოდიოდა გისარის რაიონში ქრისტიანული სახლის წინააღმდეგ. საბჭომ ამ წერილში უფლებამოსილს მიუთითა, რომ სამლოცველო სახლის გახსნა არასასურველია. ეს იმით ახსნეს, რომ ის შენობა რაშიც უნდა განთავსებულიყო ქრისტიანული სამლოცველო, არ შეესაბამებოდა სამლოცველო სახლისთვის წაყენებულ პირობებს და



რომ მორწმუნეები ცხოვრობენ არა სოფ. ხანოკაში, არამედ სხვა დასახლებულ პუნქტში.

ამ ფორმალური მოტივის გარდა, საბჭო ამ წერილიდან გვატყობინებს ასევე, რომ მეშვიდე დღის ადვენდისტობა ტაჯიკეთის სსრ-ში არ იყო და არ არის ფართოდ გავრცელებული, არამედ იქ შემოტანილი იქნა დროებითი მაცხოვრებლის მიერ.

ეს დროებითი მდგომარეობა არ არის უარის ოფიციალური მოტივი. საქმე ზოგიერთ დირექტივას ეხებოდა, რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ უფლებამოსილი პირისა და მისი მომავალი სამუშაოსათვის, რომელიც ეხებოდა სხვა დასახლებულ პუნქტებში სამლოცველო სახლების გახსნას და რელიგიური გაერთიანების შექმნას.

ტ. ხამიდოვა საბჭოსთან გაგზავნილ წერილში არ გამოყო ოფიციალური უარის მოტივი.

საბჭოს უფლებამოსილმა პირმა სარატოვის ოლქში ტ. სავილოვმა მიიღო ქ. ხვალინსკის ევანგელისტურ ქრისტიან-ბაბტისტებისაგან საჩივარი სამლოცველო სახლის გახსნასთან დაკავშირებით შუამდგომლობის განხილვის შეყოვნების შესახებ. ატყობინებდნენ, რომ ამ შეყოვნებაში „დამნაშავე“ იყო არა ის, არამედ საბჭო, რომელიც რატომღაც არ ითხოვს მისგან არასაჭირო ცნობის მოძიებას და სხვასხვა ტიპის დოკუმენტების წარდგენას.

ამხ. სავინოვმა ამ შემთხვევაში დაიწყო არასასურველი და მავნე მიმონერა ევანგელისტურ ქრისტიან-ბაბტისტებთან, იმის მიუხედავად, რომ ამხ. სავინოვი კარგად იყო ინფორმირებული, რომ საბჭოს მიაჩნდა არამიზნობრივად ევანგელისტურ ქრისტიანულ-ბაბტისტული სახლის გახსნა ქ. ხვალინსკში.

მაშასადამე ტ. სავინოვის მოქმედებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ის ცდილობდა მოეხსნა პასუხისმგებლობა

მორწმუნეების წინაშე მათი შუამდგომლობის შეუსრულებლობის გამო.

ისეთი შემთხვევებიც დაფიქსირდა, რომ უფლებამოსილი პირის მიერ რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებისთვის ზეპირი განმარტებების და რეკომენდაციების მიცემის ნაცვლად, შევიდა მათთან ოფიციალურ მიმონერაში.

საბჭოს უფლებამოსილმა სამაყანდის ოლქში ტ. ხალმატოვმა გაუგზავნა მუსულმანების სულიერ ცენტრს წერილი, სადაც შესთავაზა გაეთავისუფლებინათ ერთ-ერთი „მუფთი“ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომელიც მან მიიღო საიდუმლო დოკუმენტებში შესაბამისი ორგანიზაციებიდან.

იმავე ტ. ხალმატოვმა სხვა შემთხვევაში მოტივით, რომელიც არანაირ განმარტებას არ იძლევა, ყაზახისტანის, შუა აზიის მუსულმანების სულიერ წარმომადგენლობას გაუგზავნა გრიფით საიდუმლო მოხსენებითი ბარათი, მუსულმანურ რელიგიური ერთობის მოღვაწეობის შესახებ სამაყარდის ოლქში.

დაუშვებელია ასევე შემთხვევები საბჭოს უფლებამოსილის მიერ ინსტრუქციის დარღვევის შესახებ.

აღნიშნულ შემთხვევაში საბჭო კიდევ ერთხელ გვიხსნის, ამა თუ იმ დოკუმენტის ხელიდან ხელში გადაცემა რელიგიური ერთობისათვის ინსტრუქციების შესაბამისად უნდა შეიზღუდოს. ასეთი დოკუმენტია: ცნობები რეგისტრაციის, რელიგიური კულტის მსახურების, აღმასრულებელი და რეკომისიების და საჭიროების შემთხვევაში მოტივირებული გადანყვეტილება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს, ასევე ოლქებისა და მხარეების აღმასრულებელი ორგანოების მიერ სამლოცველო სახლების გახსნასთან დაკავშირებით შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ. მიმონერის სხვა დანარჩენი ფორმები,

მოლაპარაკებებზე ოფიციალურად მინვეულ სასულიერო ან უფლებამოსილ პირთა გამონაკლისით.

საბჭო აღნიშნავს ყველა ამ ფაქტს იმ მიზნით, რომ აჩვენოს უფლებამოსილთა მუშაობაზე ა მექანიკური ჩარევის დაუშვებლობა.

თავისთავად იგულისხმება, რომ რთულია რაიმე რეგლამენტის შედგენა, რომელსაც შეეძლო განეჭვრიტა ყველა შემთხვევა, განსაზრვრულ ულებამოსილ პირთა ტექნიკური მოქმედების ფონზე, სასულიერო პირებთან ან მორწმუნებთან ურთიერთობის ტაქტიკა.

რელიგიური ჯგუფების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად სამლოცველო სახლების გახსნასთან, გახსნის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, საბჭო წინადადებას აძლევს უფლებამოსილ პირს ამ საქმესთან დაკავშირებით წარმოადგინოს ფორმა ნომერი ორით გათვალისწინებული სტატისტიკური მონაცემები (შუამდგომლობის აღძვრის რაოდენობა სამლოცველო სახლების გახსნასთან დაკავშირებით). 1949 წლის იანვრიდან კვარტალურ ანგარიშებში გვაცნობოთ ჯგუფების დაწვრილებითი აღწერილობა, რომლებმაც აღძრეს ასეთი შუამდგომლობა.

ანგარიშებში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მონაცემები:

ა) დასახლებული პუნქტის ზუსტი დასახელება, რომელშიც მორწმუნეები თხოვნით მოგვმართავენ სამლოცველო სახლის გახსნის შესახებ;

ბ) მოცემულ დასახლებულ პუნქტში მცხოვრები უფროსი ასაკის ორივე სქესის მოსახლეობის სრული რაოდენობა, ასევე მორწმუნეთა საორიენტაციო რაოდენობა, ასევე სრული რაოდენობა იმ მცხოვრებლებისა, ვინც შუამდგომლობაზე ხელი მოაწერა;

გ) მერამდენედ მოდის შუამდგომლობა ( პირველი, მეორე, მესამე და ა.შ.);

დ) შუამდგომლობის განმეორებით ან მრავალჯერადი აღძვრის მიზეზი. სინამდვილეში გამოსატყვევს თუ არა ეს საზოგადოების სურვილს თუ ეს არის ადამიანთა მცირე ჯგუფის პირადი ინტერესის რეზულტატი;

აღნიშნული მინიმუმის გარდა, საბჭოს უფლებამოსილ პირს რეკომენდაცია ეძლევა გააშუქოს სხვა საკითხებიც, რომელიც ეხება შუამდგომლობას სამლოცველო სახლების გახსნასთან დაკავშირებით. ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა მონაცემი განათავსოს საინფორმაციო ანგარიშის ბოლო განყოფილებაში სათაურით „შემოსული შუამდგომლობები ახალი სამლოცველო სახლების გახსნის შე-სა-ხებ“

**საბჭოს კავშირის მინისტრთა მინისტრთა საბჭოსთან  
არსებული რელიგიური კულტის საქმის საბჭოს  
თავჯდომარე**

**პოლიანსკი**

**ტირაჟი 165**

**ფონდი 977, ან. 1,**

**ფურც. 54-65**

ს ი ა

უმოქმედო ეკლესიებისა, სალოცავ შენობებისა და სახლების ბათუმის რაიონში 1944 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით

დასახლებული პუნქტის დასახელება	ეკლესიის და სალოცავი სახლის, მონასტრის დასახელება და მისამართი	მუსულმანური	ბერძენ კათოლიკების	როდის და რომ. საბჭ. ორგ. დადგ.ის იქნა დახურული ან ღომელ დროიდან და რა მიზეზებით არ მოქმედებს	როგორ არის გამოყენებული ამჟამად და კავებულია კულტურულ და სამეურნეო მიზეზებისათვის და სხვა
მახინჯ. ს/ს.ს. ყარადერე	მედრესე	მუსულ.	---	ბალხის მოთხოვნით 1935-1937წ	გამოყენ. არის კულტ.სამ. მიზნებისათვის
მახინჯ. ს/ს.ქვ. ყარადერე	მედრესე	---	---	---	---
სოფ. ორთაბათუმი	მედრესე	---	---	---	---
სოფ. ახალშენი			ეკლ	---	---
სოფ. ზედა ახალშენი	ჯამე	---	---	---	---
სოფ. სოუქსუ	ჯამე	---	---	---	---
ურები	ჯამე	---	---	---	---
სოფ. მახვილაური	ჯამე	---	---	---	---
სოფ. ხელვაჩაური	ჯამე	---	---	---	---
სოფ. შარაბიძეები	მედრესე	---	---	---	---
სოფ. კიბე	მედრესე	---	---	---	---
სოფ. კაპნისთავი	მედრესე	---	---	---	---
სოფ. ხერთვისი	მედრესე	---	---	---	---

სოფ. მარადიდი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. მაჭახლის პირი	მედრესე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. მირვეთი	მედრესე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. ძაბლავეთი	მედრესე	___"___	---	___"___	___"___
აჭარისალმართი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. ოღლაური	მედრესე	მუსულ.	---	___"___	___"___
სოფ. ქედქედი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. ზედა ჩხუტუნეთი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. ქოქოლეთი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. ჩიქუნეთი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. სიმონეთი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. მახო	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. თხილნარი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. ჭარნალი	მედრესე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. სკურდიდი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
სოფ. გონიო	მედრესე	___"___	---	___"___	___"___
ორთა-ბათ.ს/ს.ს.ყოროლისთავი			ეკლ.	___"___	___"___
კირნათის ს/ს.ზედა კირნათი	ჯამე	მუსულ.	---	___"___	თავისუფალია
კირნათის ს/ს.სოფ.კობალეთი	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
ურეხის ს/ს. სოფ.ფერია	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
კაპანდიბის ს/ს/ ზ/ჯოჭო	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
ახალშენის ს/ს.სოფ.იჯადიე	ჯამე	___"___	---	___"___	___"___
მახინჯაურის ს/ს.ს.მახინჯაუ.	ჯამე	___"___	---	___"___	___"___

**მშრ. დეპ. ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის**  
**თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: /მ. ყურშუბაძე/.**

**ფონდი №977; საქმე №2; ფურც. 12-13.**

ს ი ა

უმოქმედო ეკლესიების, სალოცავ—შენობებისა და სახლების ქობულეთის რაიონში 1944წ. 14 ნოემბერი

	დასახლებული პუნქტების დასახელება	ეკლესიებისა და სალოცავ-სახლის, მონასტრის დასახელება და მისამართი	მუსულმანური	ბერძნულ კათოლიკების	როდის და რომელ საბჭოთა ორგანოს დადგენილებით არ მოქმედებს	როგორ არის გამოყენებული, ამჟამად დაკავებულია კულტურულ და სამეურნეო მიზნებისათვის
1.	ქაქუთის სასოფლო საბჭო	სოფ.ქაქუთი	2-ჯამე	-	ხალხის ნება-სურვილით არ მოქმედებს 1937წ-დან	გამოყენებულია საწყობად
2.	ლეღვას " - "	ლეღვას ცენტრში სოფ. აჭყვისთავი . . . . .	2-ჯამე	-	-	ერთი გამოყენებულია კანტორად და მეორე სკოლად
3.	მუსხეხტატეს " - " "	მუსხეხტატეს ცენტრში სოფ. ალაშბარში და ზენითში . . . . .	3-ჯამე	-	-	ერთი გადაკეთებულია სკოლად, ერთში კოლმკან., ერთი საწყობად
4.	ქობულეთის ცენტრში	ქ. ქობულეთში .	1-ჯამე	-	-	გამოყენებულია საწყობად
5.	სუცუბნის სასოფლო საბჭო	სოფ. სუცუბანი	1-ჯამე	-	-	გამოყენებულია საწყობად
6.	სოფ. ქობულეთის ს/საბჭო	სოფ. ქობულეთის ცენტრში და სოფ. კოსში . . . . .	2-ჯამე	-	-	ორივე გამოყენებულია კოლმკურ. საწყობად
7.	ჭახათის სასოფ. საბჭო	სოფ. ჭახათი. . . . .	1-ჯამე	-	-	გამოყენებულია კანტორად
8.	ზერაბოსელის სასოფ. საბჭო	სოფ. ზერაბოსელი. . . . .	1-ჯამე	-	-	სრულიად უვარგისი შენობა
9.	დაგვის " - "	სოფ. ბობოყვათში და სოფ. დაგვაში . . . . .	1-ჯამე	1-ეკლესია	-	გამოყენებულია საწყობად და მეორე ცარიელია
10.	კვირიკის " - "	სოფ. კვირიკეში და სოფ. კვირიკე ბერძნებში	1-ჯამე	2-ეკლესია	-	გამოყენებულია ჯამე საწყობად და ეკლესია უმოქმედოა

11.	ციხისძირის სასოფ. საბჭო	არ არის	არა	არა	არა	არა
12.	ჩაქვის " - "	სოფ. აჭყვა ბერძენები		1- კელესია	-	უმოქმედია, არაფერი არ არის შოთავესებელი შიგ
13.	ხადის " - "	სოფ. ხაღაში, ჩაისუბანში, ჩაქვისთავში	3-ჯამე	-	-	გამოყენებულია საწყობად

**მშრომლეთა დეპუტატების ქობულეთის რაისაბჭოს აღ-  
მასრულებელი**

**კომიტეტის თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: /შ. დევაძე/**

**მშრომლეთა დეპუტატების ქობულეთის რაისაბჭოს აღ-  
მასრულებელი**

**კომიტეტის მ დ ი ვ ა ნ ი: /შ. გოლიაძე /**

**ფონდი №977; საქმე №2; ფურც. 15-16.**

**ს ი ა**

**ბათუმის რაიონში არსებული საეკლესიო შენობებისა,  
რომლებიც გამოყენებული არ არის კულტურულ სამ.**

**მიზნებისათვის**

№	დასახლებული პუნქტის და რაიონის დასახელება	ეკლესიის დასახელება	რომელ წლიდან არის გახსნილი	რომელ ორიენტაციისაა	მღვდლისა და სხვა საეკ- კულტ. მომსახურე პირთა, გვარი სახელი და მამის სახელი
1.	ბათუმის ს/ს სკოროლისთავი	ეკლესია	1884	მართმად.	არა
2.	კორნათის ს/ს.ზედა კორნათი	ჯამე			
3.	კორნათის ს/ს.სოფ.კობალეთი	ჯამე			
4.	ურეხის ს/ს. სოფ.ფერია	ჯამე			
5.	კაანდბის ს/ს/ ზ'ჯოჯო	ჯამე			
6.	ახალშენის ს/ს.სოფ.იჯადიე	ჯამე			
7.	მახინჯაურის ს/ს.ს.მახინჯაუ.	ჯამე			



მშრომელთა დეპუტატების ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის  
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე /მ. ყურშუბაძე/.

**ფონდი №977; საქმე №2; ფურც. 24.**

***ქ. ბათუმის საბჭოს ვაჭრობის განყოფილება***

სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე აჭარაში ჩამოყალიბებულია სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტურების საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში, რომლის შტატი დღეისათვის შეადგენს: რწმუნებული, მდივანი და დამლაგებელი. გთხოვთ შეიყვანოთ მომარაგებაში, როგორც დამოუკიდებელი ორგანო.

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგ. კულტურების საბჭოს

რწმუნებული აჭარის ასსრში: (ვანლიში)

**ფონდი №977; საქმე №3; ფურც. 2.**

**1945 წლის 30/IV**

***აჭარის სახელმწიფო მუზეუმის  
დირექტორს ამხ. ხ. კირისილოვლის.***

სსრკ რელიგიის კულტების საბჭოს რწმუნებული აჭარაში გთხოვთ მისცეთ მართმადიდებელ ეკლესიის საბჭოს ერთი ცალი სურათი ქრისტიანული კულტის გამომხატველი, /პლემენიცა/ რომელიც იმყოფება თქვენს განკარგულებაში და ეკუთვნის აღნიშნულ ეკლესიას. –

რელიგიური კულტების რწმუნებული  
აჭარის ასსრში: (ვანლიში)

**ფონდი №977; საქმე №3; ფურც 3.**

**1945 წლის 25/IV**

**რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულს  
ამხ. დ. ა. ქურიძეს**

სამლოცველოების დახურვისას საეკლესიო ნივთები შენახული იყო ერთერთ სამლოცველოში და ეს სამლოცველო ამჟამად იმყოფება მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის განკარგულებაში, რომელიც თქვენთვის ცნობილია.

კულტის მსახურთა მიერ არის მოთხოვნილება ამ ნივთებიდან ზოგიერთის, როგორცაა სურათების, წიგნის და სხვა ხელსაწყოები.

გთხოვთ მოგვცეთ განმარტება, რა შეგვიძლია დაფუძრუნოთ ეკლესიას სათანადო გაფორმებით.

რელიგიური კულტების საბჭოს  
რწმუნებული აჭარის ასსრ-ში: /ვანლიში/.

**ფონდი №977; საქმე №3; ფურც. 6.**

**სსრკ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური  
კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს  
სსრ-ში**

**მოხსენებითი ბ ა რ ა თ ი**

აჭარის ასსრ-ში მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებანი:

1. თანახმად ბაპტისტ მორწმუნეთა ოცეულის განცხადებისა, შესწავლილი იქნა მორწმუნეთა კონტინგენტი, მათი სამლოცველო სახლი მდებარე ქ. ბათუმში გორკის 53-ში კერძო პირისაგან დაქირავებული, რის შემდეგ ინსტრუქციის საფუძველზე ჩემს მიერ მოთხოვნილი იქნა ყველა საბუთები და ანკეტური ცნობები, როგორც კულტის მსახურზე ისე სამლოცველო ორგანოზე შექმნილი იქნა ცალკე საქმე და რეგისტრაციაში გატარების შემდეგ მიეცა მონმობები გაცემულ ფორმის მიხედვით. ბაპტისტ მორწმუნეთა მიერ საბჭოთა კანონების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მათგან საჩივარი რაიმე უკმაყოფილების შესახებ არ შემოსულა, სამლოცველო ბინა შეკეთებულია და განკუთვნილია მხოლოდ ლოცვისათვის. აღნიშნული სამლოცველო დღემდე მოქმედებაშია.

2. ებრაელ მორწმუნეთა სამლოცველო, რომელიც მოქმედებს ჯერ კიდევ 1924 წლიდან, ჩემს მიერ გაფორმებული იქნა ყველა საბუთები მისი რეგისტრაციის შესახებ, ხოლო მათზე მონმობების გაცემა მეორე კვარტალში ვერ მოვასწარით მათი გამოუცხადებლობის მიზეზით, რომელიც ამ დღეებში შესრულებული იქნება. შექმნილია ცალკე სარეგისტრაციო საქმე და გაფორმებულია ყველა საბუთები როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოსი; ისე სარევიზიო კომისიის და სხვა.

ებრაელთა სამლოცველოში ადგილი ჰქონდა საბჭოთა კანონის დარღვევას, ჩემს მიერ უეცარი მოსვლის შედეგათ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ მორწმუნე — ამავე დროს რელიგიური კულტის მორწმუნის მიერ ტარდებოდა ახალგაზრდამონაფის სწავლება თვით სამლოცველოს დარბაზში, ჩემს მიერ იმავე დროს მიღებული იქნა ზომები ასეთების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისათვის. მორწმუნეების მოთხოვნაზე მოსწავლეების სწავლებაზე ჩემს მიერ უარითი ეთქვათ.

3. ა/წ. აპრილის თვის შუა რიცხვებში კ. პ. /ბ/ ბათომის რაიკომის მეორე მდივნის ამხ. აბესაძის მიერ გამოძახებულ იქნა მორწმუნე მუსლიმანები და დაემუქრა დაპატიმრებით თუ ისინი განცხადებას უკან არ წაიღებდნენ, სადაც მორწმუნე მუსლომანები ხელს აწერდნენ მეჩეთის გახსნის შესახებ.

**ფონდი №977; საქმე №3; ფურც. 16.**

**9/V1945**

***აჭარის ასსრ. სახ. უშიშროების სახალხო კომისარიატს***

რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრში გაცნობებთ, რომ სოუქსუზე არსებული მართმადიდებელ ეკლესიის მორწმუნეთა მიერ შემოსულ ცნობების მიხედვით ადგილი აქვს ეკლესიის შემოსავლის მთლიან მითვისებას, ეკლესიის სასულეირო მსახური პუხნო სრულიად არ ემორჩილება დებულებას, იგი არ ცნობს ეკლესიის გამგობას და ატარებს ერთმართველობას, რაც დაუშვებელია, თვითონ ამზადებს და ჰყიდის სანთელს მაღალ ფასებში და შემოსულ თანხას მთლიანად მის სარგებლობაში იტოვებს, ჩემს მიერ არა დეტალური შემოწმებით უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში კერძო შემოსავალი მიუთვისებია მარტო სან-

თლიდან 150 ათას მანეთზე მეტი, თანახმად არსებული დებულებისა მღვდელი არ უნდა ერეოდეს ფინანსურ და საერთოდ სამეურნეო საკითხებში, იგი ხელფასს უნდა ღებულობდეს ეკლესიის გამგეობიდან (გარდა ეკლესიის გარეშე ინდ. შემოსულისა) შემოსული თანხა უნდა იქნეს შეტანილი სახელმწიფო ბანკში, მაგრამ მღვდელი პუხნო ყოველ გვარ წესებს არღვევს.

ვანლიში

ფონდი №977; საქმე №3; ფურც. 19.

1. 06. 1945

**მ/დ.ქ. ბათუმის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს  
ამხ. ჯიქიას**

გიგზავნით განცხადებას ქ. ბათუმის მორწმუნე ებრაელების სამლოცველო სახლის რეგისტრაციის შესახებ, რომელიც მდებარეობს 9 მარტის ქუჩა 6-ში, გთხოვთ შეამოწმოთ, მათი განცხადების საფუძველზე და მოგვცეთ სათანადო ცნობები და დასკვნა, ა/ნ. 10 ივნისამდე აჭარის ასსრ სახკომ-საბჭოს თავმჯდომარეს მოსახსენებლად.

1. სინამდვილეს წარმოადგენს თუ არა მორწმუნეთა წარმომადგენლების განცხადება, თუ მოქმედებენ ვისიმე პირადი ინიციატივით.
2. საიდან გამომდინარეობს შუამდგომლობა /არის თუ არა ბევრი მორწმუნე/.
3. აქვს თუ არა პროვოკაციას ადგილი (სპეციალურ აგიტაციას ან მოტყუილებას).
4. სიაში შეტანილი მორწმუნეთა ხელწერა წარმოადგენს თუ არა სინამდვილეს.

5. მოცემულ სიაში ხომ არ არის უწლოვანები ან სასამართლოს მიერ ხმის უფლება ჩამორთმეული.
6. წარმოადგენს თუ არა მორწმუნეთა სურვილს სამლოცველოს რეგისტრაცია.
7. აქვთ თუ არა შენობა, მისი ვარგისიანობა საექსპლოატაციოდ.
8. რომელ წლიდან მოქმედებს აღნიშნული სამლოცველო.
9. ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენი ასეთი შენობა იყო.
10. სისტემატიურად ეწევიან თუ არა რელიგიურ სამსახურს თუ შემთვევიდან შემთხვევამდე.  
იმ შემთხვევაში, თუ კი სცნობთ მათ შუამდგომლობაზე რეგისტრაციის შესახებ შეუძლებლობას, წარმოადგინეთ თქვენი მოტივები და შეხედულება.

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებული: (ვანლიში).

**ფონდი №977; ან. 1, საქმე №3; ფურც. 25**

10. 02. 1945

**სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოში სსრ-ში**

**ამხ. დ. ა. ქ უ რ ი ძ ე ს.**

**საანგარიშო მოხსენება 1945 წლის  
პერიოდში ჩატარებულ მუშაობის შესახებ  
აჭარის ასსრ-ში**

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს აჭარის ასსრ-ში ძირითადად გვიხდება მუშაობა შემდეგ რელიგიურ საზოგადოებასთან.

1. ევანგელური ქრისტიან და ბაპტისტებთან.
2. ებრაელთა საზოგადოებასთან.
  - ა) ევანგელურ ქრისტიან და ბაპტისტების საზ-ბი-სათვის რეგისტრირებულია ერთი სამლოცველო სახელი ქ. ბათუმში, რომელშიდაც გაერთიანებულია 60-მდე წევრი, ხოლო მლოცველთა რიცხვი აღემატება 120-ს. მათში უმთავრესად გაერთიანებულია დაახლოვებით: მუშა 50 (ორივე სქესის), მოსამსახურე 20, დიასახლისი 30, ინვალიდი 2, მოხუცი 182.

აღნიშნულ სამლოცველოებში პირველ ხანებში მლოცველთა საერთო რიცხვი არ აღემატებოდა 50-60-ს. მაგრამ უკანასკნელად მოიმატა. სასულიერო პირი (პრესვიტერი) მუშაობს სახელმწიფო დანესებულებების მუშად. რაც შეეხება მისი სასულიერო ცენზის შესახებ საბუთი არ მოეპოვება. ლოცვის პროცესში რელიგიურ ქადაგებასთან ერთად პეიოდულად ახსენებენ ხოლმე წითელი არმიისა და საბჭოთა მთავრობის წარმატებას. რელიგიური ხაზით არსებულ სამ-

მართველოს გაუგზავნეს მიზნობრივი თანხა თავდაცვის ფონდისათვის. ამჟამად თანხის გაგზავნის შესახებ არ უზრუნვიათ. მასაში ცდილობენ მიიმხრონ მორწმუნეები, რაც შეიძლება ბევრი. ცდილობენ დაახასიათონ ბაპტისტური სარწმუნოება, როგორც ერთად-ერთი “სწორი მიმართულება” „ამ ქვეყნად და იმ ქვეყნად და იმ ქვეყნისათვის”. სახელმწიფო მნიშვნელობის კამპანიების ჩატარების საქმეში მონაწილეობენ, მაგრამ რაიმე აქტიობის გამოჩენას ამ საზღვის ნევრების მიერ ადგილი არ ჰქონია. ყოველგვარ რელიგიურ-ჩვევებს ასრულებენ ლეგალურად.

ბ) ებრაელთა საზღვისათვის რეგისტრირებულია ერთი სამლოცველო ქ. ბათუმში, რომელშიაც გაერთიანებულია 80-მდე მლოცველი. მათში უმთავრესად გაერთიანებულია დაახლოვებით:

სავაჭრო ქსელის მომუშავენი 30; გადამყიდველები 25; მუშა-მოსამსახურეები 25; სხვა 10. პერიოდულად მლოცველთა რიცხვი აღემატება 100 კაცს. ებრაელთა ხშირი საჩივარი არის იმის შესახებ, რომ აბანოს ოთახის ქალაქის საბჭოს მიერ ჩამორთმევის გამო მორწმუნე ქალები მოკლებული არიან ლოცვას. აღნიშნულ საკითხზე, მიუხედავად მრავალგვარ ზომების მიღებისა, ვერ დავაკმაყოფილეთ. თქვენი წერილის საფუძველზე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მიერ მიწერილი დირექტივაც არ იქნა შესრულებული. ასევე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. სადოვსკის ოფიც. მომართვის საფუძველზე ჩემს მიერ მრავალჯერ მიწერისა და მიმართვისა, მაინც ყურადღების გარეშე იქნა დატოვებული. ებრაელთა საჩივარი ამ საკითხზე ხშირად მომდის.

სამამულო ომის დროს საზოგადოებამ გამოიჩინა პატრიოტული საქმიანობა თავდაცვის ფონდისათვის თანხის შედგროვების საქმეში. აგრეთვე მოაწყვეს რელიგიური აღნიშვნები - სამამულო ომის დროს ფაშისტთა მიერ დახოცილ



ებრაელთა მოგონება, სადაც იქადაგეს აგრეთვე წითელი არმიის წარმატებაზეც.

ებრაელთა სამლოცველოში მიუხედავად ჩემი განმარტებისა ბავშვების სწავლების შეუძლებლობის შესახებ - მაინც აგრძელებენ უმთავრესად დილის საათებში. საზოგადოების მიერ მოწვეულ იქნა ხალხი სამტრედიის რაიონიდან – მოძღვრიშვილი მიხაილ მოსეს-ძე. რომელიც მორწმუნეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. საზოგადოებას ყავს ასევე დამხმარე პირები, რომლებიც ასრულებენ ხოლმე ხელმძღვანელობას ლოცვაში.

სხვა ეროვნების მორწმუნეებში გამეფებულია შიში, თითქოს მთავრობის მიერ ასეთი ღონისძიება დროებითია და იგი მიმართულია რაიმე სხვა მიზნისათვის.

მუსლიმანი მორწმუნეები უკვე არ აყენებენ საკითხს სამლოცველოს გახსნის შესახებ. აგრეთვე მათ ძალიან ეშინიათ რელიგიური ჩვევების შესრულება ლეგალურად.

ჩემს მუშაობაში ძალზე დახმარება გამოიწვია საბჭოს მიერ მოწვეულმა თათბირმა. მუშაობაში ვხდები სიძნელეებს მხოლოდ იმაში, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოტანილი დადგენილებები და დირექტივები არ არის ცნობილი ადგილობრივ ორგანოებში, რის შედეგადაც დაბა ქობულეთში არსებული ჯამის შენობაში უკანასკნელად გახსნეს წრეების სამუშაო დარბაზი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მიერ ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში იყო დაშვებული წერილი - ასეთის შეუძლებლობის შესახებ ყველა რაიონის აღმასკომის თავ-რის სახელზე.

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ რელიგიური  
კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებული  
აჭარის ასსრ-ში: /მ.ვანლიში/.

**ფონდი №977; საქმე №3; ფურც. 56.**

**აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარეს**

**ამხ. ი. ს. ფუტკარაძეს**

**მოსხენებითი ბარათი**

თანახმად თქვენი დავალებისა, ჩემს მიერ შემოწმებული იქნა ადგილზე ბერძნული ეკლესიის საკითხი და გამორკვეულია შემდეგი:

ყოფილი ბერძნული ეკლესიის შენობა მდებარეობს ქალ. ბათუმში ტელმანის და ორჯონიკიძის ქუჩის კუთხეში, რომელიც ამჟამად II სამხედრო ნაწილის მიერ დაკავებულია სანყობად.

მართმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა მიერ 5 თვის წინად სახკომსაბჭოში შემოტანილი იყო კოლექტიური განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა 100-ზე მეტი მორწმუნე და თხოულობდენ ეკლესიის გახსნას, ამჟამად ეს მასალები იმყოფება ქალ. თბილისში და, რომ საკითხი განხილული იქნას საქართველოს სახკომსაბჭოში, ეს დაკავშირებულია ეკლესიის შენობასთან, რადგანაც მართმადიდებელი ეკლესიების მორწმუნეთა რაოდენობა ქალ. ბათუმში ამჟამად არა სრული ცნობების მიხედვით 500-600 კაცს აღემატება, რომლებიც ეკლესიის გახსნას მოითხოვენ, ჩემის აზრით ზემოთ დასახელებულ შენობის განთავისუფლება შეიძლება, თუ საქართველოს სახკომსაბჭო გამოიტანს დადგენილებას აღნიშნული ეკლესიის გახსნის თაობაზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული

რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს

რწმუნებული აჭარის ასსრ-ში: /ვ. ჯიმშელეიშვილი/

15/XI-44 ნელი

**ფონდი №977; საქმე №3; ფურც. 57.**

## დადგენილება № 85

### აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსი რელიგიურ საზოგადოებათა სამლოცველო შენობების შესახებ

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1946 წლის 16 თებერვლის -135-ს დადგენილების შესაბამისად, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო

#### ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს მორწმუნეთა რელიგიურ საზოგადოებების სარგებლობაში არსებული სამლოცველო შენობებისა /კათოლიკური კასტიოლების, ლიუთერანული კირკების, ძველი სარწმუნოების მოსავთა და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების, მუსლიმანური მეჩეთების, ებრაელთა სინაგოგების, სექტანთა სამლოცველო სახლების, ბუდელთა ტაძრების/ და მორწმუნეთა მიერ იჯარით აღებულ სადგომებში არსებული ყველა კულტის სამლოცველო სახლების დახურვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ნებადაურთველად.

2. აიკრძალოს უმოქმედო სამლოცველო შენობათა გადაკეთება სხვა მიზნებისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ნებადაურთველად.

3. განმარტებული იქნას, რომ ამ დადგენილების I პუნქტში აღნიშნულ სამლოცველო შენობათა დანგრევა შეიძლება დაშვებული იქნეს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს ნებართვით განსაკუთრებულ შემთხვევებში /ჩამონგრევის საფრთხისას და სხვ./ ტექნიკური აქტის არსებობის დროს და სსრ კავში-

რის სახკომსაბჭოს რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს აჭარის ასსრ რწმუნებულის დასკვნით.

4. დადგენილ იქნას, რომ ახალი სამლოცველო შენობათა მშენებლობა შეიძლება დაშვებულ იქნას ცალკეულ შემთხვევებში მორწმუნეთა ძალებითა და საშუალებებით. სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ნებართვით.

5. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს შესაძლებლობის ფარგლებში, სამშენებლო მასალების მიცემა რეგისტრაციაში გატარებულ რელიგიურ საზოგადოებათათვის ხელშეკრულებით განპიროვნებულ სამლოცველო შენობათა შესაკეთებლად, სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს აჭარის ასსრ რწმუნებულის წარდგენით.

6. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოების აღმასკომებს და ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ხელი არ შეუშალონ რეგისტრაციაში გატარებულ რელიგიურ საზოგადოებებს აწარმოონ საეკლესიო ზარების რეკა ქალაქებსა და სოფლებში არსებულ ზარების გამოყენებით, არ შეაფერხონ მათი შექმნა და აგრეთვე დაუშვან მუეზინის მოწოდება მეჩეთის სახურავიდან ან მინარეთიდან.

7. მიეცეს რელიგიური კულტის ორგანოებს /რეგისტრაციაში გატარებულ რელიგიურ საზოგადოებებს/ იურიდიული პირის განსაზღვრული უფლებანი და ნებადაერთოს მათ შეიძინონ სატრანსპორტო საშუალებანი, დაამზადონ საეკლესიო ჭურჭლეულობა და რელიური კულტის საგნები, მიჰყიდონ ისინი მორწმუნეთა საზოგადოებებს და იჯარით აილონ, ააშენონ და იყიდონ საკუთარი შენობანი /გარდა სამლოცველო შენობებისა და სახლებისა/ რელიგიური კულტების ორგანოთა საჭიროებისათვის, სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს სანქცი-

ით, და აგრეთვე ნებადაერთოს მორწმუნეთა რელიგიურ საზოგადოებებს გახსნან საზოგადოების სახელზე მიმდინარე ანგარიშები სახელმწიფო ბანკსა და მის განყოფილებებში მათ განკარგულებაში თანხების შესანახად.

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე  
ი. ფუტკარაძე  
აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი  
ი. რამიშვილი

1946 წლის “2” მარტი  
ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 4, ფურც. 4

### *ოქმი №1*

1946 წლის 13 თებერვალს შესდგა ქ. ბათუმის მუსლიმან მორწმუნეთა საერთო კრება, თავმჯდომრე ბაკურიძე ხასან ხუსეინის ძე, მდივანი მემედ ახმედის ძე დიასამიძე.

**მოისმინეს:** ქალაქ ბათუმის ჯამის გამგეობის წევრთა თავმჯდომარეთა არჩევის შესახებ.

**დაადგინეს:** ბათუმის ჯამის გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნეს ჭალაღიძე ხასან მემედის ძე, წევრებათ მემედ ახმედის ძე დიასამიძე და ოსმან

ყარაღის ძე ვარშალომიძე. ამავე ვარშალომიძეს დაევალოს მოლარეობის

შესრულება თავმჯდომარის მისამართი ლიბკნეხტის ქ. 25

**მოისმინეს:** ქალაქ ბათუმის ჯამის სარევიზიო კომისიის წევრების არჩევის შესახებ.

**დაადგინეს:** არჩეულ იქნეს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ბაკურიძე ხასან ხუსეინის ძე. წევრებათ დიასამიძე ისკანდერ ხუსეინის ძე და ბოლქვაძე სულეიმან მემედის ძე, თავმჯდომარის მისამართი ორთაბათუმის თემი სოფ. აგარა.

13.02.1946 წწ. კრების თავმჯდომარე:  
მდივანი: მ. დიასამიძე

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 5, ფურც. 1**

## ავტობიოგრაფია

### (თარგმანი არაბულ-თურქულიდან)

მე ფერჰათ იუნუსის ძე კონცელიძე დაბადებული ვარ ჭვანის სასოფლო ცენტრის სოფელ ზემოხევში 1876წელს. მამაჩემი ღარიბად მცხოვრები გლეხი იყო.

რვა წლის ვიყავი, როცა ჩვენს სოფელში არსებულ მედრესეებში არაბულის სწავლა დავიწყე, ოთხ წელიწადს აღნიშნულ მედრესეებში ვიმეცადინე, შემდეგ რამოდენიმე წელიწადს შესვენების შემდეგ 1900 წელს ღორჯომში არაბული ცოდნის მისაღებად სასულიერო პირის ისქენდერ ეფენდისთან ოთხ წელიწადს ვისწავლე, ამის შემდეგ სწავლას მივატოვე და მამაჩემთან მწყემსად ვიყავი.

1908 წელს ისევ არაბული სწავლების გაკვეთილების მისაღებად სტამბულში გავემგზავრე, სადაც ხუთი წელი და სამი თვე არაბულ ენაზე განათლების მიღებასთან ერთად სასკოლო გაკვეთილებსაც ვსწავლობდი.

1913 წელს დეკემბრის თვეში მშობლებთან შესახვედრად სამშობლოში ე.ი. ბათუმში წამოვედი, რის შემდეგაც მალე 1914 წელს მსოფლიო ომი დაიწყო, 1914 წელს ისევ დეკემბრის თვეში ჩოხატაურის რაიონის ზოტის სასოფლო ცენტრში იმამი (სასულიერო კულტის მსახური) გავხდი. ექვს წელიწადს კულტის მსახურის (იმამის) მოვალეობას ვასრულებდი; 1920 წელს სოფელ ზოტის აღებისგან (თავადების) კერძოდ კეკელიძე კონიასაგან ერთი ტყიანი ადგილის შეძენით სოფლის მეურნეობა დავიწყე, ამგვარად 18 წელიწადს სოფლის მეურნის მდგომარეობაში ვიყავი. შემდეგ 1938 წელს სოფ. ზოტში არსებული ჩემი ქონება ჩემს შვილებს დაუტოვე და მე ბათუმში ორთაბათუმის თემის სოფელ ჩელტაში ერთი

ადგილი ავიღე, სადაც მცხოვრები გავხდი და ვცხოვრობდი 1946 წლამდე.

1946 წლის მარტის 22 რიცხვს ბათუმის ორთა ჯამეთ წოდებულ სამლოცველოს გამგეობისაგან არჩეულ ვიქენი იმამად, რის შემდეგაც უკვე 8 თვე სრულდება კულტის მსახურის მოვალეობას ვასრულებ.

30 ოქტომბერი 1946 წელი

ხელის მომწერი: ფერჰად იუნულის ძე კონცელიძე  
ხელმოწერილია

მთარგმნელი: მ. ვანლიში

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 5, ფურც. 5**

**№ 242**

**23 სექტემბერი 1946 წ.**

***მის უდიდებულესობას,  
ყადი რასიხ ეფენდის.***

***(თარგმანი: არაბული, თურქულ-  
ფარსულიდან)***

ამიერკავკასიის მუსლიმანთა შორის რჯულის საქმეში არსებულ უმსგავსო და არა წესიერი, ამავე დროს უშინაარსო და შეცდომათა მხედველობაში მიღებით, მიზანშეწონილად ვსცანით და თათბირის შემდეგ დავადგინეთ:



1. როგორც მიცვალებულთა დასაფლავების დარგში ისე მეჩეთებში რჯულის საქმეზე სამსახურებში მყოფი ხოჯები ან ეფენდები და სხვა სასულიერო დარგში მომუშავენი სასულიერო სამმართველოებში უნდა იქნენ გამოცდილნი. ამგვარად მათ სათანადო გამოცდილებით უნდა შეასრულონ წესები.
2. პირებს, რომლებსაც ხელზე აქვთ ნებართვა რელიგიური კულტების შესრულებისათვის, მათი რაიონის გარეშე რელიგიური სამსახურის უფლება არა აქვთ, იმ შემთხვევაში, თუ ასეთის საჭიროება დარჩეს, უნდა მიიღონ საამისო ცალკე ნებართვა, ამის შემდეგ დასაფლავებაზე და მსგავსი ჩვევებს უნდა ასრულებდნ.
3. სახლებში ქადაგება და რელიგიური ჩვევათა შესრულება დაუშვებელია, კულტის მსახურის მიერ, ვისაც ლოცვა უნდა, ნებართვით გაფორმებულ მეჩეთში უნდა დადიოდეს.
4. რელიგიური კანონის გარეშე საკუთარი შეხედულების გატარება და მსგავსი ჩვევების, ადათების გატარება მეჩეთებში შემჩნევის შემთხვევაში მოქმედი უნდა დაისაჯოს და მოშორებულ იქნას.

ხელს ვანერ: შეიხულ ისლამ მუფთი ეფენდი ზადე

გადართარგმნა მ. ვანლიშიმ.

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 8, ფურც. 3.**

## “ვამტკიცებ”

ბათუმის ქალ. პროკურორი  
იუსტიციის უმც. მრჩეველი  
/სიხარულიძე/

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. ბათუმი

30 აგვისტო 1946 წ. ქ. ბათუმი

მე, ქალ. ბათუმის პროკურორის თანაშემწემ მე-2 კლ. იურისტმა ბალანჩივაძემ დღეის რიცხვს განვიხილე, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა აჭარის რწმუნებულის საჩივარი მოქ. ისმაილ მემედის ძე მიქელაძის საუნწყებო ბინიდან გამოსახლების შესახებ.

### ვ პ ო ვ ე:

რომ, როგორც ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა მოქ. მიქელაძე მუშაობდა მეჩეთში, რომელსაც სამუშაოსთან დაკავშირებით ეჭირა მეჩეთის შენობაში საუნწყებო ბინა ჩკალოვის ქ. 7-ში. ამჟამად იგი მოხსნილია სამუშაოდან, რის გამო ადმინისტრაცია ითხოვს მოქ. მიქელაძის გამოსახლებას, რაც კანონიერად უნდა ჩაითვალოს და თანახმად სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17/10 დადგენილების 31 მუხ. “ა” პუნქტისა

### და ვ ა დ გ ი ნ ე:

მოქ. ისმაილ მემედის ძე მიქელაძე გამოსახლებული იქნეს სამაგიერო ბინის მიუცემლად ჩკალოვის ქ. 7-დან ყველა მას-

თან მცხოვრები პირებით, ადმინისტრაციული წესით ათი დღის ვადაში.

ბათუმის ქალაქის პროკურორის  
თანაშემწე 2 კლ. იურისტი: /ბალანჩივაძე/

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 8, ფურც. 11.**

***სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური  
კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრ-ში ამხ.  
დ.ა. ქურიძეს***

***საინფორმაციო მოხსენება 1946 წ. I კვარტლის  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს აჭარის ასსრ  
რწმუნებულისაგან.***

1946 წლის I კვარტალში შემოვიდა ორი განცხადება სამლოცველოს გახსნის შესახებ.

1. ქ. ბათუმის მორწმუნე სომეხ-კათოლიკებისაგან ქ. ბათუმში არსებული კასტიოლის გახსნის შესახებ, შენობა, რომლის გახსნასაც თხოულობდნენ სომეხ-კათოლიკოსები დაკავშირებულია ბავშვთა ტექნიკური სადგურით, ამავე დროს სომეხ კათოლიკებს არა ყავთ კულტის მსახური, ზემო აღნიშნული მიზეზების გამო კასტიელის გახსნაზე უარი ეთქვათ, (გაფორმებულია სათანადო დასკვნით).

2. ასევე პირველ კვარტალში შემოვიდა განცხადება ქ. ბათუმისა და მის მახლობლად მცხოვრებ მორწმუნე მუსულმანებისაგან, ქ. ბათუმში მეჩეთის გახსნის შესახებ.

პოლიტიკურ მოსაზრებათა ხელმძღვანელი ორგანიზაციის სანქციით ბათუმში მეჩეთის გახსნაზე ჩემს მიერ ნებადართული იქნა გაფორმებამდე, რის შემდეგაც მორწმუნეებს დავავალე შემოეტანათ განცხადება 20 კაცის ხელმოწერით, ვინაიდან მუსულმან-მორწმუნეებში არსებობს შიში (რადგან ადგილი აქვს ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელის მიერ მუქარებს რელიგიური ჩვევების შესრულებისა და მეჩეთის მოთხოვნის წინააღმდეგ) განცხადებაზე ხელს აწერენ, ხოლო უკანასკნელად ხელწერილები გააფორმეს (თუმცა ორმა კაცმა ისევ მოითხოვა, რათა გაგვეუქმებია მათი ხელწერები).

ჩემს მიერ ა/წლის 20 მარტისათვის მზად იყო ყველაფერი, მაგრამ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის შორეული მივლინებაში ყოფნის გამო ჩემს წარდგენაზე მოადგილემ დასკვნას ხელი არ მოაწერა, რის გამოც ბათუმის მეჩეთის გახსნას საანგარიშო პერიოდში ვერ ვაფორმებთ.

მუსულმან მორწმუნეებს ჩაბარებული აქვთ მეჩეთის ერთი დარბაზი, ამჟამად დააყენეს საკითხი სამლოცველოს დამხმარე დარბაზის გადაცემისა და აგრეთვე სამლოცველოებთან უშუალოდ დაკავშირებული სამი ოთახის დაბრუნების შესახებ, ჩემს მიერ ადგილზე შემონმებით გამოირკვა, რომ პარასკევობით ერთ დარბაზში არ ეტევიან, ხოლო დამხმარე ოთახები საჭიროა პარასკევობით და რელიგიური დღესასწაულებისათვის, აღნიშნული ოთახები უშუალოდ დაკავშირებულია სამლოცველო დარბაზთან და ხშირია შემთხვევა, როცა ლოცვის მომენტებში მცხოვრებლები დასაკრავ ინსტრუმენტებს უკრავენ, რაც მუსულმანურ შარიეთით სასტიკად აკრძალულია, ჩემს მიერ საკითხის დასმაზე ქალაქის საბჭოს წინაშე უარი გვითხრა, რისთვისაც ველი თქვენს გადანყვეტილებას.

ებრაელთა საზოგადოებას მათ მიერ მოთხოვნილი აბანოს შენობა /მიკვა/ დაუბრუნეს როგორც ვიცი არა კანონის ძალით, არამედ ქრთამის მეშვეობით.

საბჭოთა კანონმდებლობის დამახინჯებას ცალკეულ რელიგიური ორგანიზაციების მიერ ადგილი არ ჰქონია.

უნდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად მრავალჯერ განმარტებისა მართლმადიდებელი მორწმუნეები ხშირად მოდიან ჩემთან საჩივრით, რომ მღვდელი პუხნო არის აფირისტი, მას ორი ცოლი ყავს, თვით აკეთებს სანთლებს და თვითონვე ჰყიდის, შემოსავალს თვითონ ითვისებს. მასთან დადიან სახელმწიფო დანესებულებების ზოგიერთი მუშაკები და სისტემატურად დროს ატარებენო და სხვა, გარდა ამისა აცხადებენ, რომ პუხნო მორწმუნე არ არის. აღნიშნულ მორწმუნეებს ჩემს მიერ ეძლევა განმარტება, ჩემი განმარტებით მათ მიერ წაყენებული ბრალდებები სწორია, მაგრამ არავინ ზომებს არ ღებულობს.

საქ. კ.პ./ბ/ ქობულეთის რაიკომის მიერ აღძრული იყო შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ქობულეთის მეჩეთის შენობა გადაეკეთებინათ კინო-თეატრად, ჩემს მიერ მიეცა უარყოფითი დასკვნა.

ასევე ამჟამად წამოაყენა საკითხი ხულოს რაიაღმასკომმა ჯამის შენობის ქვის სხვა მშენებლობაზე გამოყენების შესახებ, რაზედაც ჩემს მიერ მიეცა უარყოფითი დასკვნა.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების

საქმეთა საბჭოს რწმუნებუბლი: / მ. ვანლიში /

**ფონდი 977 ც; აღწერა 1; საქმე 6; ფურც. 5**

**სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელ ეკლესიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრ-ში ამხ. ქადაგიშვილს**

ქ. ბათუმის ახლად გახსნილ ეკლესიაში ადგილი აქვს ბავშვებთან სპეციალურ მუშაობას:

ა/ ჯგუფად მიზიდულ ბავშვთა შორის აწარმოებენ რელიგიურ მოძღვრებათა ახსნას:

ბ/ ხელს უწყობენ ბავშვებს ლოცვაში, სპეციალურ ადგილებზე დაყენებით, ასწავლიან სანთლის დაკავენას და ლოცვის წესებს.

გთხოვთ თქვენს ჩარევას და სათანადო ზომების მიღებას ან თქვენს სასწრაფო ნებართვას კულტის მსახურთა გადახებისა და ჩემს მიერ მთავრობის კანონის გაცნობა თქვენი სახელით.

რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებული აჭარის ასსრ-ში: /ვანლიში/

**ფონდი 977 ც; აღწერა 1; საქმე 6;**

**სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს.**

**1946 წლის II კვარტალის ანგარიში  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
აჭარის ასსრ რწმუნებულისაგან**

1. 1946 წლის II კვარტალში სამლოცველოს გახსნის ან რეგისტრაციის შესახებ განხილვა არ შემოსულა.

აჭარის ასსრ-ში ძირითად სარწმუნოებას წარმოადგენს მუსულმანური, რომლის კონტიგენტი დაახლოებით 50.000 კაცს უდრის, საერთო მოსახლეობა კი, რომელიც მისდევდა ამ სარწმუნოებას აღემატება 120 ათას სულს, აჭარის მუსულმანური მოსახლეობა მთლიანად წარმოადგენს ეროვნებით ქართველს, რომელიც მე-17 საუკუნის დასასრულს და მე-18 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის მიერ აჭარის ტერიტორიის და საერთოდ სამცხე საათაბაგოს დაპყრობის შედეგად ძალდატანებით არიან გამუსულმანებული, ამგვარად საქართველოს ეს ნაწილი მართლმადიდებელ სარწმუნოებიდან გადასულია მუსულმანურზე.

როგორც ცნობილია, მუსულმანური სარწმუნოების ლოცვებში ხშირად ჩაქსოვილია ოსმალთა სახელმწიფოს ქება დიდება და შუღლი სხვა სარწმუნოების მიმდევრებთან მიმართ, ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშიც კი აჭარელი ქართველი შუღლით უყურებდა საქართველოს სხვა კუთხის ყველა ქართველს, მაჰმადიანური სარწმუნოება, რომელიც შექმნილი არის არაბეთის ნახევარ კუნძულზე მე-7 საუკუნეს მეორე ნახევარში, დაწერილი არის არაბულ ენაზე და სხვა ეროვნების ამ მორწმუნეთათვის ლოცვის – კითხვების შინაარსი გაუგებარია, კერძო ქართველი მუსულმანების მიერ წაკითხული ლოცვები და ყურანის მოძღვრებები გაუგებარია, ასევე გაუგებარია

აგრეთვე თვით სასულიერო პირთათვისაც, რომლებსაც არ გაუვლიათ ცენტრალური სასულიერო სასწავლებლები.

ყურანის შინაარსი უმთავრესად აგებულია:

1. ღმერთის დიდებაზე და ყოვლისშემძლეობაზე.
2. კერპთაყვანისმცემლობისა და სხვა სარწმუნოების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომებზე მათი გამუსულმანების მიზნით.
3. სამოთხის მოძღვრება, მისი მხატვრული აღწერით და მასში შესვლის საშუალებები /ამ ქვეყნად სილატაკე და უმეცრებაში ცხოვრება/ 5 მოძღვრება.
4. ქალებთან დამოკიდებულების შესახებ და სხვა.

გარდა ამისა, ყურანი მოუწოდებს მორწმუნოებს ბუნების შესწავლის, საერთოდ ცოდნის წინააღმდეგ, ამიტომაც მუსულმანური ქვეყნები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ კულტურას.

ყურანის დამხმარე წიგნები დაწერილია თურქულ ენაზე, რომელსაც კითხულობენ თურქებისა და ქართველი მუსულმანების საგრძნობი ნაწილი.

ეს წიგნი დაწერილია თურქი სასულიერო პირების მიერ და გამოსატავს ოსმალეთის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ინტერესებს, ამიტომაც არის, რომ აჭარელ ქართველებში ადგილი ჰქონდა პანისლამიზმის გამოვლინების ფაქტებს.

აჭარის მორწმუნე მოსახლეობაში გამოვლინებული იქნა ის ფაქტიც, რომ თურქულ ენაზე დაწერილ წიგნში /მევლუდში/, სადაც ოსმალეთის სულთანისა და მათი ჯარების წარმატებაზეა ლაპარაკი, ასევე კითხულობდნენ მორწმუნეები და ჩემს მიერ საუბარში ამიერ კავკასიის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოს წევრთან ბერიძესთან მივეცი განმარტება ასეთის დაუყონებლივ ამოღების შესახებ.

ქ. ბათუმში გახსნილ ჯამეში მიუხედავად ჩემს მიერ განმარტებისა, რომ არაბულის განმარტება /ვაიზი/ ხდებო-



დეს ქართულ ენაზე, რადგან ჯამეს არცერთი თურქი კონტიგენტი არ ჰყავს, მაგრამ ისინი მაინც მიმართავენ ხოლმე თურქულ ენას და ხშირად ქადაგება და უბრალო ლაპარაკიც კი ამ ენაზე წარმოებს, რაც ჩემის აზრით ხელს უწყობს პან-თურქიზმის ტენდენციას. ამიტომაც სწორად მსჯელობენ აჭარის ასსრ ხელმძღვანელი ამხანაგები თავი შეიკავონ მეჩეთების გახსნის საქმეში.

ოქტომბრის რევოლუციამდე აჭარაში არსებულ 138 მუსულმანური სამლოცველოდან ამჟამად მხოლოდ ერთი ჯამე მოქმედობს ქ. ბათუმში. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მიუხედავად რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლებისა, მაინც არალეგალურად ანხორციელებდნენ ხოლმე სარწმუნოებრივ ჩვევებს, სოფლებში აქა-იქ გამოჩნდნენ ნახევრად სასულიერო პირები და ასრულებენ ცალკეულ ჩვევებს, როგორცაა: მეველუდის კოლექტიურ კითხვას, დასაფლავების წინა ლოცვას /ჯენეზე ნამაზი/, ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფური ლოცვებს /ზიქრს/ და სხვა.

მუსულმანურ მოსახლეობაში უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს რელიგიური მოძრაობის ოდნავ ზრდას, ხოლო უმეტესად წესების შესრულება ხდება არალეგალურ ფორმებში.

ბათუმის მეჩეთის მლოცველები პარასკევობით აღმავტება 80 კაცს, ხოლო დანარჩენ დღეებში საშუალო მლოცველთა კონტინგენტი უდრის 20 კაცს.

მეჩეთის საბჭომ ჩემთან შემოიტანა განცხადება სამლოცველო ოთახების კერძო პირთაგან განთავისუფლების შესახებ, ჩემის აზრით ბათუმის მეჩეთის გახსნის გაფორმების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს:

ა) სამლოცველო აივანი, სადაც ამჟამად მიშენებულია ფანერის ოთახები შექმნილია აგრეთვე ხანძრის საშიშროება:

ბ) სამლოცველო დარბაზში შემაგალი სამი ოთახი, სადაც კერძო პირები ცხოვრობენ და იქვე უკრავენ სხვადასხვა ინსტრუმენტებს, სარგებლობენ ალკოგოლური სასმელებით და სხვა, რაც მუსულმანური რელიგიური კანონით /შარიათით/ დაუშვებელია;

ვ) როგორც გამგეობის წევრებმა ჩემთან განაცხადეს, რომ ადგილი აქვს ხოლმე გარყვნილების ფაქტებსაც კი.

ჩემს მიერ დასმული საკითხი მშრომელთა დეპუტატების ქალაქ ბათუმის საბჭოსა და ქ. ბათუმის პროკურორის წინაშე უშედეგოდ დარჩა, თქვენი ამ საკითხზე სათანადო განმარტების შემდეგ საკითხი დასმული იქნება აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინაშე.

### **3. ევანგელური ქრისტიანები და ბაფტისტები:**

როგორც ცნობილია ეს სარწმუნოება ძალზე გვიან გამოყოფილია მის ცენტრალურ სარწმუნოებისაგან, მაგრამ ბათუმის სამლოცველოს მიზანია რაც შეიძლება მეტი მომხრე იქნეს წევრობის სახით, როგორც თვით აცხადებენ „კაცობრიობისათვის ღმერთის მიერ შექმნილია ერთადერთი ნამდვილი სარწმუნოება“.

ბათუმის ამ სამლოცველოს მორწმუნეების სხვა რესპუბლიკებში გადასვლის გამო მიმდინარე წლის მეორე კვარტალში 7 წევრი დააკლდა, მაგრამ უკვე შეავსეს 5 წევრით, მათ შორის ორი ქართველი.

ჩემს მიერ პრესვიტერ შაკინთან საუბრის დროს მან განაცხადა „საზოგადოებისათვის პოლიტიკურ სიმართლეს კომუნისტები ანხორციელებენ, ხოლო სასულიერო სწორ გზას კი ევანგელისტური ქრისტიანები“.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მიერ მრავალჯერი იყო გაფრთხილებული ეხბ-ს პრესვიტერი და საბჭოს წევრები, მაინც აწარმოებდნენ რელიგიურ პროპაგანდას მათთვის ხელსაყრელ საზოგადოებაში აღნიშნულ სარწმუნოების სა-

სარგებლოდ, როგორც ზემოთ ავლინებულ პრესვიტერმა ჩემთანაც კი დაიწყო ამ სარწმუნოების სასარგებლო ლაპარაკი და გამოთქვა მწუხარება, რომ „სამწუხაროა ის, რომ აჭარლები არ სწავლობენ ამ სარწმუნოების შინაარსს“. მან გამოსთქვა, რომ ყველა რელიგია გარდა ებ-სა მოკლებულია საფუძველს და სასურველია თვით აჭარლებმაც ისწავლონ ეს მუდმივი სარწმუნოებაო, რაზედაც ჩემს მიერ მიცემული იქნა საჭირო პასუხი.

ებ-ს სამლოცველოს საბჭოს მიერ დასმული საკითხი კომუნალური შენობის დაქირავების შესახებ ჩემს მიერ სახელმწიფო ორგანოებზე შუამდგომლობაზე უარი ეთქვა.

### **3. ებრაელთა საზოგადოება:**

განუწყვეტლივ მომქმედი ბათუმის ებრაელთა საზოგადოება ჩემს მიერ რეგისტრირებული იქნა 1945 წლის აგვისტოში, რის შემდეგ საზოგადოებამ უფრო ფართედ გაშალა სამლოცველოს საქმიანობა, მოიტანეს რა სამლოცველოში გადამალული სამლოცველო ნივთები და მაცის საცხობი მანქანა, წესრიგში მოიყვანეს მიკვა და სხვა.

აღნიშნულ საზოგადოებაში ადგილი ჰქონდა ბავშვთა სწავლებას თვით სამლოცველოში, რაზედაც ჩემს მიერ მიცემული იქნა წინადადება ასეთის საბჭოთა კანონით დაუშვებლობის შესახებ, საზოგადოება ამ სწავლებას, როგორც ვამჩნევ აგრძელებს არალეგალური ფორმით, ეწევიან რა რელიგიურ პროპაგანდას ებრაული სარწმუნოების „ყოვლად დიდებულობის“ შესახებ.

4. რელიგიური პროპაგანდის არალეგალური მეთოდების მრავალი შემთხვევა ალრიცხულია მართლმადიდებელ მორწმუნეთა მიერ მოსახლეობაში „მოღვაწეობით“, რომლებიც ავრცელებენ რა უხელწერილო წერილებს, უგდებენ სახლებში და მოუწოდებენ რწმენას, რათა გადარჩენ ამ ქვეყანაში „დიდ უბედურებას, რომელიც მოსალოდნელია“, ხოლო „იმ ქვეყანაში მოიპოვონ კეთილი ცხოვრება“ მოუწოდებენ

აგრეთვე თვითოეულმა მორწმუნემ დასწეროს და გაავრცელოს ასეთი წერილები 9-ცალის რაოდენობით, დღეისათვის ასეთი წერილების რაოდენობა აღრიცხულია 100-ზე მეტი.

5. როგორც შემჩნეულია ბათუმში არსებობს **50-იანების არალეგალური** შეკრება /მცირე ჯგუფი/ ჩემს მიერ ასეთ ადგილებზე მისვლისას მიპასუხეს „ვიკრიბებოდით, მაგრამ ახლა დავიშალეთო“, მაგრამ, როგორც მესმის ადგილი აქვს ამ ჯგუფის თავმოყრას არა მუდმივ ოთახებში /ადგილებში/.

6. მორწმუნეთა მიერ, როგორც სოფლის მეურნეობაში ისე ქალაქად სახელმწიფოებრივი გეგმების შესრულების საქმეში ჯიუტობა შემჩნეული არ არის.

7. თქვენი საიდუმლო დირექტივა 175-ს შესახებ გაცნობებთ, რომ რაიონებში ხშირი მიმოსვლა მივლინების თანხების არასაკმაო რაოდენობის გამო შეუძლებელი ხდება, ჩემს მიერ დასმულია საკითხი აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე ადმინისტრაციულ სამეურნეო ხარჯების დამატების შესახებ.

8. მორწმუნეთაგან საჩივრებს ადგილი აქვს მხოლოდ მეჩეთის საბჭოს, რომლებიც მოითხოვენ კულტის მსახურთათვის და სამლოცველოს კუთვნილი სამლოცველო ოთახების განთავისუფლებას.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებული აჭარის ასსრ-ში: /მ. ვანლიში/  
1946 წ. 30 ივნისი

**ფონდი 977 ც; აღწერა 1; საქმე 6; ფურც. 21- 24**

## მ/დ. ქობულეთის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე

### ამხ. შ. დევაძეს

ამასთან ერთად გიგზავნით სოფ. ზედა კვირიკის მცხოვრებ მორწმუნეთა განცხადებას მეჩეთის გახსნის შესახებ და გთხოვთ შეამოწმოთ და ცნობები განცხადების ერთად დაგვიბრუნოთ უკან ა/წლის 10 ნოემბრამდე.

1. წარმოადგენს თუ არა სინამდვილეს მორწმუნეთა სახელით ოცეულის შუამდგომლობა თუ ერთი კაცის ინიციატივით, არის შედგენილი, აღნიშნული პირები მოსახლეობის რა ჯგუფს ეკუთვნიან /კოლმეურნეებს, ინტელიგენციის თუ სასულიეროს/.
2. აღნიშნულ სოფელში მორწმუნეთა რაოდენობა არის თუ არა საგრძნობი რაოდენობის.
3. აქვს თუ არა ადგილი მოტყუილებს ან აგიტაციას განცხადებაზე ხელის მოწერისათვის.
4. აქვს თუ არა ადგილი ხელის მოწერის ფალსიფიკაციას/ ხომ არ არის ისეთი პირი შეტანილი სიაში, რომელსაც თანხმობა არ მიუცია/.
5. არის თუ არა სინამდვილეში ხელის მომწერთა: სრულ წლოვანების, სასამართლოს მიერ ხმის უფლების აყრის, და სხვა ცნობები ხელის მომწერთა, რომელნიც თხოულობენ მეჩეთის გახსნისა და რელიგიური სამსახურის შესრულებას.
6. არის თუ არა შენობა, რა მდგომარეობაშია.
7. არის თუ არა საბჭოთა ორგანოს დაადგენილება აღნიშნული მეჩეთის დახურვის შესახებ, ან რა დროიდან არის დახურული ვის მიერ.

8. შენობა რაზეა გამოყენებული ამჟამად.
9. რამდენი მეჩეთი ან სხვა სარწმუნოების სამლოცველო იყო აღნიშნული სასოფლო საბჭოში /უბანში/ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე/.
10. სოფელში არალეგალურად ასრულებენ თუ არა სარწმუნოების ჩვევებს.

გთხოვთ თქვენს მოტივებს ჩვენს მიერ ამ საკითხის დადებითი ან უარყოფითი გადანყვეტილების მიღების შესახებ.

შენიშვნა: პასუხი უნდა იქნეს მოცემული თითოეულ მუხლში შემავალ კითხვების მიხედვით.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების

საქმეთა საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში: მ. ვან-ლინი / (წაკითხულია)

**ფონდი 977 ც; აღწერა 1; საქმე 6; ფურც. 30**

**სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური  
კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრ-ში  
ამხ. დ.ა. ქურიძეს**

**საინფორმაციო მოხსენება  
1946 წლის III**

მიმდინარე წლის სექტემბრის 28-ში შემოვიდა განცხადება ქობულეთის რაიონის სოფ. კვირიკის მუსლიმან მორწმუნეთაგან, განცხადებაში ხელწერები გაფორმებულა, ხოლო ზოგიერთების მამის სახლში არ ყოფნის გამო პროცესი არ მიმდინარეობს.

ქ. ბათუმში არსებულ ებრაელურ, მუსლიმანურ და ბაპტისტურ სამლოცველოებში ადგილი აქვს მლოცველთა კონტიგენტის ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ ებრაელურ და ბაფტისტურ სამლოცველოებში საზოგადოების წევრების მიერ მოსახლეობის მიზიდვის მიზნით წარმოებს რელიგიური პროპაგანდა. ამ მხრივ მლოცველთა კონტიგენტი საგრძნობლად გაზარდა ბაპტისტების სამლოცველომ, ხოლო ებრაელთა სამლოცველოში მიუხედავად პროპაგანდისა მლოცველთა კონტიგენტი არ გაზრდილა, ხოლო დილის საათებში რელიგიური ისტორიის მასწავლებელთა რიცხვი ნაცვლად 4-5 ახალგაზრდისა ამჟამად 12-მდე აყვანილია, ამ სამლოცველოში ვამჩნევ აგრეთვე რელიგიური ჩვევების არალეგალურ შესრულებას, რომლის გაგება ვერ შევძელი, რადგან მორწმუნეები მიმაღავენ ხოლმე, მუსლიმან მორწმუნეთა მიერ უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს რელიგიური ჩვევების შესრულებას ლეგალურ ფორმებში ე.ი. სოფლებში აქა-იქ დაინახავ ინდივიდუალურ მლოცველებს ღია ცის ქვეშ, რასაც გასულ წელს ძალზე იშვიათად ვხვდებოდით; ხოლო მსხვილ ლოცვებს, როგორც

ცაა: ზიქრი, ფითრი, თერავი და სხვა, ოჯახებში არალეგალურად ასრულებდნენ.

ჩემს მივლინების პერიოდში ხულოს რაიონში გამოიჩინა, რომ 1945 წლის რემეზანის მარხვაში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, 13-14 წლის მრავალი ბავშვი მარხულობდა, ჩემს მიერ საუბარში 13 წლის ბავშვთან – ბოლქვაძესთან მიპასუხა: „მე არ მეშინია გარდა ღმერთისა არავისი, რაკი სტალინიმა ნება მოგვცა აშკარად უნდა ვიმარხო“. აღნიშნული ბავშვი მწყემსად მუშაობდა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხვრის ფერმაში. სარწმუნოების ჩვევათა შესრულებაში აქტივობა ემჩნევა სხვა რაიონებშიც, სადაც მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ასრულებს რელიგიურ ჩვევებს, განსაკუთრებით მარხვას.

რემეზანის ბაირამის დღეს /რელიგიური დღესასწაული/ აგვისტოს ბოლო რიცხვებში ბათუმის მეჩეთში რაიონებიდან ჩამოვიდნენ დიდ ძალი მლოცველები, მეჩეთის ეზოში სამასზე მეტ მლოცველმა მოიყარა თავი, სამლოცველო დარბაზში ტევა არ იყო;

მეჩეთის გამგეობამ ყადი ბერიძის წინადადებით ნება მომთხოვეს რათა მოენვიათ სოფლებში მყოფი ყველა სასულიერო პირები, რომლებიც აწარმოებდნენ ცალკეულ ჩვევების შესრულებას და ჩაეტარებიათ 10 დღიანი კურსები სასულიერო სამმართველოს დებულებისა და დირექტივების შესწავლისათვის, რაზედაც ჩემს მიერ უარი ეთქვა აღნიშნულ ღონისძიებაზე აჭარის ყადის მიღებულ აქვს დირექტივა ა/კ მუსულმანთა სასულიერო სამმართველოს უფროსის შეიხულ ისლამ მუფთი ეფენდიზადესაგან /-242, 23 ივლისი 1945 წ./ რომლის ასლი ჩემს მიერ გადაღებულია და ინახება საქმეში. მეჩეთის მცველთა კონტიგენტს ემჩნევა ოდნავი ზრდა, პირველ ხანებში ქადაგებას აწარმოებდნენ თურქულ ენაზე, ხოლო ჩემს მიერ ახსნა-განმარტების შემდეგ ყოველგვარ განმარტებას ქართულ ენაზე აწარმოებდნენ.



მეჩეთის გამგეობის ხშირი საჩივარია დამხმარე ოთახები და აივნის შესასვლელი კარების გათავისუფლების შესახებ, სადაც მიდგმულა ფანერის ოთახები და ცხოვრობენ კერძო პირები, საჩივარში მოტივად მოყავენ ის ფაქტიც, რომ ოთახები, რომლებიც მიდგმულია სამლოცველოს, ხშირად ხმაურობაა, სარგებლობენ ღორის ხორციით, ღვინით, საკრავი ინსტრუმენტებით და სხვა, რაც შარიათით /რელიგიური კანონი/ ეკრძალებათ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ოთახები წარმოადგენს მეჩეთის კუთვნილებას და კომუნალურ მეურნეობაში არ შედის, ჩემს მიერ ჯერ კიდევ მათი გასახლების შესახებ ზომები არ არის მიღებული.

აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სამლოცველოსთვის გამოყოფილი მაქვს ათი კუბამეტრი ხის მასალა, ბათუმიდან 100 კილომეტრის მოშორებით /ხულოს რაიონში/ მაგრამ სამლოცველოების ხელმძღვანელებმა სიშორის გამო მიღებაზე უარი სთქვეს.

საზოგადოებების მიერ სხვა საჩივრები არ ყოფილა, საბჭოთა კანონების დარღვევას ადგილი არ აქვს.

სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებული აჭარის ასსრ-ში: /მ. ვანლიში/

**ფონდი 977 ც; აღწერა 1; საქმე 6; ფურც. 32-33**

## **რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს**

### **საქ. სსრ-ში ამხ. ქურიძეს**

როგორც მოგეხსენებათ სომეხ-კათალიკოსის გეორგ მე-6-ეს დავალებით ქ. ბათუმში ჩამოსულმა არხიმანდმა ელ-გუდჟიანმა გააფორმა ბათუმის სომეხთა ოცეულის განცხადება ქალაქში არსებულ სომეხ გრიგორიანების ეკლესიის გახსნის შესახებ.

ჩვენთვის ცნობილია ადგილობრივ ხელმძღვანელთა აზრი საერთოდ, ხოლო კერძოდ ამ სარწმუნოებისათვის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის სარწმუნოება მესაჭიროება თქვენი დარიგება განცხადებაზე უარყოფითი ან დადებითი პასუხისათვის.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ეკლესია თავისუფალია თუ არ მივიღებთ მხედველოვაში თავდაცვა—ავიაქიმის მიერ შენახულ რკინეულობას.

რელიგიური კულტების

საქმეთა საბჭოს რწმუნებული: /ვალნიში/

**ფონდი 977 ც; აღწერა 1; საქმე 6; ფურც. 34**

\* \* \* \* \*

ა/წლის ნოემბრის თვეში მეჩეთის გახსნის შესახებ შემოტანილ განცხადებაზე ქობულეთის რაიონის სოფ. ზედა კვირიკის მორწმუნეთაგან ჩემს მიერ უარი ეთქვა შემდეგი მოტივით: 1) მორწმუნეთა სიმცირე და 2) ხელნაწერის ფალსიფიკაციისათვის.

სასამართლო კოდექსით ფალსიფიკაციისათვის გათაღისწინებულ სასჯელის შესახებ ჩემს მიერ მინერული იქნა ქობულეთის რაიალმასკომის თავმჯდომარეს, რათა არ მიეღოთ ზომები, იმ მოფიქრებით, რომ მტრულად განწყობილი ელემენტებს არ ეთქვათ „მეჩეთის გახსნაზე განცხადების შეტანისათვის დასაჯესო“.

ნოემბრის თვეში შემოტანილი მეორე განცხადება სომეხ-გრიგორიანების ოცეულთაგან, რომლის შესახებ სათანადო მასალები მიღებულიც მაქვს ქ. ბათუმის აღმასკომისაგან და ინსტრუქციის თანახმად ეკუთვნის ეკლესიის გახსნა, ჯერ კიდევ საქმე დასრულებული არა მაქვს, რადგან შეთანხმების პროცესში მაქვს.

მიმდინარე წლის 8 ნოემბერს ბაპტისტების სამლოცველოში მათი ცენტრის მითითების საფუძველზე გამართული იქნა სპეციალური კრება მიძღვნილი დიდი ოქტომბრის 29 წლის თავზე, კრებაზე გამოსული მორწმუნეები უმთავრესად ლაპარაკობდნენ ბელადის ქება-დიდებაზე, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი გადარჩენა ფაშისტური მხეცისაგან, წითელ არმიასზე, როგორც საბჭოთა ქვეყნის დამცველზე, ბრძოლაში დაღუპულთა შესახებ და სხვა.

ამ კრებას თავიდან ბოლომდე ვესწრებოდი, და ამავე დროს მეც მივესალმე დღესასწაულის ჩატარების გამო და მოვუწოდე ჩვენი მთავრობის ყოველგვარ დავალებათა ერთგული შესრულებისა და პატრიოტიზმის შემდგომი ამაღლების შესახებ.

მეორე დღეს სამლოცველოში გამართეს დღესასწაულისათვის მიძღვნილი სადილი, მაგრამ მიუხედავად მათი თხოვნისა, მე არ დავესწარი, მოტივად ვუთხარი რაიონში წასვლა.

მუსლიმან სასულიერო სამმართველოს წევრმა ბერიძემ ჩემთან დააყენა საკითხი, რათა ხულოსა და ქედის რაიონშიც გავრცელებული იქნეს სამხედრო ვალდებულების კანონის გატარება, როგორც მოგეხსენებათ აღნიშნულ რაიონებიდან ჯარში განწვევა არ ხდება, ეს საკითხი სათანადო ხელმძღვანელ ორგანოებში დავსვი.

მიმდინარე წლის 8 დეკემბერს მთვარის სრული დაბნელების დროს მე ვიყავი სოფ. სარფში, მთვარის დაბნელების დროს სახლებიდან გამოსულმა მცხოვრებლებმა დაიწყეს ლოცვები ხელის მაღლა აშვერით „ღმერთზე თხოვნით“ რათა მალე განთავისუფლებულიყო მთვარე, ხოლო თურქეთის სარფში დაიწყეს თოფების სროლა და ეზანის ხმამაღალი კითხვა, თურქეთის მხარეზე მყოფ თითქმის ყველა სახლიდან ისმოდა ეზანი და სროლა.

სსრკ-ს რელიგიური კულტების

საქმეთა საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში: /ვალნიში/

**ფონდი 977 ც; აღწერა 1; საქმე 6; ფურც. 38**

**რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს  
აჭარის ასსრ-ში ამხ. ვანლიძს.**

როგორც საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საბჭოს მიმონერიდან სჩანს, თქვენ აღგიძრავთ საკითხი სომეხ-კათოლიკების მორწმუნე საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ მაშინ, როდესაც ამის შესახებ ჩვენთვის არაფერი გიცნობებიათ.

მიგვაჩნია რა ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებლად, გთხოვთ მოგვანოდოთ დანვრილებით ცნობები და თქვენს ხელთ არსებული მასალები ამ საკითხზე.

ამხ. პოლიანსკის ა/წ. 8 მარტის 195 საინ. დირექტივის შესაბამისად ხაზგასმით სომეხ კათოლიკების ვატიკანთან კავშირის შესახებ, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

მომავალში წინადადება გეძლევათ ყველა საკითხებზე მომმართოთ მე, მხოლოდ თუ ჩემს მიერ გაცემული პასუხი არ დაგაკმაყოფილებთ, იმ შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ ზემდგომ ორგანოს.

აქ აღნიშნულ ნაცობებს მე მოველი დაუგვიანებლად, არა უგვიანეს 1-ლი აპრილისა, რათა შეტანილი იქნეს ა.წ. 1-ლი კვარტალის საინფორმაციო ანგარიშში. ამავე დროისათვის გთხოვთ მომანოდოთ ინფორმაციული ანგარიში თქვენს მიერ ჩატარებული მუშაობის და საერთოდ მდგომარეობის შესახებ თანახმად ინსტრუქციისა.

მიუხედავად ჩემი თხოვნისა დღემდე არ მიმიღია ინფორმაცია ბათუმში ახლად გახსნილი მეჩეთის გაფორმების შესახებ.

გთხოვთ, ერიდოთ ყოველგვარ სეპარატიულ მოქმედებას და მიმონერას ზემდგომ ორგანოებში უსიამოვნებისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებული საქართველოს სსრ-ში  
/ქურიძე/

ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 7, ფურც.1

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს**

**6.09.1947 №27 საქ. სსრ-ში ამხ. დ. ქურიძეს**

როგორც მე თქვენ პირადად მოგახსენეთ, ქ. ბათუმის მეჩეთში ამ ერთი თვის წინად დაიწყო სიარული საეჭვო პირ-მა, ეროვნებით თურქმა, მისი ვინაობის შესახებ ვკითხე აჭარის ყადს რასიყ სულეიმანის-ძე ბერიძეს, რომელმაც გადმომცა შემდეგი: “დაახლოებით 7-8 აგვისტოს ქ. ბათუმის მეჩეთში მოვიდა თურქი ექიმი **სარბი თურუთოღლი**, რომელიც არის ჩამოსული ქ. აშხაბადიდან. ის დიდი ხანი არ არის რაც დაბრუნებულია პატიმრობიდან. პატიმრობაში ყოფილა „10 წლის განმავლობაში. მისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ ქ. ბათუმის მეჩეთის მოლამ ფერათ კონცელიძემ მეჩეთში სალოცავად მოსულ პირებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: ეს კაცი სარბი თურუთოღლუ თურქია, თურქები პატიოსანი ხალხია, ჩვენ ხოჯებს განათლება თურქეთში გვაქვს მიღებული, თურქეთში ყოფნის დროს აჭარელ ხოჯებს თურქები ყოველმხრივ ხელს გვიწყობდნენ და ჩვენც უნდა გავუწიოთ დახმარება სარბი თურუთოღლისო. თურუ-

თოლისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად მეჩეთში შეაგროვეს 300 მანეთი. ამჟამად სარბი თურუთოლლი იმყოფება ბათუმში”.

ზემოთაღნიშნული საექვო პირის შესახებ ეცნობა სათანადო ორგანოს.

ქ. ბათუმის მეჩეთის მოლა ფერად კონცელიძე ორ კვირაზე მეტია ყოველგვარი ნებართვის გარეშე წასულია ქ. ბათუმიდან, და როგორც გადმომცენ, იმყოფება სოფელ ზოტში ჩოხატაურის რაიონში. ხოჯის მოვალეობას დროებით ასრულებს მოეზინი ისმაილ მიქელაძე.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
აჭარის ასსრ-ში რწმუნებულის მ/ა.:

/ი.კალანდაძე/

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 10, ფურცელი 10.**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს**

**10.11.1947 №29**

**საქ. სსრ-ში ამხ. დ. ქურიძეს**

გაცნობებთ, რომ ქ. ქობულეთში არის ყოფ. მეჩეთის შენობა, რომელიც 15 წელია გამოყენებულია საწყობად.

მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომმა 1947 წლის 2.X-2/120 მომართვით სთხოვს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვას აღნიშნული შენობის კინოთეატრად გადაკეთების შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული საკითხი და შედეგი აცნობოთ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს.

დანართი: ქობულეთის რაიაღმასკომის 1947 2 ოქტომბრი 2/120 მომართვა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან  
არსებული რელიგიური კულტების საქმეთა  
საბჭოს რწმუნებულის მოვალეობის  
აღმსრულებელი აჭარის ასსრ-ში მ/ა.: /ი.კალანდაძე/

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 10, ფურცელი 15**



**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის  
მოვალეობის აღმასრულებელს აჭარის ასსრ-ში**

**ამხ. კალანდაძეს**

გიბრუნეთ თქვენს მიმონერას -29-ს ა/წ. 10/XI და

გთხოვთ გააფორმოთ ეს საკითხი შემდეგნაირად:

ქობულეთის რაისაბჭოს შუამდგომლობას უნდა დაერთოს ტექნიკური აქტი. შემდეგ თქვენ გამოიტანთ თქვენს დასკვნას /დასკვნის ნიმუშს აქვე გიგზავნით/ რომელსაც ამტკიცებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მთელ მიმონერას გადმომიგზავნით მე მოსკოვში წარსადგენად სანქციისათვის. თანახმად საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების 235-ს 16/11-46 ნ. მუხ. 11. სანქციას სამლოცველო სახლის გადაკეთების შესახებ იძლევა მოსკოვი.

დანართი: მიმონერა 3 გვ.

რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებული საქართველოს სსრ-ში  
/ქურიძე/

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 10, ფურც. 20.**

**აჭარის ა.ს.ს.რ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის  
მოადგილეს**

**ამხ. შ. შარაშიძეს**

**მოხსენებითი ბარათი**

მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომი მოგახსენებთ, რომ ქ. ქობულეთის ცენტრში არსებობს შენობა, რომელიც წინააღმდეგობის გამოყენებული იყო მეჩეთად — მხოლოდ — დაახლოებით 15-წელია გამოყენებულია საწყობად.

ქ. ქობულეთს არ გააჩნია შესაფერისი შენობა კინოთეატრისათვის, რის გამოც გთხოვთ ნებადაგვრთოთ, აღნიშნული შენობა გადავაკეთოთ ქალქის კინო-თეატრად.

მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის  
რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე:

/შ. დევაძე/

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 10, ფურც. 23**

№7c                    *სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ*  
*რელიგიური*  
31/III 47            *კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს*  
*საქ. სსრ-ში ამხ. ქუ რ ი ძ ე ს*

*1947 –წ. I-კვარტალის ანგარიში*  
*აჭარის ასსრ-ში რწმუნებულისაგან*

1947 –წლის თებერვლის თვეში შემოვიდა ორი განცხადება სამლოცველოს გახსნის შესახებ, მათგან ერთი ხულოს რაიონის სოფ. ღორჯომის მუსლიმან მორწმუნეთაგან და ერთი ქედის რაიონის დაბა ქედის მუსლიმან მორწმუნეთაგან.

აღნიშნულ განცხადებებზე, როგორც მოგეხსენებათ უარყოფით პასუხს ვაძლევთ მიუხედავად იმისა, რომ დააკმაყოფილოს ყველა პირობები გახსნისათვის.

სომეხ გრიგორიანების მიერ ქ. ბათუმში ეკლესიის გახსნის შესახებ 1946-წლის მე-4-კვარტალში შემოტანილი განცხადება, როგორც თქვენთვის ცნობილია ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

***რელიგიური მოძრაობა.***

1.მუსლიმანურია მუსლიმანურ მოსახლეობაში რელიგიური ჩვევების შესრულება ოჯახებში უმეტესად არალეგალურ ფორმებში ხდება. ხშირად ამ წესებს ასრულებენ ღამის საათებში, მიმდინარე წლის 3 თებერვლიდან 3-მარტამდე ე. ი. მუჰამედის დაბადების თვეს. /მევლუდი/ შედარებით გასულ წელთან ძალზე აქტიურად ჩატარდა, მოსახლეობის თითქმის 50%-მა ოჯახებში ჩაატარეს “მევლუდის” კოლექტიური მოსმენა და ლოცვა, ასევე თებერვლის ბოლო რიცხვებში ჩატარებულ იქნა საჯარო კითხვა ბათუმის მეჩეთში, სადაც დიდძალი ქალი და კაცი ესწრებოდა.

გარდა ამისა ჩემს მიერ რაიონებში ყოფნის დროს გამო-  
ირკვა ის გარემოება, რომ მუსლიმან მორწმუნეებს ავადმყო-  
ფობის დროს სამკურნალოდ გარდა სოფლად მყოფი მოლე-  
ბისა, დადიან ხოლმე სხვა სარწმუნოების სასულიერო პირებ-  
თანაც, რომლებთაგან ლოცვის შედეგად მოელიან მკურნა-  
ლობას, მაგ. სოფ. ახალშენის მცხ. მოხუც ბერძენ მღვდელ-  
თან /ამ ჟამად გარდაიცვალა/, რომელსაც ერთ პატარა  
ოთახში მონყობილი ჰქონდა სამლოცველო, მასთან დადიოდ-  
ნენ მეზობელი სოფლების მუსლიმან ავადმყოფებთან ერთად  
აჭარის შორეული სოფლების მუსლიმანებიც, უმეტესად  
ფსიქიური და რევმატიზმით დაავადებულთა “სამკურნა-  
ლოდ”. მაგ. სოფ. გონიოს მცხ. ბაირამოლიმ რევმატიზმით  
დაავადებულ ცოლის მოსარჩენად მღვდელს მისცა 4.000-მა-  
ნეთი, მორწმუნე მუსლიმანი ქალი ორი დღის განმავლობაში  
იმყოფებოდა მღვდელთან, იწერდა პირჯვარსაც, ჰკოცნიდა  
ხატებს, ჯვარს და სხვა. აღნიშნული ქალი დღესაც განიცდის  
მწვავე რევმატიზმით ავადმყოფობას.

### **ევანგელური ქრისტიანები ბაბტიტები**

აღნიშნული საზოგადოების წევრები და თანამგრძობნი  
ყოველთვიურად მატულობს, რელიგიური პროპაგანდა უფ-  
რო ფართო ხასიათს ღებულობს. პრესვიტერ **მაიკინი** და ამ  
საზოგადოების სხვა წევრები სამლოცველოს გარეთაც აწარ-  
მოებენ რელიგიურ პროპაგანდას, ისინი ძალზე მაღლა აყენე-  
ბენ ამ სარწმუნოებას და დასძენენ აგრეთვე, რომ “ქრისტეს  
დაბადების 2000-წლის თავზე დედამიწაზე მოხდება დიდი  
ცვლილება, ყველანი იწამებს ევანგელურ ქრისტიან-ბაბტიტ-  
ტობას და მერე მოისპობა სიცოცხლეო”, აგრეთვე “1941-  
წელს დაწყებული მსოფლიო ომი ჯერ არ არის დამთავრებუ-  
ლი იგი უნდა დამთავრდეს ეგვიპტეშიო” და სხვა.

სამლოცველოში ადგილი აქვს ბავშვთა მოზიდვას, ჩემს  
მიერ მრავალჯერ გაფრთხილებისა, მოსახლეობაში რელიგი-  
ური პროპაგანდის მიტოვებისა და ბავშვთა კონტიგენტის მი-

ზიდვის შესახებ, მაინც აგრძელებენ, ზესტაფონში მყოფ ჯგუფის მიერ ბათუმის საზოგადოებაზე გამოგზავნილი იქნა ნერილი მათი განყოფილებათ აღიარების შესახებ, ამ საკითხზე ჩემს მიერ უარი ეთქვა.

მათ ცენტრის მიერ-ოვანესოვის მიერ გამოგზავნილი პრესვიტერი **კოლოტი** რომელიც მოითხოვს ჯერ კიდევ შესწავლას, აწარმოებს აშკარა რელიგიურ პროპაგანდას და მორწმუნეთა შორის პოპულარობს მის მიერ გამოთქმულ სისულელეთა მსმენელებს, უკანასკნელი თავს აცხადებს დიდ მოღვაწედ “რომელმაც ღმერთის ყველა ღონისძიება იცის”.

საზოგადოება სცილდება მოქმედების ზონას და კავშირს ამყარებს სხვა რაიონის მორწმუნეებთან, რაზედაც გააფრთხილე.

### **ე ბ რ ა უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა :**

ამ საზოგადოებაში ადგილი აქვს ახალგაზრდობის სწავლებას, ჩემს მიერ გაფრთხილებაზე ცდილობენ მომატყუილონ, თითქოს ისე მოსულნი არიანო დასაჯდომათო საზოგადოებაში გახშირდა მიცვალებულისადმი მიძღვნილი საღამოები, უკანასკნელად მოჰყავენ კარზინკებში მოთავსებული ქათმები რომელსაც ჰკლავს ერთი მუხუცი.

ამჟამად დიდი მზადება მიდის მაცისათვის, აღადგინეს რა სამლოცველოსთან არსებული ფურნე, მოსახლეობაში აწარმოებენ აქტიობას მონაწილეობის მისაღებად.

საზოგადოებას, როგორც გავიგე აქვს 160.000 მანეთამდე თანხა, მაგრამ შემნახველ სალაროში შეტანილი აქვთ 1400 მანეთი, ებრაელი მორწმუნეები გაურბიან სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურს და ცდილობენ სპეკულიაციითა და კომბინაციებით ცხოვრებას.

რუსი ებრაელთა მცირე ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია ამ საზოგადოებაში, მათთვის გამოყოფილია ცალკე

დერეფანი, ადგილი აქვს ერთმანეთთან ანტაგონისტურ და-  
მოკიდებულებას.

სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა  
საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში: /ვანილიში/

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 13, ფურც. 5.**

**6/III-1947**

**№5 მშრომელთა დეპუტატების ხულოს რაისაბჭოს  
აღმასკომის თავმჯდომარეს**

**ამხ. დავითაძეს**

გიგზავნით სოფ. ღორჯომის მორწმუნეთა განცხადე-  
ბას მეჩეთის გხსნის შესახებ იმავე სოფელში.

გთხოვთ შეამოწმოთ განცხადება და ყველა მასალები  
განცხადებასთან ერთად გადმოაგზავნოთ უკან ა/წ. 20 მარ-  
ტამდე.

თქვენს ნარკვევებში აღნიშნეთ:

- 1.ნარმოადგენს თუ არა განცხადება სინამდვილეში და-  
ნერილს მორწმუნეთა რწმუნებულებით ან დგილი  
აქვს თუ არა ვინმეს პირად ინიციატივას, ვინ შუამ-  
დგომლობს /სასულიერო პირები, ინტელიგენცია თუ  
მორწმუნე გლეხობა/.
- 2.აღნიშნულ სოფელში არის თუ არა მორწმუნეთა დიდი  
რაოდენობა.

3. ადგილი აქვს თუ არა მოტყუილებას, სპეციალური მუშაობის შედეგად ხელნაწერების მოგროვებას.
4. აქვს თუ არა ადგილი ხელნაწერების ფალსიფიკაციას.
5. წარმოადგენს თუ არა სინამდვილეს, განცხადების გრაფებში მოცემული ცნობები კერძოდ: სრულწლოვანები, სასმართლოს მიერ საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმეულნი, რომლებსაც სურთ გაერთიანება სამლოცველოში.
6. არის თუ არა შენობა, რა მდგომარეობაშია, /ტექნიკური თვალსაზრისით ქვის თუ ხის, ვარგისიანობა ექსპლუატაციისათვის/.
7. როდის და რომელი საბჭოთა ორგანოს დადგენილებით არის დახურული აღნიშნული მეჩეთი, თუ დადგენილების გარეშე შეწყვიტა მოქმედება.
8. ამჟამად რაზე არის გამოყენებული ეს შენობა, არის თუ არა შესაძლებლობა მისი განთავისუფლების.
9. რამდენი მოქმედი მეჩეთი არსებობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.
10. აქვს თუ არა ადგილი არალეგალურ შესრულებას რელიგიური ჩვევებისა /სისტემატური თუ შემთხვევითი/.  
თუ თქვენ სთვლით მიზანშეუწონლად მეჩეთის გახსნის შესახებ, აღნიშნეთ სათანადო მოტივები, ამასთან გვაცნობეთ ირიცხება თუ არა აღნიშნული შენობა მატერიალური კულტურის ნიმუშად.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
წმუნებული აჭარის ასსრ-ში: /ვანილიძე/

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 14, ფურც. 4,5.**

**ს.ს. რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოსთან  
არსებული რელიგიის კულტების საბჭოს რწმუნებულს**

**ა.ა.ს.ს. რესპუბლიკაში**

**ხულოს რაიონი ღორჯომის სასოფლო საბჭოს  
სოფ. ღორჯომის მორწმუნე მუსლიმანებისაგან.**

**განცხადება**

ჩვენ ქვემოთ ამაზე ხელის მომწერნი ღორჯომის სას. საბჭოს სოფ. ღორჯომის მორწმუნე მუსლიმანები გთხოვთ ნება მოგვცეთ გავხსნათ სოფ. ღორჯომის დიდი ჯამე ჩვენი სასოფლო საბჭოს მასშტაბით და ვიყოლიოთ ხოჯა, რითაც საშვალეა მოგვეცემა შევასრულოთ ჩვენი მუსლიმანური რწმენის ლოცვები, ისე როგორც ნება დართულია და არსებობს ქალაქ ბათუმში უმაღლესი მთავრობის ნებართვის საფუძველზე. იმედი გვაქვს ჩვენც მოგვცემთ ნებას, როგორც მთლიანად მორწმუნე მუსლიმან მრავალრიცხოვან ხალხს.

1. სირაძე ალიოსმან ეუბის ძე
2. ადაძე ინუს შუღეიბის ძე
3. ცეცხლაძე შაისმაილ ისკენდერის ძე
4. დავლაძე ფაიყ ხასანის ძე
5. დავლაძე იზეთ ხასანის ძე
6. დავლაძე ეუბ ოსმანის ძე
7. დავლაძე ვეზირალი რეჯების ძე
8. დავლაძე რამიზ შირინის ძე
9. დავლაძე სულეიმან ქელეშის ძე
10. ბერიძე ოსმან ეუბის ძე
11. ცეცხლაძე სულეიმან რეჯების ძე
12. ბერიძე რეჯებ ხუსეინის ძე



13. გორგაძე ისმაილ შერიფის ძე
14. ირემაძე ყადირ ახმედის ძე
15. ირემაძე რამიზ ქელეშის ძე
16. გორგაძე თერჯან უზეილის ძე
17. ხინიკაძე მუხამედ შეიდალის ძე
18. ნაკაიძე თევფიყ ბეხრის ძე
19. ანთაძე იუსუფ იზეთის ძე
20. ანთაძე ადემ ხუსიას ძე
21. ადაძე სულეიმან ხასანი ძე
22. გოგრაძე მეხდია ახმედის ძე
23. ანთაძე მუხამედ სულეიმანის ძე
24. გორგაძე ლეზას შერიფის ძე
25. შავაძე ქელეშ ვეზირის ძე

**ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 14, ფურც. 3.**

***სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ  
კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს აჭარის***

***ასსრ — ამხ. ვ ა ნ ლ ი შ ს.***

***პასუხი თქვენი ა/წლის 6 — მარტის №-5-ს.***

შემომნებული იქნა თქვენს სახელზე დაწერილი  
განცხადება ლორჯომიდან და გამოიკვეთა შემდეგი:

1. განცხადების დაწერაში ადგილი აქვს პირად ინიცია-  
ტივას და არ არის დაწერილი მორწმუნეთა მოთხოვ-  
ნით.

2. ს. ლორჯომში არიან მორწმუნეები, მაგრამ არა დიდი რაოდენობით.
3. განცხადება დაწერილია ვინმე პიროვნების სპეციალური მუშაობის შედეგად და ხელწერების ნაწილიც ამ გზით არის შეგროვებული ხოლო ნაწილი ყალბად არის ხელმოწერილი:
4. ადგილი აქვს ხელწერების ფალსიფიკაციას. მაგალითად, რამიზ შირინის ძე დავლაძე, ადემ ხუსეინის ძე ანთაძე და სხვები აცხადებენ, რომ განცხადებაზე მათ ხელი არ მოუწერიათ, იხილეთ მათი ჩვენებანი /თან ერთვის/.
5. განცხადების გრაფებში მოცემული მთელი რიგი ცნობები არ შეიცავს სინამდვილეს. მაგალითად რამინ შირინის ძე დავლაძე, სწერია 25 — წლის, ფაქტიურად აღმოჩნდა 15 — წლის და სხვა.
6. ლორჯომში არის მეჩეთის ხის შენობა, ექსპლოატაციისათვის არ არის გამოსადეგი, რადგან სახურავი დაძველებილია და შენობაში ჩადის წვიმა.
7. ლორჯომის მეჩეთმა შესწყვიტა მოქმედება 1937-წელს და ამის შესახებ არავითარი დადგენილება არ ყოფილა.
8. ამჟამად შენობა არ არის გამოყენებული და არც შეიძლება მისი გამოყენება 6-მუხლში ნაჩვენები მიზების გამო.
9. საქართველოში საბჭოთა ხწლისუფლების დამყარებამდე მოქმედი მეჩეთების რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.
10. ს. ლორჯომში ადგილი აქვს ცალკეული მოქალაქეების მიერ რელიგიური წესების შესრულებას, რასაც არ შეიძლება ეწოდოს სისტემატიური.

11. მშრომელთა დეპუტატების ხულოს რაისაბჭოს აღმას-  
კომს ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო მეჩეთის  
გახსნა არ მიაჩნია მიზანშეწონილად.

მშრომელთა დეპუტატების ხულოს რაისაბჭოს  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: /ხ. დავითაძე/

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 14, ფურც. 6.**

***ახსნა განმარტება  
რამიზ შირინის ძე დავლაძე***

თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებთ რომ მე რელიგიურ წე-  
სებს არ ვასრულებ, არც ვმარხულობ და არც ვლოცულობ.  
ჩემთვის არავის არ უთქვამს ღორჯომში მეჩეთის გახსნაზე  
და მე არავითარ დოკუმენტზე მეჩეთის გახსნის შესახებ ხე-  
ლი არ მომიწერია.

ახსნა განმარტება ჩემია და საკუთარ ხელს ვანერ: რა-  
მიზ დავლაძე შირინის ძე.

4/IV476

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 14, ფურც. 7**

**ახსნა განმარტება**  
**ანთაძე ადემ ხუსიას ძე**

თქვენს შეკითხვებზე გიპასუხებთ, რომ მე ლორჯომში მეჩეთის გახსნას არ ვთხოვლობ, ამის შესახებ ჩემთან საუბარი ჰქონდა ინუს ადაძეს, მაგრამ მან ხელი მოგვანერია შეცდომით.

ახსნა განმარტება ჩემია და ხელს ვანერ: ადემ ანთაძე  
7/IV47

**ფონდი 977, აღწერა 1, საქმე 14, ფურც. 8.**

**სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური  
კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრში**

**ამხ. ქურიძეს.**

ა/წ 5 ივნისს, დღისით, შაბათს საღამოს 6 საათზე და-ვათვალიერე ქ. ბათუმში არსებული ქართველ-ებრაელთა სამლოცველო სახლი, სადაც ვნახე შემდეგი სურათი: გარდა ხნეში შესული მორწმუნეებისა სამლოცველო სახლში იყვნენ 11 ბავშვი ასაკით 7-13 წლამდე, რომლებიც ასრულებდენ ყველა იმ ლოცვით ცერემონიებს, რასაც ასრულებდნენ ხანში შესული მორწმუნენი. როდესაც დაამთავრეს თავისი ლოცვების ცერემონიები მე ბავშვებს უთხარი: თქვენ სკოლაში თუ სწავლობთ-თქვა. მიპასუხეს – ვსწავლობთო.

გაუხსენე მოსწავლეთა ყოფა-ქცევის წესები უფროს-თან საუბრის დროს /ქუდის მოხდა, უფროსისადმი სრული პასუხის მიცემა და სხვა/. მიპასუხეს: ქუდს ჩვენ ვერ მოვიხ-

დით ცოდვად გვინერია-ო. ამ დროს ზოგიერთმა მორწმუნე მშობლებმა მითხრეს, რომ თუ ქუთაისში, სოხუმში და სხვაგან დადიან ბავშვები სამლოცველო სახლებში ჩვენთანაც რომ იარონ ბავშვებმა რა დაშავდება-ო. მე კატეგორიულად აუკრძალე რომ მოსწავლე ბავშვები სამლოცველო სახლში არ დაეშვათ ლოცვისა და კითხვის პროცესში.

12 ივნისს, შაბათს, შვედამონმე ჩემს მიერ აკრძალული საკითხის შესრულება და აღმოჩნდა, რომ სამლოცველო სახლში ბავშვები კიდევ მონაწილეობენ ლოცვით ცერემონიებში. აღნიშნულის გამო მე სასტიკად აუკრძალე და გავაფრთხილე რაბინი **ელიგულაშვილი** და ებრაელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე **მამისთვალოვი**, რომ თუ კიდევ განმეორდებოდა ასეთი, მე მათზე გავატარებდი სულ სხვა ზომებს.

ა/წ 16 ივნისს ჩემთან გამოცხადდა ებრაელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მამისთვალოვი და ამ საზოგადოების ერთერთი მორწმუნე **იაკობაშვილი შალუმ ისაკის-ძე**. ამ უკანასკნელმა შემდეგნაირად დამისვა საკითხი: თუ სხვა ქალაქებში ბავშვები დადიან სამლოცველო სახლებში, ჩვენ რატომ გვიკრძალავთ-ო; ჩვენ გვინერია ბავშვებმაც უნდა ისწავლონ მორწმუნეთა წესებიო; ჩვენ ბავშვებს არ აუკრძალავთ სამლოცველო სახლში მოსვლასო — ერთი სიტყვით აღნიშნულმა იაკობაშვილმა გადააჭარბა ზომას და მე კატეგორიულად უთხარი: თუ შეასრულებთ ჩემს მითითებას-თქო — იაკობაშვილმა უარყო არ შევასრულებთო. მე იაკობაშვილს და მამისთვალოვს აღნიშნული საკითხის უარყოფისათვის შეუდგინე აქტი, რომ ისინი წინააღმდეგი არიან ჩემი მითითებისა, რომ ბავშვებმა სამლოცველო სახლში არ მიიღონ მონაწილეობა ლოცვით ცერემონიებში. როცა აქტი შეუდგინე მითხრეს, რომ აქტამდე ხელს ვერ მოგიწერთო და მთხოვეს რომ ის აქტი დამეხია და პირობა მომცეს ბავშვებს სამლოცველო სახლში არ გაუშვებთო და თანაც

მთხოვეს აგრეთვე, რომ მათთვის მიმეცა ოფიციალური წერილობითი დოკუმენტი, რომ ბავშვები სამლოცველო სახლში არ დაეშვათ და ამ დოკუმენტს ჩვენ სამლოცველო სახლში გავაკრავთ და ბავშვებს აღარ დაუშვებთ ლოცვითი ცერემონიებზე-ო, რა თქმა უნდა ასეთი დოკუმენტი მე არ მიმიცია და არც მივცემ, ხოლო ის აქტი ჩემთან ინახება.

გარდა ამისა ალბათ როგორც თქვენთვის ცნობილია ბათუმში არსებულ ევანგელინ-ხრისტიან ბაბტისტებს თავიანთ სამლოცველო სახლზე თვალსაჩინოდ აქვთ გაკრული წარწერა, რომ იქ არის მორწმუნე ევანგელი-ხრისტიან ბაბტისტების სამლოცველო სახლი. აღნიშნული წარწერა რა თქმა უნდა გაფორმებულია კარგად და გამოუყურება ქუჩაში. ყველა ზემოდხსენებულის გამო გთხოვთ გაგვიმარტოთ:

1. რამდენად სამართლიანი და სწორია ჩემი მოქცევა და მოქმედება ქართველ ებრაელთა საზოგადოების აღნიშნულ საკითხზე.
2. რამდენად სამართლიანია და მიზანშეწონილია ევანგელ-ხრისტიან ბაბტისტების მიერ იმ წარწერის ასე თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა.

სსრკ. მინისტრთა საბჭოსთან არსებულ  
რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებულის მოვალეობის აღმსრულებელი  
აჭარის ასსრ-ში: /ტუნაძე/  
18 ივნისი 1948 წელი.

**ფონდი №977; აღწერა 1, საქმე №16; ფურც. 5,6,7**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ  
1/VII- 48 რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებულს საქ. სსრ-ში ამხ. ქურდიეს**

**1948 წლის II კვარტალის ანგარიში აჭარის ასსრ-ში რწმუნებულის მოვალეობის აღმსრულებლისაგან**

1948 წლის II კვარტალში რაიმე ოფიციალური განცხადებები სამლოცველო სახლის გახსნაზე ან დახურვაზე და სხვა საჭიროებო საკითხებზე არ შემოსულა. მხოლოდ ქონდათ ჩემთან პირადი საუბრები რელიგიური კულტების ზოგიერთ მსახურებს სხვადასხვა საკითხებზე, რომელთაც ცალკეულად მოგახსენებთ რელიგიურ მიმდინარეობათა და მათი მსახურთა ინფორმაციის მასალებში.

**მუსლიმანთა რელიგია**

აჭარის ასსრ-ში მუსლიმანთა რელიგია არის ძირითადი რელიგიური მიმართულება ადგილობრივ მორწმუნე მცხოვრებთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური მოძრაობა თანდათანობით სუსტდება ე.ი. ნაკლებია მორწმუნეთა რაოდენობა გასულ წლებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ მას მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილი კიდევ ასრულებს აშკარად არის ეს თუ ფარულად.

აჭარის რაიონებში თუმცა განსხვავებით, მაგრამ მაინც ვხვდებით ფაქტებს, რომ მიმდინარეობს საკუთარ ოჯახებში ლოცვები /ბეშვახით ნამაზი/ ამ უკანასკნელს უფრო ხნე ხალხი ასრულებს. ჯენებზე ნამაზი აქ ზოგჯერ ახალგაზრდებიც მონაწილეობენ, თუმცა მექანიკურად, მაგრამ მაინც თითქოს მიცვალებულს ამით პატივის სცემენ. მიცვალებულთა ორმოცის კითხვა /ე.წ. ყირხი/ და სხვა მრავალი ხოლო, რაც შეეხება ძირითად ლოცვებს “ბაირამი”, “ჯუმა” /პარასკევი/ “მევლუდი” და სხვა, ჩემამდის მოსული ფაქტები მონ-

მოხენ, რომ გარდა ბათუმის მეჩეთისა, სხვაგან არსად არ სწარმოებს. ბათუმის მეჩეთში ამ ბოლო ხანებში ძლიერ შემცირდა მორწმუნეთა სწრებადობა, რაც იწვევს მეჩეთის ძლიერ დასუსტებას ფულადი შემოსავლის მხრივ. აგრეთვე ბათუმის მეჩეთის ყოფილი ზოგიერთი ოთახები, რომლებიც გარეშე პირებს უკავიათ საცხოვრებლად, ჩემთან პირად საუბარში ყადმა რ. ბერიძემ და ჰიმამმა აბულაძემ მთხოვეს, რომ აღნიშნული მოქალაქეების იქ ცხოვრება ძლიერ ხელს გვიშლისო და თუ შეიძლება სადმე გადაყვანა მათიო. ჩემი პასუხი ასეთი იყო: თუ მეჩეთის მსახურნი თავიანთი საშუალებით უშოვიან ბინას იქ მცხოვრებლებს, მე საწინააღმდეგო არ მაქვს მეთქი. ეს იყო მხოლოდ სიტყვიერი მოთხოვნა მათი და ჩემი მათდამი პასუხი. აგრეთვე ამ ერთი თვის წინეთ ყადი იყო ჩემთან და მთხოვა მიმეცა ნებართვა და დავხმარებოდი პროპუსკის აღებაში, რათა ყადი ბერიძე წასულიყო სასაზღვრო ზონაში და გაეგო თუ როგორ არის რელიგიური მდგომარეობა, აღნიშნულზე მე თავი შევიკავე და უთხარი, რომ ჯერ ისეთ ადგილებში წადით, სადაც პროპუსკი არ არის საჭირო თქვა. სხვა რაიმე იდეალური საკითხები მეჩეთისა, და მათი მსახურთა ანდა საერთოდ მუსლიმანურ მორწმუნეთა შორის ჩემთან არ ყოფილა.

### **ევანგელური ხრისტიანები ბაბტისტები**

ევანგელური ხრისტიანები ბაბტისტები და მათი თანამგრძნობი, აშკარად არა, მაგრამ ფარულად აწარმოებენ რელიგიურ პროპაგანდას და ეს იქიდან სჩანს, რომ მათი წევრთა რიცხვი იზრდება. აღნიშნულმა საზოგადოებამ ამას წინეთ დაახლოებით მაისის შუა რიცხვებში მიიღო 14 წევრი ჩოხატაურის რაიონის სოფ. ქვენობნიდან — აგრეთვე ივნისის დასაწყისში ამ საზოგადოების პრესვიტერმა **შაკინმა** მოვიდა ჩემთან და მთხოვა, რომ ამჟამად არსებული მათი სამ-



ლოცველო სახლი მორწმუნეთა დასწრებას არ აკმაყოფილებსო და შუამდგომლობა მთხოვა, რომ /პირადათ/ დავხმარებოდით სადმე უკეთესი და ცენტრალურ ადგილას ბინის შოვნაზე, რათქმა უნდა მე თავი შევიკავე და შემდეგ შაკინმა დაუკავშირდა ვილაც მაკაროვს და დაუდვა ხელშეკრულება ბინის 4-წლით დაქირავებაზე, ხოლო გამოირკვა, რომ ეს ბინა წინეთ ეკავა კოოპინვალიდის სისტემის არტელ “ენერგიას” და აღნიშნულმა არტელმა არ დაუთმო, როცა ჩემამდის მოვიდნენ აღნიშნულ საკითხზე, მე უთხარი სახლის მფლობელ მაკაროვს და თვითონ შაკინსაც, რომ თუ უშოვით ბინას თქვენი საშუალებით არტელ “ენერგიას”, მაშინ არტელი ენერგია თქვენს ბინას გაანთავისუფლებს მეთქინ, რათქმა უნდა ასეთი მათ არ შეეძლოთ და საქმე ისევე შეჩერდა. ჩემს მიერ რამოდენიმეჯერ იქნა შემოწმებული ევანგელური ხრისტი. ბაპტისტების სახლი კვირადღეს იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვები ხომ არ მონანილებოვნ თქო და აღვნიშნავთ, რომ აქ ბავშვთა მონანილება და დასწრება არ შემიმჩნევია, თუმცა შაკინი გაფრთხილებული ადრევე გვყავდა ამ საკითხზე.

სხვა რაიმე მნიშვნელოვან და შესამჩნევ ფაქტებს ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავ.

### ***ქართული ებრაელთა საზოგადოება***

აღნიშნულ საზოგადოების შესახებ მე ამას წინეთ გწერდით და თქვენგანაც პასუხი მივიღე. მხოლოდ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ საზოგადოების წევრები ძლიერ ჯიუტობას იჩენენ, მათზე არავითარმა პროპაგანდა-აგიტაციამ არ იმოქმედა /შეიძლება მე ვერ ვანარმოებდე, როგორც წესია/ და სწორედ ის იყო შედეგი, რომ მე მათ მკაცრად მოვექეცი და გარწმუნებთ, რომ მას შემდეგ იქ ბავშვთა დასწრება აღარ შემიმჩნევია — ვიმეორებ თქვენი მითითება სწორია და მე ყოველთვის ისე მოვიქცევი, როგორც მიმითითებთ.

ამ საზოგადოების ხელმძღვანელობა ამას წინეთ /25/VI/-48წ/ ჩემთან იყვნენ და მთხოვეს, რომ დავხმარებოდი მათ ხორცის სავაჭროს გახსნის საქმეში, რომელსაც ისინი დამოუკიდებლად ვაჭრობას ფიქრობდნენ და აქ მომიყვანეს მოტივი, რომ ჩვენ სხვის დაკლულს ან ბაზარში ნაყიდ ხორცს ანდა ცხოველის სხეულის ყველა ნაწლის ხორცს /მათ ჩამოთვალეს მთელი რიგი ადგილები/ არ ვჭამთო ცოდოთ გვიწერიანო — ასე, რომ ცალკე სავაჭრო მომთხოვეს და თანაც მიმტკიცეს ბევრი, რომ ქუთაისში, სოხუმში, კულაშში და სხვა ადგილებზე ასეთი სავაჭროები არისო — მე აღნიშნულ საკითხზე უპასუხე იმისადა მიხედვით, რაც მოცემულია ამ უკანასკნელად მიღებულ ინსტრუქციულ წერილში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან  
არსებული რელიგიური კულტების საქმეთა  
საბჭოს რწმუნებულის მოვალეობის აღმსრუ-  
ლებელი აჭარის ასსრ-ში: /ი. ტუნაძე/

**ფონდი №977; აღწერა 1, საქმე №16; ფურც. 8,9.  
ოქმი №3 4/1-84 წ. ქ. ბათუმი**

4 იანვარს ქ. ბათუმის სამხვთო-ებრაელთა სალოცვაში, მოწვეული იქნა საერთო კრება, მას ესწრებოდა 45 კაცი, თავმჯდომარეობდა **ჯანაშვილი ა.ფ.**

დღის წესრიგში იდგა საკითხი ძველი რაბინის განთავისუფლებისა და ახალი რაბინის დანიშვნის შესახებ.

განხილული იქნა საკითხი რაბინის შეცვლის შესახებ, რომელიც გამოწვეული იყო იმ მიზნით, რომ ძველი რაბინი **მოდვრიშვილი მიშაელი მოშეს-ძე** ვერ აკმაყოფილებდა

ქართველ ებრაელთა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს იმ მხრივ, რომ იგი იყო მხოლოდ მლოცველი და ის წესები, რომელიც დაკავშირებული იყო სალოცავის ყოველ დღიურ ყოფა-ცხოვრებასთან დამოკიდებულებით ვერ მოხდა მისი ახალგაზრდობის გამო და ამიტომ საერთო კრების დადგენილებით გამოტანილი იქნა შემდეგი მოსაზრებანი:

**მოისმინეს:** ამხ. ჯანაშვილის ა.ფ. მოხსენება, რომელმაც შეიტანა წინადადება

ძველი რაბინის განთავისუფლების შესახებ და რეკომენდაცია უყო  
ახალი რაბინის ჩამოყვანას.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წამოყენებული წინადადება ხმის უმრავლესობით და

ღია კენჭისყრით. განთავისუფლებული იქნას ძველი რაბინი და ახალ

რაბინად დაინიშნოს **შაბეთაი იაკობის ძე გულაშვილი.**  
თავმჯდომარე ჯანაშვილი  
}

მდივანი მამისთვალოვი  
**ფონდი №977; აღწერა 1, საქმე №17; ფურც. 3.**

16 ივლისი 1946 წ.

**რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებული საჯარის სსრ-ში ამხ. ვანლიშის.**

1946 წელში განზრახულია მოენწყოს მსურველ მორწმუნეთა ქ. მექაში გაგზავნა. ჩვენ დათმობილი გვაქვს ერთი ადგილი. ამიტომ გთხოვთ შეარჩიოთ ადგილზე იგი და მაცნობოთ სახელი, მამის სახელი და გვარი სრული დახასიათებით.

ა/კ. მუსულმანთა საბჭოს განძრახული აქვს გაგზავნოს **გაზია გოგიბერიძე სალი სულეიმან ეფენდი** ქ. ბათომიდან. გთხოვთ, გაიგოთ ამ პირის შორიდან ფრთხილი გამოკითხვით ან ყადი **რასიხ ბერიძეს** მეშვეობით ა/კ. მუსაბჭოსაგან ხომ არ მიუღია წინადადება მექაში გამგზავრების შესახებ. დადებითი შემთხვევაში შეგვატყობინეთ სახელი, მამის სახელი და გვარი და მისი სრული ვინაობა-დახასიათება. შესაძლებელია სხვა კანდიდატი უფრო შესაფერისი, საიმედო და მისაღები იყოს თქვენს მიერ უკვე შერჩეული, ან შესაძლებელია მისი შერჩევა. ამ შემთხვევაში გვაცნობეთ დაწვრილებით ვინაობა და დახასიათება თქვენს მიერ ადგილზე შერჩეული პირისა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან  
არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებული საქართველოს სსრ-ში  
/ქურიძე/

**ფონდი №977; საქმე №18; ფურც. 17.**

## 9 სექტემბერი 1946 წ.

### სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს აჭარის ასსრ-ში.

ქ. ბათუმის საფინანსო განყოფილების მიერ გამორკვეული და დაბეგრული იქნა რელიგიის კულტის მსახური მოქ. **გრიგორი ივანეს – ძე პუხნო** წლიური – 32400 მანეთის შემოსავლიდან რაც გამოანგარიშებულია შემდეგი შემოსავლებიდან:

1. პანაშვიდის გადახდა თვეში 12, თითო პანაშვიდზე მომსახურეობის საფასური 50 მან. სულ თვეში 600 მანეთი – წელიწადში – 7 200 მანეთი.
2. ბავშვის მონათვლა თვეში 20, თვითეულისგან მომსახურეობის საფასური 80-მან. სულ თვეში – 1 600 მანეთი, წელიწადში – 19. 200 მანეთი.
3. სანთლის გაყიდვა თვეში 200 ცალი, თითო 5-მანეთად, სულ თვეში 1000 მანეთი ხარჯი /ნედლეულის ღირებულება/ თვეში – 500 მანეთი, წმინდა შემოსავალი თვეში 500 მანეთი, წელიწადში – 6000 მანეთი, სულ დასაბეგრი შემოსავალი წელიწადში შეადგენს – 32.400 მან. საიდანაც გამოანგარიშებულია სახ. გადასახადები.

აჭარის ფინანსთა სამინისტრო გთხოვთ თქვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით მოგვცეთ ცნობა პირველ რიგში კულტმსახურ მოქ. პუხნოსა და აგრეთვე სხვა დანარჩენ კულტმსახურების შემოსავალზე რომლებიც აწარმოებენ მუშაობას აჭარის ასსრ რესპუბლიკაში მისამართის აღნიშვნით.

აჭარის ასსრ ფინანსთა  
მინისტრის მოადგილე: /ზეიშვილი/

გადასახად-გამოსაღებთა  
განყოფილების უფროსი: /ლომაძე/

**ფონდი №977; საქმე №18; ფურც. 29**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ  
რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებულს აჭარის ასსრ-ში**

**ამხ. ტუნაძეს**

**5 ივნისი 1948 წ.  
№13**

მივიღე თქვენი 6/ს ა/წ. 16 და 18 ივნისის თარიღით მოხსენებითი ბარათები. ამით გაცნობებთ, რომ თქვენი მოქმედება ებრაელების სალოცავში ლოცვებზე ბავშვების დასწრების იმ წესით აკრძალვა, როგორი წესითაც თქვენ მოგიმოქმედებიათ არა სწორი და აჩქარებული მოქმედებაა, თუმცა აზრი თქვენი მოქმედებისა გამართლებული და ჩვენთვის მისაღებია. ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იყო ზეჩაგონებით გემოქმედათ. კერძოდ გავლენა უნდა მოგეხდინათ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარეზე და კულტმსახურზე ახსნა განმარტებით მასში, რომ მცირეწლოვანთა და არა ასაკოვან ახალგაზრდების სალოცავად შეყრას აზრი არ აქვს იმდენად, რამდენადაც მათ არ ესმით რას აკეთებენ და არც პასუხი მოეთხოვებათ თავიანთ მოქმედებაში – და ა.შ. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოს თავმჯდომარეც და კულტმსახურიც გაი-

ზიარებდნენ თქვენს ასეთ შეხედულებას და მტკიცებას, მხოლოდ ამის შემდეგ მათვე დაავალბდით სათანადო ახსნა განმარტება შეეტენათ მორწმუნეებში და კატეგორიულად მოეთხოვათ, აეკრძალათ, ბავშვების დაშვება სალოცავში, ვიდრე ისინი სრულწლოვანი – 16 -18 წლის გახდებოდნენ. საბჭოს თავმჯდომარეზე შეიძლებოდა გეთქვათ, რომ მას როგორც ჩვენს მიერ ნდობით აღჭურვილს პიროვნებას ევალება ყველა ჩვენი მოთხოვნა მომქმედ კანონების ფარგლებში, ზუსტად გაატაროს მორწმუნეთა შორის, იზრუნოს საბჭოთა მოქმედ კანონების პოპულარიზაციაზე და ა.შ.

თუ ასეთი ახსნა განმარტების შემდეგ შემონმება დაგვანახვებდა, რომ საბჭოს თავმჯდომარე უმოქმედობას იჩენდა, საჭირო იქნებოდა ერთხელ კიდევ შეგვეხსენებია მისთვის ჩვენი მითითებები და საბოლოოდ გაგვეფრთხილებია.

მომავალში საჭიროა ზემოდ აღნიშნულის ანალოგიურ შემთხვევაში ჩვენი აზრიც იცოდეთ.

2. ქრისტიან ევანგელის და ბაბტისტების “ვივესკა” მოახსენევით, მაგრამ ეს ისე, რომ ადმინისტრირება არ გამოგივიდეთ. უთხარით, რომ უხერხულია ასეთი წარწერები, რომ მორწმუნემ ისედაც უნდა იცდეს თავისი სალოცავი სახლი და სხვა. თუ არ დაგეთანხმებიან ძალას ნუ დაატანთ.

3. მართმადიდებელი ეკლესია ჩვენ არ შეგვეხება. თქვენს ცნობას მე მივანვდი ამხ. **ქადაგიშვილს**, თქვენს მოხსენებაში აღნიშნულ შემთხვევებს აქაც აქვს ადგილი, რომლის უნებლიე მოწმეც ამხ. ქადაგიშვილიც ძლიერ ხშირადაა ხოლმე. მოვლენა უეჭველად დროებითია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან  
არებულ რელიგიურ კულტების რწმუნებულნი  
საქართველოს სსრ-ში /დ. ქურდიე/  
**ფონდი №977; საქმე №19; ფურც. 17.18.**

## დასკვნა

### ვეთანხმები

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე: /გოგოლიშვილი/

1948 წელი "2" ივნისი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა აჭარის ასსრ-ში **ი.ჯ.ტუნაძემ**, განვიხილეთ აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს ა/წლის 12-აპრილის -7/479 მომართვა ბავშვთა სპორტული სკოლის სარგებლობაში არსებული ყოფილი სომეხ გრიგორიანთა უმოქმედო სამლოცველო სახლის ნაწილობრივად გადაკეთების შესახებ. /ფანჯრების გაფართოება, იატაკისა და ჭერის შეკეთება/ და გამოვარკვიე შემდეგი: ქ. ბათუმის სომეხ გრიგორიანთა უმოქმედო სამლოცველო სახლი თავისთავად დაიხურა დაახლოვებით 20- წლის წინათ, ოფიციალური დადგენილება აღნიშნული სალოცავი სახლის დახურვის შესახებ არ არსებობს.

მორწმუნე სომეხ გრიგორიანთა კონტინგენტის სიმცირის გამო ქ. ბათუმში სომეხ გრიგორიანთა ეკლესია არ არის.

აღნიშნული შენობა აგებულია ქვისაგან, გადახურულია თუნუქის სახურავით, რომელიც სიძველის გამო ითხოვს გადაუდებელ რემონტს.

ეს შენობა 15-წლის განმავლობაში გამოყენებული იყო სანყობად, შემდეგ კი გადაეცა ბავშვთა სპორტულ სკოლას.

ვლებულობ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქ. ბათუმში მორწმუნე სომეხ გრიგორიანთა კონტინგენტის სიმცირის გამო არ დაისმება საკითხი აღნიშნული ეკლესიის გახსნის შესახებ.

საჭიროდ ვთვლი:



დაკმაყოფილდეს აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და ნება მეიცეს მათ ბავშვთა სპორტული სკოლის საჭიროებისათვის ჩაატარონ ქ. ბათუმის სომეხ გრიგორიანთა უმოქმედო სამლოცველო სახლის ნაწილობრივი გადაკეთება, რაზედაც ეთხოვოს სანქცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი: **/ტუნაძე/**

**ფონდი №977; საქმე №19; ფურც. 12**

### **ამხ. ტუნაძეს!**

მივიღე თქვენი წერილი, რომ სიტყვა არ გავაჭიანურო გიპასუხებთ კონკრეტულ და აქტუალურ კითხვებზე:

1/ ინსტრუქციებს ჩვენ ვღებულობთ მოსკოვიდან რუსულ ენაზე. მისი თარგმნის და გამრავლების უფლება ჩვენ არა გვაქვს. შეიძლება თქვენ გინდოდეთ გეთქვათ მიმონერა ჩვენ შორის დაგვემყარებია ქართულ ენაზე. ეს მოსახერხებელი და სამართლიანიც იქნება.

რაც, რომ ჩვენ ინსტრუქციები მიგვიღია იგივე მიღებული გაქვთ თქვენც და დაცული უნდა იყოს საქმეში. საჭიროა გაეცნოთ ამ ინსტრუქციებს და მთლიანად მიმონერას. იმათგან მთავარია წიგნაკი “ინსტრუქცია დღია უპოლნომოჩენგო” და საკავშირო სახკომსაბჭოს 1944 წლის 19 ნოემბრის დადგენილება 1603 სადაც განმარტებულია სამლოცველო სახლების გახსნის წესი. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს ყველა დანარჩენი საბჭოს მითითება-

ნი, ინსტურქციები და წერილები, აგრეთვე მთავრობის დადგენილებები ნაკლებ საჭირო და მნიშვნელოვანი იყოს.

2/ კვარტალური მოხსენებებისათვის მასალების შეგროვებას სისტემატიურად, ყოველ დღიურად უნდა აწარმოებდეთ, როგორც პირადი დაკვირვებებიდან, ისე ადგილებზე საბჭოებზე შეკითხვებით. მოხსენების შინაარსი უეჭველად პოლიტიკური უნდა იყოს, ასე: ა/ იზრდება რელიგია და მისი გავლენა თუ კნინდება, მცირდება, თუ იზრდება საზოგადოების რომელ ნაწილის ხარჯზე/ მოხუცებულების, ახალგაზრდობის, ინტელიგენციის და ა.შ./.

ბ/ რამდენად დიდია რელიგიის ავტორიტეტების იმამის, ხახამის, პრესვიტერის და ა.შ. / გავლენა მოსახლეობაზე.

3/ მოსახლეობის საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტი მისდევს ღმერთმსახურებას დაახლოებით, სოფლების, ქალაქის დასახელებით და ამ დასახლებულ პუნქტების საერთო მცხოვრებთა რაოდენობის აღნიშვნით, კულტურული და ეკონომიური დონის აღნიშვნით.

მე მხედველობაში მაქვს, რომ აჭარის ყველა სოფელში თუ რაიონში ერთნაირი როგორც მოსახლეობის რაოდენობა არ შეიძლება იყოს, ისე არც მორწმუნეთა რაოდენობა შეიძლება იყოს ერთი და იგივე. მაგალითად: ქობულეთის რაიონის კულტურული დონე სხვაა, უფრო მაღალია, ვინემ ხულოსი ან ქედის, ხოლო ქ. ბათუმის კიდეც უფრო მაღალი ვიდრე ქობულეთის და ა.შ.

აქედან დასკვნა, რომ იქ სადაც მეტი კულტურული მოსახლეობაა, მეტი საწარმოების მუშებია და მეტი ინტელეგენცია, იქ რელიგიის გავლენაც ნაკლებია და ცრუმორწმუნეობა ფეხს ვერ მოიკიდებს.

4/ როგორ, როდის და რა ფორმებში ტარდება ღვთისმსახურება. იქ, სადაც მომქმედი სამლოცველო სახლი გვაქვს პირადი დაკვირვებითაც შეგვიძლია უპასუხოთ ამ კითხვაზე, იქ სადაც მომქმედი სამლოცველო სახლი /მეჩეთი, სინაგოგა

და ა.შ./ არ მოგვეპოვება, საჭიროა პასუხი დასმულ კითხვაზე გამოვავლინოთ ყადის საშუალებით, მაგრამ ვინაიდან ყადის მასალებს ჩვენ ვერ დავეყრდნობით, ეს მასალები უნდა შემოწმდეს. ამიტომ ჩვენ მივმართავთ ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე პირად საუბარს: სოფლის, რაიონის პასუხისმგებელ საბჭოთა და პარტმუშაკებთან, ინტელიგენციასთან, მონინავე კოლნეერებთან, მონაფეებთან და ა.შ. მაგრამ ისე კი რომ რაიმე ეჭვი არ დავბადოთ მათში დაკვირვებით; გასაგებია, რომ პარტამხანაგებთან ჩვენ უფრო პირდაპირ შეგვიძლია საკითხის დასმა, მაგრამ უპარტიოებთან საუბარი მორიდებული, დაკვირვებული უნდა იყოს ისე, როგორც ზემოდ ავლინებთ.

5/ კვარტალურ მოხსენებაში უნდა აღნიშნოთ ყველაფერი, რაც ყურადღების ღირსია, რაც ჩვენს მიერ შენიშნული თუ გამოვლინებული იყო. რამდენი და რა შინაარსის განცხადება შემოვიდა, განვიხილეთ და შედეგი.

რწმუნებულის ინსტრუქციის იმ წიგნში, თავში რომ დავასახელოთ, თქვენ ნახავთ კითხვებს, რომლებიც მოხსენებაში უნდა გააშუქოთ, მაგრამ აქვე უნდა ავლინებოთ, რომ როგორც ამ წერილით ისე ინსტრუქციის წიგნში მოცემული კითხვარით არ ამოიწურება კვარტალური მოხსენება. საერთოდ კითხვების მთელი ლეგიონიც რომ ჩამოვთვალოთ, მაშინაც არ შეიძლება კვარტალური მოხსენება ამ კითხვების ჩარჩოში მოვათავსოთ და კითხვებით ამოვწუროთ.

6/ მე ვთხოვდი ამხ. კალანდაძეს მეორე კვარტლის მოხსენებაში გაეშუქებია საკითხი სტაროვერების შესახებ და როგორ დიდია რელიგიის გავლენა /სხვადასხვა ტრადიციების შესრულება, მარხვა უქმეები, ლოცვები, მათი მასიურობა და ა.შ./ იმ ადგილებში სადაც არ მოგვეპოვება მოქმედი სამლოცველო სახლები.

პირველი საკითხის შესახებ ჩვენ დღემდე ვიცით რომ “ბენზეში” მოსამსახურე “პიატიდესიატნიკები” და სტაროვე-

რები მიმართავდნენ ქრისტიან ევანგელისტ ბაპტისტებს მიე-  
ლოთ ისინი წევრათ თავის საზოგადოებაში, ამის შესახებ წა-  
იკითხეთ გასული წლის მე – III – IV და ა/წ. I-ლი კვ. ამხ. კა-  
ლანდაძის მოხსენებები.

მე ამ მოხსენებაში მოყვანილი მასალები არ მაკმაყოფი-  
ლებენ, რადგან მოკლე და კუცე არის. ჩემამდის მოაღწია  
ცნობებმა, რომ სამამულო ომის პერიოდში ბათომის ახლოს,  
მახინჯაურში **გადმოსახლდნენ 400 ოჯახამდე სტაროვერე-**  
**ბი** უკრაინიდან. მათში სარწმუნოების გზაზე არეგდარევას  
აქვს ადგილი. ე.ი. არ იციან გამოიცვალონ სარწმუნოება თუ  
არა და ვის მიეკედლონ — ებრაელებას, ბაპტისტებს თუ კი-  
დევე სხვათა. მე გთხოვდით შეისწავლოთ ეს საკითხი, მათი  
რაოდენობა დანამდვილებით, რომელ ადგილებში არიან და-  
სახლებული და მეურნეობის რომელ დარგს მისდევენ.

მართლა არის მათში ერთგვარი შერყეული ძველი სატა-  
როვერული რწმენა და რა ზოგან ძლიერ.

მეორე საკითხზეც თქვენ იმავე კვარტლის მოხსენებაში  
ნახავთ მასალებს, მაგრამ ძლიერ მცირეს. ეს საკითხი უფრო  
ფართოდ უნდა იყვეს შესწავლილი და გაშუქებული, განსა-  
კუთრებით რაიონებში, სოფლად.

ახლა რაც შეეხება ჩვენს ჩამოსვლას, მე მართლაც ვაპი-  
რებ ჩამოსვლას, თუ მოვახერხე, ივნისის პირველ რიცხვებში,  
მაგრამ გადაჭრით ვერ დაგპირდებით.

მხოლოდ თუ თქვენ რაიმე შეკითხვები გექნებათ, მე  
შეძლებისდაგვარად შევეცდები განმარტებას.

ამხ. სალმით დ.ა. ქურიძე

27.V.1948

ქ. თბილისი

**ფონდი №977; საქმე №19; ფურც. 13,14,15,16.**

27/VI. 1949წ.

**სსრკს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური  
კულტურის საქმეთა საბჭოს რწმუნებული აჭარის  
ასსრ-ში**

მოგახსენებთ, რომ ქალაქ ბათუმში ჩკალოვის ქუჩა 18/ს მუსულმანთა საზოგადოებას უკავია სამლოცველო შენობა მეჩეთი, ფართით 200 კვ. მეტრი, რომელიც შეფასებულია 50.000 მანეთად, მათ მიერ დაკავებულ შენობაზე საფინანსო განყოფილების მიერ განერილია წელიწადში შენობის გადასახადი 500 /ხუთასი/ მანეთი და მიწის რენტა 30 მანეთი თვით. კვადრატულ მეტრზე 15 კაპ; სულ 530 მანეთი. რადგან მეჩეთში რელიგიური კულტის მსახურება სწარმოებს 1946 წლიდან და დაუბეგრავი იყო გადასახადით, როგორც გამოტოვებული დასაბეგრი ობიექტი, დაეკისრათ გადასახდელად, კანონის შესაბამისად, 1948 წლის და 1949 წლის გადასახადები 1060 მანეთი.

მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო  
საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე /პ. ღვალაძე/

**ფონდი №977; საქმე №20; ფურც. 7.**

**აპრილი 1949 წ.**

**აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს  
ამხ. მ. ა. გოგოლიშვილს**

**მოხსენებითი ბარათი**

მოგახსენებთ, რომ 1948 წლის მაისიდან აჭარის მინისტრთა საბჭოს მიერ დანიშნული ვიქენი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური კულტების რწმუნებულად აჭარის ასსრ-ში.

როგორც თქვენთვის ცნობილია აჭარის ასსრ-ში რელიგიური კულტების სახეები შემდეგია: მუსლუმანური, ქართველ-ებრაელთა, ევანგელურ ხრისტიან ბაბტისტები და მართმადიდებლები.

1. მუსლუმანური სარწმუნოება.

აჭარის ასსრ მკვიდრ მცხოვრებთა რელიგიურ მიმდინარეობას წარმოადგენს მუსლუმანური სარწმუნოება. მორწმუნე მუსლუმანთა საზოგადოებას აქვს თავისი სამლოცველო სახლი მეჩეთი – “ჯამე” /ჩკალოვის ქ. 6/. აღნიშნული მეჩეთი გახსნილი იქნა მთავრობის სათანადო გადაწყვეტილებით 1946 წლის დასაწყისში.

მუსლუმანთა სარწმუნოებას და კერძოდ ბათუმის მეჩეთს ყავს თავისი კულტ-მსახურნი.

1. აჭარის ყადი – რასიყ ბერიძე /ქედის რაიონის სოფ. დანდალოს მცხოვრები.
2. მეჩეთის ჰიმამი – ხოჯა აბულაძე მემედ / ბათუმის რაიონის სოფ. ხელვაჩაურის მცხ/.
3. მეჩეთის მოეზინი – ჰიმამის თანაშემწე მიქელაძე ისმაილ ქ. ბათუმის მცხოვრები.

4. მეჩეთის მოლარე – მოანგარიშე – დიასამიძე მემედალი /ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის მცხოვრები /.

მეჩეთს ჰყავს აგრეთვე გამგეობა 5 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 3 კაცის შემადგენლობით.

გარდა მეჩეთის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობისა ყველა კულტ-მსახურნი ღებულობენ ხელფასებს მეჩეთის შემოსავლებიდან.

მეჩეთის ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს პარასკევ დღეს და რელიგიურ დღესასწაულების დღეს ჩატარებული ლოცვის დროს მორწმუნეთა მიერ თავისი სურვილის მიხედვით ფულის შემოტანა.

დიდი შემოსავალი აქვს მეჩეთს, განსაკუთრებით მუსლუმანთა რელიგიურ დღესასწაულების დროს, კერძოდ რამაზნის და ყურბან-ბაირამის დღეს.

1948 წლის 13 ოქტომბერს ჩატარებულ ყურბან-ბაირამის დღეს მეჩეთში შემოვიდა 6000 მანეთზე მეტი.

ჩემს აღნიშნულ სამუშაოზე მუშაობის დანყებამდე მეჩეთის გამგეობა ფულს ინახავდა ხელზე რამოდენიმე ათასი მანეთის რაოდენობით, მაგრამ ფული მიმოქცევაში, რომ ყოფილიყო, ჩემი მითითებით იგი შეტანილი იქნა სახბანკში, სადაც მათ გახსნილი აქვთ თავისი ანგარიში.

ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევასაც: **აჭარის ყადის რასიყ ბერიძის** მიერ ჯერ კიდევ 1947 წელში გაცემული იქნა რელიგიური მონაშობები სოფელში მცხოვრებ ყოფილ ხოჯებზე, რომ მათ ეწარმოებიათ სოფლად მიცვალებულთა ლოცვები “ყირხის კითხვა” “თარავის” ლოცვა /მარხვის დროს ლოცულობენ ღამე/ და სხვა, რაზედაც ჩემს მიერ მიცემული იქნა მითითება აჭარის ყადის მიმართ, რომ დაუყოვნებლივ ჩამოართვას ასეთი რელიგიური მონაშობები და აუკრძალოს ლოცვების ჩატარება მანამდე, სანამ ამ ხოჯებს არ ექნებათ მუსლუმანური სარწმუნოების ბაქოს რწმუნებულისაგან სათანადო დოკუმენტი.

უნდა მოგახსენოთ აგრეთვე, რომ რელიგიური სარწმუნოება კერძოდ ხულოსა და ქედის რაიონებში ჯერ კიდევ ერთგვარ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

ასე მაგალითად: ხშირია შემთხვევები, როდესაც ხულოსა და ქედის რაიონებიდან რელიგიურ დღესასწაულებზე და პარასკევ დღეობით განსაკუთრებით ჩამოდიან მორწმუნეები. ჯერ კიდევ სოფლად ადგილი აქვს „ჯანაზეს“ /მიცვალებულთა/ ლოცვას, „ყირხის“ /ორმოცი/ კითხვას, დევრის დაბრუნებას, მევლუდის კითხვას, /ნოემბრის თვის მთავრე/, აღდი ნიქაჰის ჩატარებას /ახალშეერთებულთა ჯვრისწერა და სხვა.

## **2. ქართველი ებრაელები.**

ქართველ ებრაელთა საზოგადოებას აქვს თავისი სამლოცველო სახლი 9 მარტის ქუჩაზე - 6, ჰყავთ უფასო გამგეობა და სარევიზიო კომისია, ხოლო დაქირავებული არის სამლოცველო სახლის ხახამი – ელიგულაშვილი შაფათა /ქ. ქუთაისის მცხოვრები/, რომლესაც თვითურად ეძლევა გამგეობის მიერ 900 მანეთი.

აღნიშნულ საზოგადოებას კონტინგენტის მხრივ აღმავლობა არ აქვს, რადგანაც თითქმის მთელი ქართველ-ებრაელთა მცხოვრები ქ. ბათუმში ამ საზოგადოებაშია გაერთიანებული.

ამ სამლოცველო სახლში ყველა ქართველი-ებრაელი მორწმუნე დადის, როგორც მოხუცი ასევე ახალგაზრდა მამაკაცები და ქალები. აქ ხშირ შემთხვევაში ადგილი ქონდა ბავშვთა დასწრებას ლოცვების დროს, რაზედაც მრავალჯერ იქნა ჩემს მიერ გაფრთხილებული, როგორც გამგეობა ასევე ხახამი ელიგულაშვილი, რომ სკოლის ასაკის ბავშვები არ დაეშვათ სამლოცველო სახლში ლოცვების დროს, მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგჯერ კიდევ არის ფაქტები ბავშვთა დასწრებისა.



აღნიშნული საზოგადოების გამგეობა ფულს სახბანკში არ ინახავს იმ მოტივით, რომ ყოველთვიური შემოსავალი ხელფასებს და სხვა საჭირო ხარჯებს ძლივსლა აკმაყოფილებსო.

ამავე ებრაელთა საზოგადოებას ჩემთან შემოტანილი ქონდა განცხადება მათთვის ცალკე ხორცის სავაჭროს გახსნის შესახებ, რადგანაც მორწმუნე ებრაელები სხვის დაკლულ საქონლის ხორცს და აგრეთვე ცხოველის ხორცის ყველა ნაწილებს არ სჭამენ, რაზედაც ჩემს მიერ უარი ეთქვა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ქართველი ებრაელები თავისი რელიგიური ადათნესების ყველა სახეს თითქმის ასრულებენ, აგრეთვე აწარმოებენ ძლიერ მცირე ასაკის ბავშვების წინადაცვეთას.

### **3. ევანგელურ ხრისტიან ბაბტისტები.**

ევანგელურ ხრისტიან ბაბტისტების მორწმუნე საზოგადოებას თავისი სამლოცველო სახლი აქვს გორკის ქ. -55-ში, ჰყავთ თავისი პრესვიტერი **შაკინი**. ამ საზოგადოების კონტინგენტი 120 კაცს აღწევს.

აღნიშნული საზოგადოება ყოველკვირაობით იკრიბება სამლოცველო სახლში და დილიდან საღამომდის ლოცულობენ.

ამ საზოგადოებას ჰქონდა ყველაზე უფრო არასწორი სარწმუნოებრივი ტრადიცია – “ვეჩერნაია”, ეს ხდებოდა შემდეგნაირად: როდესაც მორწმუნეები ლოცვას დაამთავრებდნენ საღამოს 9 ან 10 საათზე, შენობაში მთლიანად აქრობდნენ სინათლეს და ერთი-მეორეს ჰკოცნიდნენ განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ამიტომ ეს ტრადიციული მოქმედება, როგორც ყოფა-ცხოვრებაში გახრწნილების წარმომშობი საფუძველი მომავალი თაობისათვის ჩემს მიერ აკრძალული იქნა იგი.

ამ საზოგადოების გამგეობა და მისი პრესვიტერი შაკინი 1948 წელში ცდილობდნენ მორწმუნეთა კონტინგენტის გაზრდას, რისთვისაც ისინი უკავშირდებოდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონებში /მახარაძე, ჩოხატაური, ლანჩხუთი/ და აჭარის რაიონებში მცხოვრებ ბაბტისტებს და აერთიანებდნენ მათ ამ საზოგადოებაში.

ამ საკითხზე მე მითითება მივეცი, რომ ასეთი მოქმედება შეეწყვიტათ, სწორედ 1948 წლის სექტემბერში ქალაქ ბათუმში ჩამოვიდა ხრისტიან ბაბტისტების ცენტრის უფროსი ბაქოდან **ტერ-ოვანესოვი**, რომელსაც აღნიშნულ საკითხზე ვესაუბრე და მის შემდეგ შეწყვეტილი იქნა ამ საზოგადოების მიერ სხვადასხვა რაიონებიდან ბაბტისტების მიღება, იგი მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში არსებობს.

ამ საზოგადოებამ გასულ წელს მოინდომა თავისი სამლოცველო სახლის გადმოტანა ქალაქის ცენტრში ტელმანის ქუჩაზე, გააფორმა ხელშეკრულება კიდეც ვიღაც მაკაროვთან სახლის საიჯაროდ აღებაზე, მაგრამ ჩემს მიერ უარყოფილი იქნა მათ მიერ წარმოდგენილი ყოველგვარი მასალები და ამჟამად ისინი ისევ თავიანთ ძველ ადგილას იმყოფებიან.

##### **5. მართმადიდებელთა სარწმუნოება.**

აღნიშნული სარწმუნოება ჩემს ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას არ ექვემდებარება, მას განაგებს საქართველოს რესპუბლიკაში მართმადიდებელთა რწმუნებული, ამდენად ჩემს მიერ მასზედ კონტროლის განწევა ან რაიმე მითითების მიცემა არ ხდება.

მაგრამ მე მაინც, როგორც რელიგიური კულტების რწმუნებული აჭარის რესპუბლიკაში ხსენებულ სარწმუნოების მოქმედებას ვადევნებ თვალყურს.

უნდა მოგახსენოთ, რომ მართმადიდებელთა სარწმუნოებას, მის რელიგიურ ტრადიციების შესრულებას მასობრივი ხასიათი აქვს, კერძოდ ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე

მართმადიდებელთა ეკლესია ძლიერ აფართოებს თავის კონტინგენტს.

ხშირია შემთხვევები ეკლესიაში ბავშვების მონათვლის, ჯვარის წერის, სანთელითა და სხვადასხვა თითქოს სამკურნალო ან რელიგიური მნიშვნელობის საგნებით ვაჭრობა და სხვა.

ეკლესიის კულტმსახურნი იმდენად გათამამებულნი არიან, რომ როდესაც ეკლესიაში შედის რომელიმე პიროვნება მისი დათვალიერების მიზნით მას ავალდებულებენ ისე მოექცეს, როგორც მორწმუნე, მაგალითად: ქუდი მოიხადოს, პირჯვარი დაიწეროს, სანთელი აანთოს, ხატს ეამბოროს და სხვა.

აღნიშნულ ეკლესიას ძლიერ დიდი შემოსავალი აქვს, რითაც ეკლესიის ხელმძღვანელობამ შესძლო ეკლესიის შენობის გარე გალავანის შემოვლება, შენობის კაპიტალური შეკეთება, მათ ერთი პატარა ოთახიც კი ააგეს შესასვლელ ეზოში კულტმსახურთათვის.

აღნიშნული ეკლესია ფულს ბანკში არ ინახავს და იგი მიმოქცევაში არ იმყოფება. ასეთივე მდგომარეობა არის სოქუს ეკლესიაზეც.

მოგახსენებთ რა ზემოდ აღნიშნულს, გთხოვთ მოგვცეთ მითითება რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ  
რელიგიური კულტების რწმუნებული აჭარის  
ასსრ-ში /ი.ტუნაძე/

**ფონდი №977; საქმე №20(ა); ფურც. 3,4,5,6,7,8.**

**1950 წლის მარტი რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელს აჭარის ასსრ-ში ამხ. ტუნაძეს**

ებრაელთა რელიგიური დღესასწაულის აღდგომის მოახლოებასთან დაკავშირებით, რომელსაც მორწმუნე ებრაელები მიმდინარე წელს იდღესასწაულებენ 2-9 აპრილამდე, გთხოვთ გამოიძახოთ ქ. ბათუმში მოქმედ ებრაელთა სინაგოგის აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარე და გააფრთხილოთ იგი:

1. არ იქნას მონყობილი სინაგოგაში სააღდგომო ტრაპეზი /ლოცვის შემდეგ სუფრის გაშლა/.
2. არ იქნას დაშვებული რელიგიური საზოგადოების მიერ ღარიბებისათვის მაცის დარიგება, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში /ეგრეთწოდებული მოეს-ხიტიმ/.
3. არ იქნას დაშვებული ადგილების ყიდვა-გაყიდვისა, ან მორწმუნეებზე დასაჯდომი ადგილების დამაგრებისათვის რაიმე ქვითრების გაცემა.
4. მიღებულ იქნას ხანძრის საწინააღმდეგო და სანიტარული სახის ზომები /ვინაიდან შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მლოცველთა დიდი რაოდენობით შეკრებას სინაგოგაში/.

ამასთან ერთად გთხოვთ პირადად შეამოწმოთ დღესასწაულის მთელი დროის განმავლობაში მორწმუნეების მიერ თუ როგორ იქნება აღნიშნული რელიგიური დღესასწაული, კერძოთ კი გამოავლინოთ:

ა/აღდგომის დღეებში მორწმუნეთა სინაგოგაში დასწრება: მორწმუნეთა რიცხვი/ ქალების, კაცების და ახალგაზრდების ცალ-ცალკე ჩვენებით/ სოციალური და ასაკობრივი შემადგენლობის ჩვენებით.

ბ/აღნიშნული დღესასწაულის დღეებში შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები, მორწმუნე მუშა-მოსამსახურეთა მიერ.

გ/ნაციონალისტური აგიტაციის ფაქტები /თუ ადგილი ჰქონდა ასეთს/.

თქვენს მიერ გამოვლინებული მასალები უნდა წარმოადგინოთ სპეციალური მოხსენებითი ბარათით არაუგვიანეს 12 აპრილისა. წარმოდგენილი მასალები უნდა იყოს ზუსტი და კარგად შემოწმებული, რომლებიც მოითხოვენ თქვენ მიერ სერიოზულ, კეთილსინდისიერ შესრულებას მით უმეტეს, რომ გაგზავნილ უნდა იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოში.

ჩემი არაერთჯერ გაფრთხილების მიუხედავად, რომ საინფორმაციო კვარტალური ანგარიში უნდა წარმოადგინოთ ყოველ კვარტალის უკანასკნელი თვის თხუთმეტი რიცხვისა, ჯერაც არ წარმოგიდგენიათ ასეთი. ნუთუ ეს დასაშვებია?

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან  
არსებული რელიგიური კულტების საქმეთა  
საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ-ში

/დ. შალუტაშვილი/.

**ფონდი №977; აღწერა 1, საქმე №21 ა; ფურც. 2,3.**

28 მარტი 1953

*სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ  
რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს  
რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში  
ამხ. დ. შალუტაშვილს*

*ანგარიში 1953 წლის პირველ კვარტალში მუსულმანთა,  
ქართველ ებრაელთა და ქრისტიან ბაპტისტთა რელიგიუ-  
რი საზოგადოების მუშაობისა და  
მდგომარეობის თაობაზე*

*მუსლუმანთა რელიგიური საზოგადოების ბათუმის  
მეჩეთის შესახებ*

ჩკალოვის ქუჩა -6-ში მდებარე მეჩეთში ყოველდღიურად ტარდება ლოცვა, გარდა პარასკევისა, დღიურად ლოცვას ესწრება 5-6 კაცი, ხოლო პარასკეობით კი 120-დან 135—მდე მორწმუნე.

მორწმუნეთა ასაკობრივის მდგომარეობა, რომელნიც მეჩეთში სალოცავად დადიან არის 35-დან 45 –წლამდე 5-8 კაცი, ხოლო დანარჩენი კი 45-დან 80-წლამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ მორწმუნეები რომლებიც დადიან მეჩეთში თითქმის ყველა რაიონიდან არიან, ხოლო უმეტესი ნაწილი კი ბათუმის რაიონის სოფლებიდან. 1953 წლის პირველ კვარტალში ჩემი შემონმების დროს მეჩეთში ქალეზისა და ბავშვების დასწრებას ადგილი არ ქონია. –

1953 წლის თებერვალში მეჩეთის გამგეობას დავავალე, რომ მეჩეთის შენობაზე გამოკვეთილი თურქეთის სახელმწიფო ემბლემა “ნახევარმთავრე და ვარსკვლავი” მოეცილებინათ, რაც შეასრულეს.

მეჩეთის მსახურთა შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

1953 წლის 6 თებერვალს იმამმა **აბულაძემ** განაცხადა, რომ მე “სიბერის” გამო აღარ შემიძლია სამსახურიო და წავი-  
და, რაც შეეხება ყადს **რასიყ ბერიძეს** ის ყოველთვის მოდი-  
ოდა ჩემთან და მეუბნებოდა, რომ როგორმე დამეხმარეთ მუ-  
ეზონ ისმაილ მიქელაძის მოხსნაშიო, რის შემდეგ მეჩეთს  
დავხურავო, მაგრამ რადგან ჩემი უშუალოდ ჩარევა არ შეიძ-  
ლებოდა ამ საქმეში არსებითი დახმარება ვერ აღმოუჩინე და  
გამგეობის მხარდაჭერით მუეზინი დარჩა თავის ადგილზე.  
რასიყ ბერიძემ იმ მიზეზით, რომ რადგან ჩემს მიერ მოხსნილ  
მუეზონს არ ანთავისუფლებთო 13 მარტს პარასკევს მლოც-  
ველებს განუცხადა მე სამსახურს თავს ვანებებო და წავიდა.

ეხლა მეჩეთი დარჩენილია უყადოდ და უიშაოდ. მე-  
ჩეთში დარჩენილ მოეზონ მიქელაძეს და მოანგარიშე დისამი-  
ძეს მე ლოცვების უფლებას არ ვაძლევდი, ხოლო დღეს ე.ი. 3  
აპრილს პარასკევს მოანგარიშე მემედალი დიასამიძეს სა-  
ხელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ აფსავას მითითებით  
უნდა დავროთ ნება ლოცვებისა.

მეჩეთის მსახურთა სოფლად მუშაობისა და მოქმედე-  
ბის შესახებ მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ 1952 წლის დეკემ-  
ბრის თვეში აკრძალვის შემდეგ მათ სოფელში წასვლას ად-  
გილი არ ქონია.

იმამის წასვლის შემდეგ მლოცველთა დასწრების რიც-  
ხვი დღითი-დღე იკლებს.

### ***ქრისტიან ბაბტისტების შესახებ***

ქრისტიან ბაბტისტთა საზოგადოების წევრთა რაოდე-  
ნობა იგივეა, რაც 1952 წელში იყო.

წლოვანების მიხედვით ახალგაზრდების სწრებადობა  
მეტია. 18-დან 30 წლამდე ესწრება 22-25 ქალი, ხოლო მლოც-  
ველების დიდი უმრავლესობა ქალებია.

კვირა დღეებში ბაბტისტების სამლოცველო სახლი მლოცველებით გადატვირთულია. ეს ნიშნავს იმას, რომ სწრებადობა ადის 150-დან 165 კაცამდე.

ბაბტისტები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მლოცველები მიიზიდონ. ამ მიზნით ისინი მიმართავენ გალობას მუსიკით და გორკის ქუჩაზე გამვლელთა უმრავლესობა ჩერდება და უსმენს მათ გალობას. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ბაბტისტების სამლოცველო სახლი გადატანილი იქნას ისეთ ადგილას, სადაც ხალხის მოძრაობა ნაკლებია.

1953 წლის პირველ კვარტალში ბაბტისტების მიმართ ნაკლები მუშაობა ჩავატარე, რადგან ყოველდღე მეჩეთის საქმეებს უნდებოდი. ამიტომ მეორე კვარტალში ბაბტისტების შესახებ უფრო მეტ ფაქტებს დავაგროვე და მოგწერთ.

### ***ქართველ ებრაელთა საზოგადოების შესახებ***

1953 წლის პირველ კვარტალში ებრაელთა სამლოცველო სახლი მუშაობდა მხოლოდ 17 იანვრამდე, ხოლო 17 იანვარს აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების მიერ მათი სამლოცველო სახლი დალუქული იქნა, რაც დღესაც გრძელდება.

რელიგიური კულტების საქმეთა

საბჭოს რწმუნებული აჭარის

ასსრ-ში

/რ. გორგილაძე/

**ფონდი №977; საქმე №25; ფურც. 1.2.3.**



**რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულს  
საქართველოს სსრ-ში**

**ამხ. შალუტაშვილს**

რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში მოგახსენებთ, რომ 1953 წლის 17 იანვარს აჭარის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ დალუქული იქნა ქართველ ებრაელთა სამლოცველო სახლი. დახურვის მიზეზი არ ვიცი, რადგან ჩემზე შეუკითხავად დალუქეს.

აგრეთვე გაცნობებთ მუსლუმანთა სამლოცველო სახლის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც აუკრძალეთ ხოჯებს მკვდარის გასვენება რელიგიური წესით, სამლოცველო სახლში მლოცველების სწრებადობა ნაკლებია, იმამი აბულაძე მოითხოვს განთავისუფლებას, მაგრამ ჯერ არ გაგვინთავისუფლებია. მე და ყადს ბერიძეს გვინდოდა გაგვინთავისუფლებია მუეზინი მიქელაძე, მაგრამ მეჩეთის გამგეობამ მხარი დაუჭირა მას და ვერ გავანთავისუფლეთ.

გთხოვთ გვაცნობოთ, შემიძლია თუ არა კატეგორიულად დავსვა საკითხი რომელიმე რელიგიის მსახურის განთავისუფლების შესახებ.

რელიგიური კულტების საბჭოს  
რწმუნებული აჭარის ასსრ-ში:  
ლაძე/

/რ. გორგი-

**ფონდი №977; საქმე №25; ფურც. 6.**

## შინაარსი

- . თამაზ ფუტკარაძე, მზია სურმანიძე - რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950-იან წლებში .....
- . სსრ ავშირის სახალხო კომისართა საბჭო, დადგენილება 572 .....
- . სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო, დადგენილება 673.....
- . სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო, დადგენილება 1543-486 .....
- . საინსტრუქციო წერილი № 5 .....
- . საინსტრუქციო წერილი № 6.....
- საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტის საქმესთან დაკავშირებულ ყველა უფლებამოსილ საბჭოს საინსტრუქციო წერილი 8 .....
- . ს ი ა უმოქმედო ეკლესიებისა, სალოცავ შენობებისა და სახლების ბათუმის რაიონში.....
- . ს ი ა უმოქმედო ეკლესიების, სალოცავ—შენობებისა და სახლების ქობულეთის რაიონში.....
- . ს ი ა ბათუმის რაიონში არსებული საეკლესიო შენობებისა, რომლებიც გამოყენებული არ არის კულტურულ სამ. მიზნებისათვის .....
- . ბათუმის საბჭოს ვაჭრობის გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს .....
- . აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს ამხ. ხ. კირისილოძის. ....
- . რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულს ამხ. დ. ა. ქურიძეს (1945 წ. 25. IV) .....
- . სსრკ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების .....

- საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში - მოხსენებითი ბ ა რ ა თი.....
- .აჭარის ასსრ. სახ. უშიშროების სახალხო კომისარიატს (9.V. 1945).....
- .მ/დ.ქ. ბათუმის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ჯიქიაძე (1.06.1945) .....
- .სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოში სსრ-ში ამხ. დ. ა. ქუ რ ი ძ ე ს. (10.02.1945).....
- . აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ.ი.ს.ფუტყარაძეს. მოხსენებითი ბ ა რ ა თ |.....
- . დადგენილება 85 .....
- . ოქმი 1 (1946 წლის 13 თებერვალი).....
- . ფეჰრათ კონცელიძის ავტობიოგრაფია .....
- . მის უდიდებულესობას, ყადი რასიხ ეფენდის.....
- . დადგენილება (30 აგვისტო, 1946 წელი) .....
- . 1946 წ. I კვარტლის საინფორმაციო მოხსენება .....
- . სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელ ეკლესიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრ-ში ამხ. ქადაგიშვილს
- . 1946 წლის II კვარტალის ანგარიში
- . ქობულეთის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. დე-ვაძეს
- . საინფორმაციო მოხსენება (1946 წლის მესამე კვარტალი)
- . რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრ-ში ამხ. ქურდიძეს .....
- . პასუხი კვირიკეს მორწმუნეთაგან შემოტანილ განცხადებ-ბაზე .....
- . რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს აჭა-რის ასსრ-ში ამხ. ვანლიძეს. (21.III.1946) .....

. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრ-ში ამხ. დ. ქურიძეს (6.09.1947).....

. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრ-ში ამხ. დ. ქურიძეს (10.11.1947).....

. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მოვალეობის აღმასრულებელს აჭარის ასსრ-ში ამხ. კალანდაძეს .....

. აჭარის ა.ს.ს.რ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. შ. შარაშიძეს .....

. 1947 –წ. I-კვარტალის ანგარიში.....

. მშრომელთა დეპუტატების ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. დავითაძეს (6.III.1947) .....

. ხულოს რაიონის ღორჯომის სასოფლო საბჭოს სოფ. ღორჯომის მორწმუნე მუსლიმანებისაგან.....

. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს აჭარის ასსრ — ამხ. ვანლიშს.....

. ახსნა განმარტება, რამიზ შირინის ძე დავლაძე .....

. ახსნა განმარტება ანთაძე ადემ ხუსიას ძე.....

. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქ. სსრში ამხ. ქურიძეს.....

. 1948 წლის II კვარტალის ანგარიში .....

. ოქმი 3 4/1-84 წელი .....

. რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს აჭარის სსრ-ში ამხ. ვანლიშს. (16 ივლისი 1946).....

. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს აჭარის ასსრ-ში (9 სექტემბერი 1946 წ.) .....

- . სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ კულტების საქმეთა.....
- საბჭოს რწმუნებულს აჭარის ასსრ-ში ამხ. ტუნაძეს (5 ივნისი 1948).....
- . დასკვნა.....
- . ამხანაგ ტუნაძეს .....
- . სსრკს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში (27.VI.1949).....
- . აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მ.ა. გოგოლიძევილს .....
- . რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელს აჭარის ასსრ-ში ამხ. ტუნაძეს (1950 წლის მარტი) .....
- . სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამხ. შალუტაშვილს (28 მარტი 1953).....
- . რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამხ. შალუტაშვილს .....